

2013 წელი

აღვოკატი

საქართველოს აღვოკატთა ასოციაციის შუგნაღი № 3

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება შოკფერი შვიცარიის წინააღმდეგ
- ინტერვიუ საქართველოს მთავარ პროკურორთან
- იოსებ (ოსიპო) ბარათაშვილი სახელგანთქმული აღვოკატი



ჟურნალის მომზადება და გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ უზრუნველყოფს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების მომზადებას.



რედაქტორი: ზვიად კორძაძე

სარედაქციო კოლეგია:

ზაზა ხატიაშვილი , ნინო გვენეტაძე, ინგა თოდრია, მარინე კვაჭაძე, იოსებ ბარათაშვილი, პაატა ტურავა, ზაზა რუხაძე, ზურაბ ძლიერიშვილი, ირაკლი კორძახია, აკაკი ჩარგეიშვილი, ჯეიმს მოლიტერნო.

პროექტის კოორდინატორი: თინათინ შულაროვა

ლიტრედაქტორი: მანანა ტაბიძე

კორექტორი: ესმა მანია

დიზაინი: თამარ დევდარიანი

დაკაბადონება: ნანა კალანდარიშვილი

დიზაინი და დაკაბადონება: შპს „ბიარტი“

სტამბა: შპს. გამომცემლობა „კოლორი“



ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების, ნაწილობრივი ან მთლიანი, გამოყენება კომერციული მიზნით ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

სარჩევი

რედაქტორის წერილი	3
ინტერვიუ საქართველოს მთავარ პროკურორთან	4
სასწავლო ცენტრის ვიზიტი ა.შ.შ-ში	12
ტრენინგების განრიგი სამოქალაქო სამართლის და საერთო სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის	15
ტრენინგების განრიგი სისხლის სამართლის და საერთო სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის	17
ეთიკის კომისიის რეკომენდაცია	19
ეთიკის კომისიის რეკომენდაცია	23
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში შეტანილი ცვლილება-დამატებების შესახებ კომენტარი (7,8 მუხლი).....	26
ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება.....	33
ირინე ბოხაშვილი -გამომცემისას დაკითხვის დროებითი წესის საკითხისათვის	37
პავლე ბერია - კანონიერების პრინციპი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით	46
ჭიბერის საბუთი თამარ მეფის ავტოგრაფით	49
თამარ ლალიაშვილი - წარსულის დაძლევის სამართლებრივი გზები და მექანიზმები საქართველოში	51
სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება - შოპფერი შვეიცარიის წინააღმდეგ	60
კომენტარი საქმეზე - შოპფერი შვეიცარიის წინააღმდეგ	71
იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილი - ცხოვრება და მოღვაწეობა	72



მოგასალმებით, კოლეგებო!

წარმოგიდგენთ ჟურნალის მესამე ნომერს. იმედს ვიტოვებ, რომ ჟურნალის ყოველი ახალი ნომერი სულ უფრო საინტერესო და თქვენს პროფესიულ საქმიანობაში გამოსადეგი ხდება.

რა არის წარმოდგენილი მესამე ნომერში:

რუბრიკაში **რედაქტორის ინტერვიუ** გთავაზობთ ინტერვიუს მთავარ პროკურორთან - ბატონ არჩილ კბილაშვილთან. ინტერვიუში თქვენ გაეცნობით მთავარი პროკურორის თვალსაზრისს პროკურატურაში მიმდინარე რეფორმების შესახებ, ავრთვევ მის მოსაზრებებს სამართლიანობის აღდგენის, უკანონო განაჩენების გადახედვისა და სხვა პრობლემებზე საკითხებზე, რომლებიც აღელვებს საზოგადოებას და პირველ რიგში საინტერესოა თქვენთვის, ადვოკატებისთვის.

ნომერში გრძელდება **სამეცნიერო სტატიების** გამოქვეყნება. იმ ადვოკატებს, რომლებიც ენვეთ სამეცნიერო მოღვაწეობას და სურვილი გაქვთ თქვენი ნაშრომები გამოქვეყნდეს ჟურნალში, გთხოვთ მოგვანოდოთ ისინი. ჟურნალის ერთ-ერთი დანიშნულება სწორედ ადვოკატებში სამეცნიერო საქმიანობის ნახალისებაა.

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების რუბრიკაში გთავაზობთ გადაწყვეტილებას „შობფერი შვეიცარიის წინააღმდეგ“, რომელიც ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ დახმარებით ითარგმნა.

ამავე ნომრის **ეთიკის** ნაწილში, ეთიკის კომისიის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებასა და ეთიკის კოდექსში ცვლილებების კომენტარებთან ერთად, მოცემულია ეთიკის კომისიის რეკომენდაციები შემოსულ კითხვებთან დაკავშირებით. ამ სიახლით სარგებლობა ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია, ამისთვის საკმარისია ეთიკის პრობლემებზე საკითხებზე რეკომენდაციისთვის წინასწარ მიმართოთ ეთიკის კომისიას.

ჟურნალში მოცემულია **ინფორმაცია** ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს წევრების ამერიკაში ვიზიტის შესახებ, რომლის დროსაც ისინი გაეცნენ გამოცდების ტექნიკური და შინაარსობრივი ორგანიზების ამერიკულ გამოცდილებას. ჟურნალი ასევე შეიცავს ინფორმაციას განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში დაგეგმილი სემინარების შესახებ.

მესამე ნომერში **ღვანულმოსილი ადვოკატებიდან** მოგიტოხრობთ ცნობილ ქართველ ადვოკატზე იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილზე, როგორც ჩვენი პროფესიის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელზე.

ნომერში ტრადიციისამებრ წარმოდგენილია **ქართული სამართლის ძეგლების** ფოტოები. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს და მის ხელმძღვანელს ბუბა კუდავას, რომლის მხარდაჭერითაც გახდა შესაძლებელი ჟურნალში ქართული სამართლის ძეგლების სურათების განთავსება.

გვინდა, მადლობა გადავუხადოთ **USAID-ის** მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტს **JILEP-ს**, რომლის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით გამოიცემა ჩვენი ჟურნალი.

პატივისცემით,

ზვიად კორძაძე

რედაქტორი

ასოცირებული პროფესორი (გაუ)

„პროკურორის ინტერესი პროცესის მოგება კი არა, სამართლიანობის აღსრულებაა“

ინტერვიუ საქართველოს მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილთან

ესაუბრა ჟურნალ „ადვოკატის“ რედაქტორი,

ადვოკატი ზვიად კორძაძე



ინტერვიუ

– მოგესალმებით, პირველ რიგში, მადლობა, რომ ხართ ჩვენი ჟურნალის რუბრიკის – „რედაქტორის ინტერვიუ“ სტუმარი. პირველი კითხვა, ალბათ, უფრო კომპლექსური და ზოგადი იქნება: როგორ ფიქრობთ, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ პროკურატურამ გაამართლა თუ არა ის მოლოდინი, რომელიც საზოგადოებაში არსებობდა, და რამდენად ადეკვატური და შესრულებადი იყო ეს მოლოდინი?

– მოგესალმებით, მივესალმები თქვენს მკითხველს. მოლოდინი არჩევნების შემდეგ ძალიან დიდი იყო და დღესაც რჩება. უმჯობესია, ვისაუბროთ იმ გამონკვევებზე, რომელიც არსებობდა ზოგადად პროკურატურის სფეროში. ერთი დიდი გამონკვევა იყო სამართლიანობის აღდგენა, უსამართლობის აღმოფხვრა. ეს კი, ფართო გაგებით, რამდენიმე შემადგენელს შეიცავს. გავრცელებული თვალსაზრისით, ეს იყო იმ სახელმწიფო მოხელეების დასჯა, რომლებიც სხვადასხვა უკანონობას ჩადიდოდნენ, უსამართლოდ მსჯავრდებული ადამიანების განაჩენთა გადასინჯვა, მათი გათავისუფლება ან პასუხისმგებლობის შემსუბუქება. იმ რეჟიმის პერიოდში მრავალი ადამიანი გახდა ძალადობისა და უსამართლობის მსხვერპლი. საზოგადოების მოლოდინი მოიცავდა უსამართლოდ ჩამორთმეული ქონებრივი უფლებების აღდგენას, ეს მოიცავდა, ალბათ, იმ პოლიციელთა, პროკურატურის მუშაკთა და მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხის დადგენას, ვისაც უკანონო ქმედება ჰქონდა ჩადენილი, სამართლიანობის აღდგენა ასევე გულისხმობდა პენიტენციურ სისტემაში პატიმართა მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას და მათდამი ჯეროვანი მოპყრობის სტანდარტის დადგენას და, საერთოდ, იმის მოლოდინს, რომ სამართალდამცავი ორგანოები მომავალში იმოქმედებდნენ კანონის შესაბამისად. შეიძლება, კიდევ არის სხვა კომპონენტები, მაგრამ ზემოთ აღნიშნული უმთავრესია. დღეს 16 სექტემბერია. სადღაც ათთვე-ნახევარია, რაც ამ კაბინეტში შემოვედი და, ვფიქრობ, გარკვეულ შედეგებზე საუბარი უკვე შეიძლება.

ჩვენ ხელი ავიღეთ სასამართლოს ტოტალურ კონტროლზე. უარი ვთქვით ისეთ პოლიტიკაზე, როდესაც საქმე აუცილებლად გამამტყუნებელი განაჩენით უნდა დასრულებულიყო, როდესაც სისტემა აიძულებდა ბრალდებულ პირს, თავი დამნაშავედ ეცნო და ბრალი ელიარებინა, რადგან სხვანაირად იგი თავს ვერ დაიცავდა. მაგალითად, 2012 წლის 1 ნოემბრის შემდეგ პროკურორის მიერ 89 პირის მიმართ იქნა მოხსნილი უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად წარდგენილი ბრალდება, მაშინ როცა ანალოგიურ ფაქტს აქამდე ადგილი არ ჰქონია. 2013 წლის პირველ ნახევარში პროკურორის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებებიდან პატიმრობა 35%-ს შეადგენდა, მაშინ როცა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში პატიმრობა 43.4%-ში იქნა მოთხოვნილი.

უარი ვთქვით საპროკურორო საქმიანობით ფისკალური ეფექტის მიღწევაზე. დღეს გირაოს სახით მოთხოვნილი თანხები და საპროცესო შეთანხმების დროს განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება წინა პერიოდის შესაბამის მაჩვენებლებს და ესეც სისტემის გაჭუმანურებაზე მიუთითებს. კერძოდ, 2013 წლის პირველ ნახ-

ევარში გირაოს სახით მოთხოვნილი თანხის ოდენობა 32%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ პერიოდში პროკურორის მიერ მოთხოვნილ გირაოს ოდენობასთან შედარებით, ხოლო საპროცესო შეთანხმებით განსაზღვრული ჯარიმის თანხა სამჯერ ჩამოუვარდება წინა წლის ანალოგიურ პერიოდში გამოყენებული ჯარიმის ოდენობას.

პროკურატურაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 300-მდე საჯარო მოხელის მიმართ, მათ შორის არის 30-მდე მაღალი რანგის თანამდებობის პირი, 7 ყოფილი მინისტრი და 1 დედაქალაქის მერი, ასევე დევნა დაიწყო ახალი ხელისუფლების მიერ დანიშნული 33 საჯარო მოხელის მიმართაც.

პროკურორებს მოეუწოდებთ, რომ აიღონ მეტი პასუხისმგებლობა (უფრო ქვედა რგოლის პროკურორებს ვგულისხმობ) და, შესაბამისად, ისარგებლონ იმ დისკრეციით, რასაც კანონი ადგენს. წარსულში ყველა გადაწყვეტილება, მნიშვნელოვანი თუ ნაკლებმნიშვნელოვანი, მიიღებოდა აქ, ან კიდევ ერთ ოთახში და კიდევ მეზობლად, იუსტიციის სამინისტროში. ამით, ასე ვთქვათ, პროკურორის პროკურორობის უფლება წართმეული ჰქონდა, ის იყო მხოლოდ შემსრულებელი. მე, როგორც ადვოკატს (და ალბათ თქვენც და სხვასაც), ხშირად მომისმენია, როდესაც პროკურორი ამა თუ იმ შემთხვევაში არ ეთანხმებოდა იმ ბრალდებას, რასაც ის უჭერდა მხარს, მაგრამ იგი გამოუვალ მდგომარეობაში იყო, ანუ სრულად იყო გაუქმებული დისკრეცია. ჩვენი მოსვლის შემდგომ ვცდილობთ, რომ დისკრეცია აღვედგინოთ პროკურორებს და განვუსაზღვროთ შესაბამისი პასუხისმგებლობაც, ვინც გადაწყვეტილებას არ იღებს, ის არც პასუხისმგებლობას გრძნობს. ჩვენთან დღეს ოლქის პროკურორი, რაიონის პროკურორი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას მთელ რიგ საკითხებზე, თუცა ეს საპროკურორო ვერტიკალში რგოლებს შორის კომუნიკაციის არ არსებობას სულაც არ ნიშნავს. ჩვენ უარი ვთქვით გაიდლაინის რუტინულ გამოყენებაზე. იგი შეიძლება დარჩეს როგორც ურთიერთობის მონესრიგებისა და ერთიანი პრაქტიკის ბაზისი, მაგრამ ცხოვრება არ არის წინასწარ განერილი თეზების ერთობლიობა. პროკურორი ცოცხალ მიკროსამყაროში საქმიანობს. სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, რეალური ვითარება შესაძლოა, სხვა გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვდეს, ვიდრე ეს გაიდლაინშია განსაზღვრული, ამიტომ ჩვენ ვეუბნებით პროკურორს: როცა ხარ პროკურორი, მიიღე კიდევ სამართლიანი გადაწყვეტილება, და არა ის, რაც გაიდლაინმა წინასწარ დააღაგა, ოღონდ გადაწყვეტილება ჯეროვნად უნდა იყოს დასაბუთებული. დისკრეციის გაზრდა უწყვეტი პროცესია. ეს არ არის შავიდან თეთრზე უცაბედი გადასვლა, რადგან აქ აზროვნების წესის შეცვლაზეცაა საუბარი და ეს დინამიკურად უნდა მოხდეს.

ჩვენ მნიშვნელოვნად განვაახლეთ პროკურატურის შემადგენლობაც. როცა მოვედი, აქ დამხვდა 333 პროკურორი და 45 გამომძიებელი. აქედან, დღევანდელი მდგომარეობით, სისტემა დატოვა 50 პროკურორმა. ესენი არიან: მთავარი პროკურორი, მისი მოადგილეები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები, ყველა ოლქის პროკურორი და რაიონის პროკურორების ნაწილი. პროკურატურაში დანიშნა 148 ახალი პროკურორი და 48 გამომძიებელი. სხვათა შორის, ახლად დანიშნულ პროკურორებსა და გამომძიებლებს შორის 70 ადვოკატია. თუ პერსონალის ცვლილებას არითმეტიკულად შევხედავთ, დავინახავთ, რომ პროკურატურის შემადგენლობა 1/3-ით არის განახლებული, მაგრამ ხარისხობრივი თვალსაზრისით, ცვლილების მნიშვნელობა მეტია, რადგან თითქმის 100%-ით არის შეცვლილი ხელმძღვანელობითი რგოლი, ხოლო რიგით პროკურორებს არ შეეხებთ და მიგვაჩნია, რომ ამ გადაწყვეტილებაში უფრო მეტი სამართლიანობაა, ვიდრე სხვა, უფრო ხისტი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. ეს მიდგომა არ გამოირიცხავს სისტემაში დარჩენილი პროკურორის პასუხისმგებლობას, თუ მის მიერ ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის ფაქტი დადგინდება.

შეიცვალა ის, რომ ვაპირებთ ატესტაციის ჩატარებას და გარდა ამისა, პროკურორებს ხშირად ვუტარებთ წვრთნებს. დრო შეიცვალა და პროკურორი უკვე ინტელექტუალურად მომზადებული უნდა გავიდეს პროცესზე. სტატისტიკურად, სასამართლოები დღეს ბრმად აღარ იზიარებენ პროკურორთა მოთხოვნებს, საერთო ჯამში, პროკურატურის მოთხოვნის

მთლიანად თუ ნაწილობრივ არგაზიარების სტატისტიკა 25%-ს აღწევს. ეს შეეხება ალკე-
თის ღონისძიებებსა და სხვადასხვა შუამდგომლობას. ეს იმდენად მნიშვნელოვანი ცი-
ფრია, რომ წამყვან დემოკრატიულ ქვეყნებსაც კი შეშურდებათ, თუ მივიჩნევთ, რომ ამ ცი-
ფრის სიმაღლე დემოკრატიის ხარისხზე მიუთითებს. ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის
მიუხედავად, არსებული მოცემულობის სიკეთე ისაა, რომ არ გვაქვს პროცესის მოგების
გარანტია, ეს კი თითოეულ პროკურორს აიძულებს, კარგად მოემზადოს და პროცესზე ისე
გავიდეს.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მოხდა პროკურატურის გახსნილობისა და ტრანსპარენ-
ტულობის მხრივ. რეგულარულად ტარდება შეხვედრები მასობრივი მედიის წარმომად-
გენლებთან, დიპლომატიურ კორპუსთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. საქა-
რთველოს პროკურატურასა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შორის 2012
წლის 27 დეკემბერს დაიდო მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რომლის
საფუძველზეც მიმდინარეობს საერთო ეთიკური სტანდარტების დადგენა და კოლიზიური
ნორმების ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის დამკვიდრება.

**- რა არის ის, რაც თქვენი გადასახედიდან ამ პერიოდის განმავლობაში პროკურა-
ტურამ არ ან ვერ გააკეთა და რა მიზეზით?**

- არ დანებებულა უკანონო განაჩენების გადასინჯვის პროცესი, თუმცა ეს პროკურატუ-
რის კომპეტენციას არც განეკუთვნება და, ზოგადად, ხელისუფლების წინაშე დასმულ
ამოცანად რჩება. უშუალოდ ჩვენ, პროკურატურას, არ გამოგვიძიებია პირთა ქონებრივი
უფლებების ხელყოფის ფაქტები და არ განგვისაზღვრავს იმ პირთა პასუხისმგებლობა,
რომლებიც ამ კანონდარღვევაში მონაწილეობდნენ. უკანონო განაჩენის გადასინჯვა
იქნება თუ ქონების უკანონო ჩამორთმევის გამოძიება, ხელისუფლებას რამდენიმე ტიპის
რთული ამოცანის გადაჭრა მოუწევს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მძიმე და ძნელად გა-
დასაწყვეტი ფისკალური საკითხი. 9560 ოფიციალური შემთხვევაა, როდესაც „მაღლიერმა
მოქალაქეებმა“ სახელმწიფოს უძრავი ქონება აჩუქეს. ვიცით, ეს როგორც ხდებოდა. ამას
ემატება ათეული მილიონობით თანხის გადახდა. მაგალითად, რაბათის ციხის აშენებას
45 მილიონი ლარი მოხმარდა და ეს თანხა „შენიშნულობის“ ხარჯზე იქნა მობილიზებული.
პრემიერმა ბოლო პრესკონფერენციაზე თქვა, რომ უხეში გათვლებით, ჩამორთმეული
ქონების ღირებულება ექვს მილიარდ ლარს შეადგენს. ასევე, განაჩენების გადასინჯვაც
უკავშირდება არამართო მარეაბილიტებელი დოკუმენტის მიღებას, არამედ ფინანსურ
მხარეს. ციხეში უკანონოდ მჯდარ პატიმარს უნდა მიეცეს კომპენსაცია, საპროცესო შე-
თანხმების ფარგლებში გადახდილი თანხა კი პირს უკან უნდა დაუბრუნდეს. გარდა ამისა,
არანაკლებად მძიმეა თანხმდევი პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრაც იმის თაობაზე,
თუ როგორ მოვეპყროთ ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, პროკურორებს, პოლიციე-
ლებს თუ მოსამართლეებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მსგავს ქმედებებში, ამის
შესახებ არც ხელისუფლებაშია ერთიანი აზრი და, მით უფრო, არც საზოგადოებაში. ამ
საკითხების გადაწყვეტაზე ხელისუფლებაში მუშაობა მიდის.

- თუმცა აქ დაისმის კითხვა: ადამიანმა, რომელიც თავის ფულს ითხოვს, უნდა იცოდეს,
რომ ითხოვს ექვს მილიარდს, რადგან თუ ის დაკმაყოფილდება, უნდა დაკმაყოფილდეს
სხვაც. უნდა განისაზღვროს, რა ურჩევნია, ექვსი მილიარდი დღეს, თუ ხვალ არაფერი.
შესაძლოა, ამ ადამიანებს დაუდგინდეთ ფაქტი, რომ უკანონოდ არიან მსჯავრდებ-
ულნი, უკანონოდ ჩამოერთვათ ქონება, ფინანსური საკითხი კი გაიწელოს დროში –
5-10 წელიწადში. ამას, ალბათ, უფრო საზოგადოებრივი შეთანხმება სჭირდება. ასევე
დგება სხვა საკითხიც – ამ ვითარების მოუგვარებლობა ელექტორატის უკმაყოფილე-
ბას იწვევს. უკმაყოფილო ელექტორატი კი მოქმედებს პოლიტიკოსზე. ასეთ შემთხ-
ვევაში, რამდენად აქვს პროკურატურას და ამ შემთხვევაში თქვენ, იმის გარანტია,
რომ ეს დადებითი პროცესები პროკურატურას უკან არ შემოუბრუნდება. პროცესები
პროგრესულია, მაგრამ ჯერჯერობით მყარად შეუქცევადი არაა, სანამ სისტემურად
ბოლომდე არ ჩამოყალიბდება. ისეთი პოლიტიკური წნეხის ქვეშ, როგორშიც შეიძლება
აღმოჩნდეს მთავრობა მოსახლეობის მხრიდან, პროკურატურას მიეცემა თუ არა ამ

ლიბერალური პოლიტიკის გაგრძელების საშუალება, ეს ხომ არ იქნება ხელისშემშლელი ფაქტორი?

– მოგახსენებთ რამდენიმე მოსაზრებას, რომელიც არსებობს ამ საკითხის გარშემო. ჩემი პირადი მოსაზრება (და არა სახელმწიფო პოლიტიკა) ასეთია – მაგალითად, ავიღოთ დროის გარკვეული მონაკვეთი, პირობითად, სამი წელი, რომლის განმავლობაშიც შევისწავლით ქონების უკანონო ჩამორთმევის ყველა შემთხვევას, დავადგენთ ფაქტებს და, შესაბამისად, ამ დროში განისაზღვრება როგორც უფლებადარღვეულ პირთა ნუსხა, ისე ფინანსური ტვირთიც და მის გადახდაზე პასუხისმგებელი პირიც. ამის შემდეგ, ვფიქრობ, სახელმწიფომ უნდა გამოცეს ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს ამგვარად უფლებამუსაზღვრელი ადამიანების რესტიტუციის საკითხს. ეს საზოგადოებას სწორ მოლოდინს გაუჩენს და პრობლემური საკითხიც დარეგულირდება.

არსებობს სხვა მოსაზრებაც: თქვენ ელექტორატი ახსენეთ. ვინც ქონებრივი უფლების ხელყოფა განიცადა, მათი რაოდენობა შესაძლოა, ელექტორატის 5 %-საც არ შეადგენდეს. სავარაუდოდ, დანარჩენ 95%-ს არ ანუხებს მათი საკითხი და, მოდი, ნუ დავამძიმებთ 95%-ს ამ პრობლემით. მათ სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაზე ვიფიქროთ და ტვირთად ნუ ავკიდებთ ამ 5%-ის ბედს ელექტორატის 95%-ს. მით უმეტეს, ამ აზრის მესვეურებს ისიც აქვთ არგუმენტად, რომ, კარგად გვახსოვს, შევარდნაძის დროს 5%-მა როგორ მოიპოვა თუ მოიხვეჭა ეს ქონება. გავრცელებული აზრით, მათ უმრავლესობას ქონება უკანონოდ აქვს შეძენილი და თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ ერთი უკანონობა (ქონების უკანონოდ შექმნა) მეორე უკანონობით (ქონების უკანონოდ ჩამორთმევა) იქნა აღსაწვლელი და, საერთო ჯამში, თითქოს დიდი უსამართლობაც არ არსებობს. გარდა ამისა, ქონებრივი საკითხის სიმყიფე ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობის დადგენასაც ხელს უშლის. ძნელია ამ მოსაზრებაში რაციონალური მარცვალი არ დაინახოთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს მსჯელობა სოფისტურ ელემენტებსაც შეიცავს.

– და მაინც მე აქ ერთ პრობლემას ვხედავ, თუმცა კარგად მესმის, რომ აქ არის სხვა საკითხებიც, რომლებიც სახელმწიფოს უქმნის პრობლემას. აი, რით უგებს პირველი პოზიცია მეორეს – უნდა შექმნა, ასე ვთქვათ, „სარკმელი“, სადაც ადამიანი თავისი პრობლემებით მივა. დღეს პრობლემაა „სარკმელი“, სადაც ადამიანები მივლენ და მიიტანენ საჩივრებს უკანონო განაჩენებთან დაკავშირებით.

– დღეის მდგომარეობით, დაახლოებით 100 საქმე გვაქვს გამოძიებული და რომ დავითვალოთ, ფისკალური ეფექტი აღწევს 15 მილიონი დოლარს, 30 მილიონი ლარს და რამდენიმე ათას ფუნტ სტერლინგს. ამ 100 საქმის გამოძიების დასრულება ჩვენთვის რთული არ არის. გამოვუწერთ მოქალაქეს ქვითარს და გვერდით ფინანსთა სამინისტრომ რომ დგას, იქ გავაგზავნით, მაგრამ, ცხადია, ასე მარტივადაც არ არის საქმე და ამიტომაც ეს საკითხი სახელმწიფოებრივად საჭიროებს დალაგებას.

არანაკლებ პრობლემურია პასუხისმგებლობის საკითხიც. გულსატკეპნია, რომ პროკურატურის ორგანოები პოლიტიკური მიზნების შესასრულებლად იყო გამოყენებული. ამის გამო იძულებულნი ვაგვხდით, კარგი კვალიფიკაციის მქონე ადამიანები მარტო იმიტომ გავგეშვა, რომ მათ ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავათ. მე ადამიანურად გული მწყდება შეწყვეტილ კარიერაზე და მათ განათლებაში დახარჯულ სახელმწიფო სახსრებზე. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ მომავალში მსგავსი რამ არ დაგვემართოს. ჩემი მიზანია, პროკურატურაში ჩემი გუნდი კი არ ჩამოყალიბდეს, არამედ პროფესიონალების გუნდი შეიქმნას. ამისათვის პოლიტიკისაგან შორს უნდა დავდგეთ. დღეს ბევრი ადამიანი გვსაყვედურობს, რომ პროკურატურაში იგივე ადამიანები მუშაობენ, ვისგანაც წარსულში წყენა აქვს მიღებული. ეს მართალია. პროკურორთა 70% ისევე ჩვენთან მუშაობს. მე მესმის ასეთი ადამიანის პროტესტისა, მან უკანონო ქმედება განიცადა კონკრეტული შემსრულებელი პროკურორისაგან, მაგრამ სწორი იქნება, რომ ყველა დავითხოვოთ? როდესაც შევარდნაძის ხელისუფლება შეიცვალა, უნდა ვაღიაროთ, რომ იმ დროს, ფაქტობრივად, ყველა სახელმწიფო ორგანო (და მათ შორის პროკურატურაც) ამკარად კორუმპირებული იყო, ყველა

გაუშვეს კორუმპირებულობის მიზეზით. მაშინ ამან საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. დღეს რასთან გვაქვს საქმე – დღეს არც პროკურატურაში და, მაღლობა ღმერთს, არც სხვა სახელმწიფო ორგანოში კორუფცია არ არის. ეს მონაპოვარია და უნდა შევინარჩუნოთ. სამაგიეროდ, გვაქვს უსამართლობასთან დაკავშირებული პრეტენზიები. თითქოს ისტორია მეორდება. დღეს ჩვენ ვგმობთ იმ მოსამართლეების, პროკურორებისა თუ პოლიციელების ხელალებით გაყრას, რომლებიც, ასე ვთქვათ, კორუმპირებულნი იყვნენ, რადგან ღრმად რომ განვსაჯოთ, ისინი იძულებით იყვნენ კორუმპირებულნი. როდესაც 70 და 100 ლარი ჰქონდათ ხელფასი, იქ სხვა საშუალება „არ ჩანდა“. ამიტომ მათი ასე ხელალებით გაყრა უსამართლობა იყო. დღეს ვდგავართ ცდუნების წინაშე, კიდევ ერთხელ ჩავატაროთ სამსახურების სისტემური ნმენდა, ოღონდ ამჯერად უსამართლობის საფუძვლით.

– მაგრამ იმ დროს იყო ასაკობრივი რესურსი. ახლა სხვა მდგომარეობაა. ჩემი აზრით, არსებობს ასაკი, რომლის ქვემოთაც ადამიანს პასუხისმგებლობები არ უნდა დააკისრო. საკითხავია, ეს ხალხი რომც გაუშვა სამსახურიდან, არსებობს კადრების სრულფასოვნად შეცვლის რესურსი?

– ლოგიკური კითხვაა. წინა ხელისუფლებამ უნივერსიტეტის აუდიტორიებიდან მიიყვანა პროკურორებად ახალგაზრდები. ამან სიკეთედ ის მოიტანა, რომ მივიღეთ თაობა, რომელმაც კორუფცია არ იცის. ეს არის გიგანატური ნახტომი წინ. სამაგიეროდ, მცირესტაჟიანი ადამიანი უსამართლო პოლიტიკის იოლად შემსრულებელი გახდა და მივიღეთ მეორე უკიდურესობა — ქვეყანაში უსამართლობის განცდამ დაისადგურა. ახლა საკუთარ თავს, საკუთარი შურისძიების განცდას უნდა მოვერიოთ და ვიყოთ შემწყნარებლები იმათ მიმართ, რომლებიც უსამართლო სახელმწიფო პოლიტიკის შემსრულებელი გახდნენ. დღეს ისინი გულმოდგინედ მუშაობენ და ემსახურებიან სახელმწიფოს. დღეს შერჩევის ან გადარჩევის კრიტერიუმი მუშაკის სათანადო კვალიფიკაცია უნდა გახდეს. სახელმწიფოს რომ ყველა მათგანი ერთიანად გაეშვა, სამართლიანობა დაიკარგებოდა.

– თუმცა ეს არ არის პოპულარული გზა.

– დიახ, არ არის პოპულარული! პოპულარული იქნებოდა, ერთიანად ყველა გაგვეშვა. ათასობით ადამიანისადმი ასეთი მიდგომა, არა მგონია, სამართლიანი იყოს. პირიქით, ახალი უსამართლოების კერა გაჩნდებოდა. დრო რომ გავა, ემოციები რომ დაცხრება, ეს ნაბიჯი უსამართლოდ მოგეჩვენება. თანდათანობით გადახალისება კი ყოველთვის იქნება.

– ვისაუბროთ თქვენს სფეროში გატარებულ სიახლეებზე. რა სიახლეები დაინერგა ან ინერგება პროკურატურაში, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო სტრუქტურულ მოწესრიგებას, არამედ ხარისხობრივი კომპონენტის ზრდასაც?

– ჩემი სურვილია, ამაღლდეს პროკურატურის როლი. საზოგადოებრივ აზრში პროკურატურა რეპრესიული მანქანა იყო. ის უნდა ამაღლდეს სამართალდამცავი ორგანოს ხარისხში. ეს დაახლოებით ისეთივე გზაა, როგორც ქვემეგრდომობიდან მოქალაქეობამდე.

სიახლედ მესახება ისიც, რომ ჩვენ ვცდილობთ პატიმრობა, როგორც ალკვეთის ღონისძიება, ყველაზე მინიმალურ შემთხვევებში იქნეს გამოყენებული. ამ მიზნით, მიმდინარე წლის ივლისის თვეში პროკურატურამ საზოგადოებას წარუდგინა ახალი ინიციატივა არაძალადობრივ დანაშაულებებზე ალკვეთის ღონისძიების სახით არასაპატიმრო სასჯელის გამოყენების თაობაზე. ამ ინიციატივას მხარი საზოგადოებასთან ერთად აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმაც დაუჭირა. ჩვენ საინტერესოდ მივიჩნიეთ აშშ-ის მაგალითი, სადაც ალკვეთის ღონისძიების გამოყენების წინ სპეციალური ორგანო — წინასასამართლო მომსახურების ოფისი – გასცემს რეკომენდაციას ბრალდებულის მიმართ ალკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ და თუ მისი რეკომენდაცია გაზიარებული იქნება და ეს არასაპატიმრო ღონისძიება გამოდგება, მაშინ იგივე სამსახური სხვადასხვა ფორმით განახორციელებს მონიტორინგს ბრალდებულის ქცევაზე. ვფიქრობ, ანალოგიური სამსახურის შექმნა ხელს შეუწყობს საქართველოში ალკვეთის ღონისძიების სამართლიანად შერჩევას. ამჟამად მიმ-

დინარეობს მუშაობა მსგავსი ინსტიტუტის ჩამოყალიბებისათვის საჭირო საკანონმდებლო და მატერიალური ბაზის შექმნაზე.

შეიძლება გამაკრიტიკოს რომელიმე ადვოკატმა და მომიყვანოს კონკრეტული შემთხვევა, როცა ჩვენი მიერ მოთხოვნილი პატიმრობა არ იყო ზემოთ აღნიშნული დეკლარაციის შესაბამისი. ასეთ გამონაკვეთს ვუპასუხებ, რომ ერთი ხელის მოსმით ვერ გადავალთ ერთი სივრციდან მეორეში და თუ ცალკეულ გამოჩაქვითან გვექნება საქმე, უნდა მივიჩნიოთ, რომ მოცემულ ეტაპზე სურვილი და შესაძლებლობა ერთმანეთს არ ემთხვევა და პრობლემის აღმოფხვრის გზები უნდა დავსახოთ. საკუთარ თავზე მაღლა დგომა ძნელია, გაზრდაა საჭირო. არსებობს დანაშაულთან ბრძოლის აპრობირებული მეთოდები და მანამ, სანამ ახალი მეთოდები არ ჩამოყალიბებულა, წინა მეთოდების ერთიანად განდევნა შეიძლება დამაზიანებელიც იყოს. ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობა კი ამ მხრივ კანონზომიერი და პოზიტიურად განვითარებადი.

– ეს აღმკვეთი ღონისძიების, როგორც არა დასჯის, არამედ გამოძიებისთვის საჭირო ღონისძიების განმარტებასაც შეუწყობს ხელს. მოსახლეობა აღკვეთის ღონისძიებასა და შემდგომ სასჯელს ერთნაირად აღიქვამს.

– აბოსლუტურად! წინა რეჟიმის დროს პატიმრობა რომ არ შეეფარდებინა პირველ და მეორე ინსტანციას, სულ სხვა შედეგი დადგებოდა განაჩენის გამოტანის დროს. შეიძლება ყველაზე მეტი საყვედური სწორედ იმ აღმკვეთი ღონისძიების განმხილველ მომსამართლეებს ეკუთვნოთ, რომლებმაც არასწორად გამოყენებული საპატიმრო ღონისძიებებით საზოგადოების მართლშეგნება გაამრუდეს.

რაც შეეხება სხვა სიახლეებს, აქ საგარეო ურთიერთობაში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საქართველოს პროკურატურის ინტეგრირება პროკურატურათა საერთო ევროპულ ოჯახში. რატომღაც საგარეო ურთიერთობები მეორადი მნიშვნელობის სფეროდ იყო მიჩნეული, არადა, ეს შეხედულება მცდარია. ამ რამდენიმე დღის წინ ვმონაწილეობდი პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის კონფერენციაში, რომელიც მოსკოვში გაიმართა. კონფერენციაზე 100-ზე მეტი ქვეყნის დელეგაცია იყო წარმოდგენილი და მათ შორის 70-მდე პროკურატურა პირველი პირის მეთაურობით. კონფერენციაზე საყურადღებო საუბარი გვექნა იტალიის პროკურატურის წარმომადგენლებთან, რომლებმაც ქართული წარმოშობის კრიმინალებთან ბრძოლაში დახმარების თხოვნით მოგვმართეს და ნოემბერში ოფიციალური ვიზიტით რომში მიმინვიეს, ასევე მივიღე მოწვევა ჩეხეთის პროკურატურისაგან. უახლოეს ხანებში იგეგმება ოფიციალური ვიზიტი გერმანიაში. ინტეგრაციის თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის გამოყენება, რომლის წევრი ქვეყანაც ვართ. დღეს ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტთან, ისინი ხედავენ ჩვენს მცდელობას, სწრაფვას განვითარებისაკენ და მოგვყვებიან ამაში. გვინდა კარგი ურთიერთობა ჩამოვაყალიბოთ მეზობელ სახელმწიფოებთან: სომხეთთან, აზერბაიჯანთან, რუსეთთან, ყაზახეთთან, ბელორუსთან და სხვა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან. გვინდა-არგვინდა, საქართველოს ბევრი მოქალაქე ცხოვრობს ამ ქვეყნებში. ასეთ ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობის აწყობა ჩვენი მოვალეობაა. შეიძლება ვილაცამ პოლიტიკური ვექტორი დაინახოს ამაში, მაგრამ სადაც შენი მოქალაქეებია, შენც იქ უნდა იყო.

საშინაო ურთიერთობაში პრიორიტეტად მიგვაჩნია სამართალდამცავ ორგანოებში პროკურატურის როლის ამაღლება და თვით პროკურატურის შიდა სტრუქტურული რეორგანიზაცია.

კანონში გვიწერია ასეთი რამ: პროკურატურის ფუნქცია არის გამოძიებაზე ზედამხედველობა. კანონის კონცეფცია მარტივია: კანონმა ძალა და უფლება დაანაწევრა და თუ სხვადასხვა საგამოძიებო დანაყოფის მქონე დაწესებულებას ძალა (შეიარაღებული რაზმები, ოპერატიული უზრუნველყოფა) მიანიჭა, სამაგოეროდ, პროკურატურა უფლებით აღჭურ-

ვა, რათა ძალა და უფლება ერთ ხელში არ მოხვედრილიყო და ძალაუფლების ჭარბი კონცენტრაცია არ წარმოშობილიყო. ჩვენ გვსურს, რომ კანონის ეს დანაწესი განუხრელად იქნეს შესრულებული, ამიტომ, პროკურატურის როლი უნდა გაიზარდოს. რაც შეეხება შიდა გარდაქმნებს, ჩასატარებელი რეფორმის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ პროკურატურის ცენტრალურ რგოლში მოხდეს ფუნქციონირების იხეთი დივერსიფიკაცია, როგორც ოპტიმალურ გადანაცვლებათა მიღებას უზრუნველყოფს.

– ცალკე საკითხია საკანონმდებლო ბაზა... ადვოკატების მხრიდან იყო კონკრეტული შენიშვნები ჩხრეკისა და ამოღების უფლების შესახებ ცვლილებებთან დაკავშირებით. ეს უფლება საერთოდ არ არსებობდა, შემოვიდა, მაგრამ გადაინია დროში; ასევე მნიშვნელოვანია მონმის სასამართლოზე დაკითხვის საკითხიც, მისი დროში გადაწვევაც მოხდა. რასთან გვაქვს საქმე: ამ საკითხების გადადების პრობლემა მხოლოდ ვადებს უკავშირდება თუ ეს სხვა მნიშვნელოვანი სიმპტომია. ეს ორი ცვლილება, განსაკუთრებით მონმესთან დაკავშირებული, განასხვავებს ინკვიზიციურ პროცესს შეჯიბრებითობის პროცესისაგან. თუ ეს დროებითი მოვლენაა, რა ახსნა აქვს? თუ საქმე გვაქვს ინკვიზიციურ პროცესზე დაბრუნებასთან, რომელიც უფრო ძირულ ცვლილებებს გამოიწვევს? ინკვიზიციურ პროცესსაც აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ეს გამოიწვევს დღევანდელ საპროცესო კოდექსს. ეს დროებითი მოვლენაა, თუ ტენდენცია, რომელსაც თავისი მიმართულება აქვს და მივყავართ სისტემის ცვლილებამდე? ან ეს ხომ არ არის წინა ხელისუფლებიდან გადმოსული მანკიერება, როდესაც ცვლილებები საჭიროებისამებრ იგვემეზობდა, როდესაც საკანონმდებლო პროცესი არ იყო გააზრებული?

– ჩვენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამერიკული მოდელი გვაქვს. ამ მოდელის მნიშვნელოვნად დადებითი მომენტია შეჯიბრებითობის მაღალი დონა. ეს ზრდის პროფესინალიზმს და ამალღებს ხარისხს. სამაგიეროდ, უკანა პლანზე არის გადანეული ინკვიზიციურობის პრინციპი, რომელიც სოციალურად ნაკლებად დაცულ მოქალაქეებს ემსახურება. შეჯიბრებითობა ინკვიზიციურობის წინააღმდეგ – ეს ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული პატივსაცემი სიკეთეა. ჩვენ დაგვხვდა ამერიკულ სისტემაზე გადასული მოდელი, თუ ეს ასეა, მაშინ მონმის დაკითხვის ინსტიტუტიც ამ მოდელის არსებითი ნაწილია და მოგვონს თუ არა იგი, უნდა მივიღოთ, როგორც არჩეული მოდელის შემადგენელი ელემენტი. დღეს კამათი მხოლოდ იმაზეა, თუ რამდენად მზად არის სახელმწიფო ამ წესისათვის. საჭიროა როგორც საზოგადოების მართლმეგნების ამალღება, ისე პროკურორთა და გამომძიებელთა სათანადო მომზადება.

– ადვოკატთა პრეტენზიები უფრო იქითკენ მიდის, რომ მონმის დაკითხვის ამ წესის შენარჩუნება იმითომ ხდება, რომ ამ გზით გამოძიება მონმის სტატუსით მიყვანილი პირის სტატუსის გააზრდას „ახდენს“ ბრალდებულის სტატუსში. თუ კვლავ დადგავადის გადანევის საკითხი, მაშინ ვადის მომდევნო გადანევაზე სასურველია, ვიფიქროთ ამ სისტემის მიზაშენონილობაზე.

– საჭიროა ამ საკითხის სახელმწიფოებრივი ხედვა. ათი თვის განმავლობაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებში დაცვის მხარის სასარგებლოდ ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, მაგალითად, რად ღირს ის, რომ პრეიუდიცის ნორმაში შევიდა ცვლილება და პრეიუდიციად აღარ გვევლინება სხვა პროცესზე გამოტანილი განაჩენით დადგენილი ფაქტები, რომელიც ამ ცვლილებამდე იყო პრეიუდიცია. ეს დაცვის მხარისათვის სასარგებლოდ მნიშვნელოვანი მომენტია. ჩხრეკისა და ამოღების უფლების დაცვის მხარისათვის მინიჭება პირადად მე აუცილებლად არ მიმაჩნია.

– ეს პრობლემა უფრო მეტად თავის დროზე ამ საკითხის არასწორმა განმარტებამ გამოიწვია, ანუ იმ ნაწილმა, რომელსაც ინფორმაციის გამოთხოვა ჰქვია. ამოღება დაერქვა ინფორმაციის გამოთხოვას და, შესაბამისად, ადვოკატებს ეს უფლება საერთოდ ნაკვეთია. ადვოკატებს, ძირითადად, ჩხრეკა და ამოღება გვანტერესებს, ინფორმაციის ამოღება/მიღების კუთხით, ამას თავისი სახელი უნდა დაერქვას.

– გეთანხმებით, სამოქალაქო პროცესის დროს ადვოკატს შეუძლია ერთი უბრალო შუამდგომლობის საფუძველზე მოიპოვოს ესა თუ ის მტკიცებულება. სისხლის სამართლის პროცესის დროს, როცა ადამიანის ბედი წყდება — არა, რაც არალოგიკურია და არა იმიტომ, რომ ამას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კრძალავს, არამედ იმიტომ, რომ საპროცესო კოდექსის არასწორი ინტერპრეტაცია იქნა ჩამოყალიბებული, თორემ ამ კანონის მე-9 მუხლი მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვების უფლებას ითვალისწინებს. ამიტომ ყურადღება ამ უფლების რეალიზებაზე უნდა იქნეს გადატანილი და არა ჩხრეკასა და ამოღებაზე, რომელიც სამართალდამცავი ორგანოს კომპეტენციაა.

– დაბოლოს, რას ეტყოდით ყოფილ კოლეგებს?

– აშშ-ში პროკურორი არის მთავრობის ადვოკატი, ასე რომ, თუ ამერიკულ მოდელს გამოვიყენებთ, ახლაც ადვოკატი ვარ, ოღონდ მთავრობის. მე მსურს, მართლმსაჯულების განსახორციელებლად თანასწორი ველი არსებობდეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებს შორის, პროკურორებისა და ადვოკატების დამოკიდებულება გაჯერებული უნდა იყოს პროფესიული ურთიერთპატივისცემით. შედეგი მაშინ არის წარმატებული, თუ იგი ღირსეული ბრძოლის შედეგად მიიღწევა. ეს გამოწვევა თანაბრად ეხება ადვოკატებსაც და პროკურორებსაც. პირადად მე, როგორც პროკურორი, ვცდილობ ვიხელმძღვანელო ამერიკელი მოსამართლის სადერლენდის მიერ საქმეში **Berger v. United States (1935)** მოყვანილი პროკურორის როლის მსაზღვრელი დებულების შესაბამისად: „პროკურორი არ არის მხოლოდ პროცესზე წარმოდგენილ დაპირისპირებულ მხარეთაგან ერთ-ერთი, არამედ იგი სუვერენული ხელისუფლების წარმომადგენელია, რომლის მოვალეობაა მართოს მიუკერძოებლად, ისევე როგორც იგი ვალდებულია, მართოს პროცესი საერთოდ. აქედან გამომდინარე, პროკურორის ინტერესი სისხლის სამართლის პროცესში საქმის მოგება კი არა, სამართლიანობის აღსრულებაა. ის, გარკვეული თვალსაზრისით, სამართლის მსახურია, მისი ორმაგი მიზანია, ერთი მხრივ, ვერც ერთმა დამნაშავემ ვერ მოახერხოს პასუხებისგან, სასჯელისგან თავის დაღწევა, ხოლო, მეორეს მხრივ, არ დაისაჯოს უდანაშაულო, მან უნდა განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა მთელი სერიოზულობით და პროფესიული სიზუსტით. მაგრამ როდესაც პროკურორი ახორციელებს მძლავრ დარტყმებს, მას არა აქვს უკადრებელი დარტყმების უფლება. მისი მოვალეობაა, თავი შეიკავოს უკადრებელი მეთოდისგან, რადგან ეს უსამართლო განაჩენის დადგომას უწყობს ხელს, ამავედროულად, მან უნდა გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება სამართლიანი განაჩენის გამოსატანად.“

ჩემი აზრით, ეს შეგონება ერთნაირად ეხება როგორც პროკურორს, ისე ადვოკატს. შევძლოთ და ვემსახუროთ მართლმსაჯულებას, ეს არის ჩემი მონოღება ადვოკატების მიმართ.

– კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ინტერვიუსთვის.





საქართველოს
აღმოსავლეთის
ასოციაციის
სასწავლო
ცენტრი

ადვოკატთა ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!

აკრედიტებული საგანმანათლებლო ღონისძიებების/
ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მისაღებად და
რეგისტრაციის გასაგვლელად გთხოვთ, მოგვწეროთ ან
დაგვიკავშირდეთ:

**ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
სასწავლო ცენტრი**

ტელ: (+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708

sascavlocentri@gba.ge

education@gba.ge

მის: ძმ. ზუბალაშვილების 36.



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დელეგაცია
ვირჯინიის შტატის ადვოკატთა გამომცდის საბჭოს
წევრებთან ერთად

ამერიკის შეერთებული შტატების
საერთაშორისო განვითარების საა-
გენტოს (USAID) და მართლმსა-
ჯულების დამოუკიდებლობისა და
სამართლებრივი გაძლიერების პრო-
ექტის (JILEP) მხარდაჭერით საქა-
რთველოს ადვოკატთა ასოციაციის
საგანმანათლებლო საბჭოს წევრები
და სასწავლო ცენტრის თანამშ-
რომლები სასწავლო ვიზიტით იმე-
ოფებოდნენ ამერიკის შეერთებულ
შტატებში. ვიზიტის ფარგლებში
მონაწილეებს ჰქონდათ საშუალება

დასწრებოდნენ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდას ვირჯინიის შტატის ქალაქ როა-
ნოკში, შეხვედროდნენ ვირჯინიის “ადვოკატთა გამომცდელთა საბჭოსა” და ამავე შტატის
წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლებს; ასევე მონაწილეობა მიიღეს ადვოკატთა
საგამოცდო შეკითხვების განხილვაში გამომცდელთა ეროვნული კონფერენციის ყოველწ-
ლიურ შეხვედრაზე მედიონში (ვისკონსინის შტატი).

ვირჯინიაში გამოცდას აბარებდა 1600 გამოსაცდელი, რომლებიც, ჩვეულებრივ, საკუ-
თარი ლეპტოპით მოდიან გამოცდაზე და იკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილს დარბა-
ზში. გამოცდა მსურველთა სიმრავლის გამო ტარდება უზარმაზარ დარბაზში, რომელიც
სხვა დროს საკალათბურთო თამაშებისთვის, კონცერტებისა და გამოფენებისთვის გამოი-
ყენება. ყველა მონაწილე გამოცდაზე ისეთივე ჩაცმული მოდის, როგორც სასამართლოში
გამოცხადდებოდა საკუთარი კლიენტის ინტერესების დასაცავად. ვირჯინია ერთადერთი
შტატია, სადაც გამოსაცდელებს გამოცდაზე აკადემიური ჩაცმულობა მოეთხოვებათ
და სადაც ამას მკაცრი ყურადღება ექცევა. ვირჯინიაში გამომცდის ჩაბარება მხოლოდ
კომპიუტერით არ იზღუდება და მსურველებს ხელით წერის უფლებაც აქვთ; მათთვის,
ჩვეულებრივ, ცალკე დარბაზია გამოყოფილი; თუმცა უნდა ითქვას, რომ ხელით წერის
მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება ამჯერად 1600 კანდიდატიდან მხ-
ლოდ 140 პირი იყო გამომცდის ხელით დანერის მსურველი.

ამერიკის შეერთებული შტატების ყველა შტატში ტარდება საადვოკატო გამოცდა, რომელიც გამომცდელთა ეროვნული კონფერენციის შემოღებულა და მას ერთდროულად ახორციელებს ყველა შტატი ყოველი წლის თებერვლისა და ივლისის ბოლო ოთხშაბათს. ამ გამოცდის მიზანია შეამოწმოს კანდიდატის უნარი გამოიყენოს ფუნდამენტური იურიდიული პრინციპები და სამართლებრივი დასაბუთება კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით.

ვირჯინიაში კანდიდატებს ადვოკატის სერტიფიკატის მისაღებად ორი გამოცდის ჩაბარება უწევთ: წერიტისა (კაზუსები) და ტესტურის.

ტესტური გამოცდა შედგენილია გამომცდელთა ეროვნული კონფერენციის მიერ; იგი 1931 წელს შეიქმნა და მისი მისიაა იურიდიულ პრაქტიკაში უნიფიცირებული სტანდარტების დამკვიდრება იურიდიულ პრაქტიკაში განვერიანებისას და სტანდარტიზებული საგამოცდო სისტემის შექმნა, სადაც მოხდება განმცხადებელთა უნიფიცირებული და მაღალი ხარისხის ტესტირება იურიდიული პრაქტიკის დანყების წინ. როგორც აღვნიშნეთ, ეს გამოცდა ამერიკის შეერთებული შტატების ყველა შტატში ერთსა და იმავე დღეს ტარდება.

ტესტურ გამოცდაზე სულ 200 ტესტური შეკითხვაა ოთხი სავარაუდო პასუხით და ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად კანდიდატს 6 საათი ეძლევა. გამოცდა იყოფა დილისა და შუადღის სესიებად, შუაში ერთსაათიანი შესვენებით. თითო სესიაზე კანდიდატი 100 შეკითხვას უპასუხებს და სესიის დასრულების (ანუ 3 საათის ამონურვის) შემდეგ მას აღარა აქვს შესაძლებლობა მიუბრუნდეს იმავე შეკითხვებს. გამოცდაზე შეკითხვები შემდეგი სფეროებიდანაა: საკონსტიტუციო სამართალი, საკონტრაქტო სამართალი, სისხლის სამართალი და პროცესი, მტკიცებულებები, უძრავი ქონება და დელიქტი. ადვოკატობის მსურველი ვირჯინიაში ვალდებულია კიდევ ერთი გამოცდა ჩააბაროს, რომელიც ასევე 6 საათს გრძელდება და შედგება სამართლის სხვადასხვა სფეროდან შედგენილი ცხრა კაზუსისგან. ეს გამოცდაც ორ სესიად იყოფა, პირველ სესიაზე გამოსაცდელი 5 შეკითხვას პასუხობს, მეორე სესიაზე კი - 4 შეკითხვას. ამ ორი გამოცდის შედეგები ჯამდება და კანდიდატი იღებს საერთო ქულას, რომელიც მას ანიჭებს, ან არ ანიჭებს, იურიდიული პრაქტიკის განახორციელების უფლებამოსილებას.

ივლისში ჩაბარებული გამოცდის შედეგები კანდიდატებისთვის ცნობილი ხდება ნოემბერში, მანამდე კი მათ ეკრძალებათ ადვოკატ-გამომცდელებთან დაკავშირება და შედეგების წინასწარ გაგება, ამ პირობებზე გამოსაცდელი გამოცდის დანყებამდე აცხადებენ თანხმობას ხელმოწერით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დელეგაციის წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ დასწრებოდნენ გამოცდისთვის დარბაზების მომზადებას, კანდიდატების დარბაზში რეგისტრაციის პროცესს და უშუალოდ გამოცდის მიმდინარეობას, გასაუბრებოდნენ კომპანიას, რომელიც უზრუნველყოფს გამოცდაზე კომპიუტერული პროგრამის გამართულ მუშაობას და გარეწყაროებთან წვდომის შეზღუდვას, შეხვედროდნენ დამკვირვებლებს, რომლებიც ძირითადად არიან სკოლის მასწავლებლები, და გასაუბრებოდნენ მათ, ასევე დასწრებოდნენ ვირჯინიის შტატის “ადვოკატთა გამოცდის საბჭოსა” და ამავე შტატის უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტების წარმომადგენელთა შეხვედრას და გამოცდის შეკითხვებსა და გამოცდის ორგანიზებაზე მსჯელობას. მიღებული გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის “ადვოკატის გამოცდის” რეფორმის ამ მნიშვნელოვან პროცესში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლო ვიზიტს ორგანიზება გაუწია მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტმა (JILEP) და მისმა ექსპერტმა ჯონ გასკილმა, რომელიც ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში 2013

ნლის იენისში და დაეხსრო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ გამოცდას, რომელიც დადებითად შეაფასა. ასევე ჩაუტარა ტრენინგი მომავალში საგამოცდო შეკითხვების ავტორებს ფაქტებზე დაფუძნებული ანალიტიკური შეკითხვების წერის ტექნიკაში. ბატონი ჯონ გასკილი პირველად საქართველოში 1997 წელს იყო, როდესაც სასამართლო რეფორმა ის-ის იყო იწყებოდა და როდესაც პირველად ჩატარდა მოსამართლეთა გამოცდები. იგი უკვე 46 წელია ამ სფეროში მოღვაწეობს და, შესაბამისად, ადვოკატთა გამოცდებზე მუშაობის უდიდესი გამოცდილება აქვს. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მომავალშიც გეგმავს მასთან თანამშრომლობას და მისი ცოდნის გამოყენებას გამოცდის რეფორმის წარმატებით განხორციელების პროცესში.

ქეთევან ქვარცხავა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს წევრი — ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტმა შესაძლებლობა მოგვცა მონაწილეობა მიგველო ადვოკატთა გამოცდის ორგანიზების, ჩატარებისა და შეფასების პროცესში, რამაც საშუალება მოგვცა უკეთ გაგვეგო ამერიკული სისტემა, რომელიც სათანადო ცვლილებებით შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოში მომავალი თაობის პროფესიაში გაწევრიანების მიზნით.

კობა ბოჭორიშვილი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისა და საგანმანათლებლო საბჭოს წევრი — ძალიან საინტერესო იყო, თუ როგორ თანამშრომლობენ უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტები და ვირჯინიის “ადვოკატთა გამომცდელთა საბჭო” გამოცდის ორგანიზებისა და შეკითხვების შეფასების კუთხით. პროფესორებს საშუალება ეძლევათ ყოველი გამოცდის დასრულების შემდეგ გამომცდელს გაუზიარონ საკუთარი მოსაზრებები კაზუსებთან დაკავშირებით და მისცენ რჩევები. ასევე საინტერესო გამოცდილება მივიღეთ მედიკონში გამომცდელთა ეროვნული კონფერენციის შეხვედრაზე, სადაც მოვისმინეთ სხვადასხვა შტატის წარმომადგენელთა მოსაზრებები კაზუსების შეფასების თაობაზე; ეს იყო შესანიშნავი მაგალითები გუნდური მუშაობისა, როდესაც მიზანი საერთოა — კვალიფიციური იურიდიული პროფესიის ჩამოყალიბება. ვისურვებდი გამოცდის შეკითხვების შედგენისა და შეფასების მსგავსი ფორმის დანერგვას საქართველოში.

გოჩა სვანიძე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოსა და საგანმანათლებლო საბჭოს წევრი: — ამერიკაში ვიზიტმა თვალნათლივ დაგვანახვა, თუ როგორ მუშაობს გამართული საგამოცდო სისტემა და როგორ პასუხობს იგი მის წინაშე დასახულ ყველა ამოცანას. ეს განსაკუთრებით ეხება გამოცდის შინაარსს, რაც უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მიღებას ადვოკატთა რიგებში. ჩვენ ამ გზას დავადექით, საგამოცდო სისტემა ყოველწლიურად იხვეწება და იმედი მაქვს, რომ რამდენიმე წელიწადში სასურველ შედეგს მივიღებთ.

სტატია მომზადებულია **თინა ქარსელაძის**,

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

სასწავლო ცენტრის დირექტორის მიერ.

ტრენინგი სამოქალაქო სამართლისა და საერთო სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის!

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი აცხადებს სამოქალაქო სამართლისა და საერთო სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის ტრენინგებზე რეგისტრაციას. უპირატესობა მიენიჭება ადვოკატებს, რომლებსაც ჯერ არ დაუგროვებიათ 2013 წლისათვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტები.

1. ტრენინგის თემა: ქონების რეგისტრაცია.

ტრენინგის ხანგრძლივობა: 6 საათი.

ტრენინგების ჩატარების თარიღები: 10, 11, ოქტომბერი.

ტრენინგის დაწყების დრო: 10:00.

ტრენერი: ვანდა ჭიჭელავა.

2. ტრენინგის თემა: ინტელექტუალური საკუთრება.

ტრენინგის ხანგრძლივობა: 6 საათი.

ტრენინგების ჩატარების თარიღები: 12, 19, ოქტომბერი.

ტრენინგის დაწყების დრო: 10:00.

ტრენერი: ნიკოლოზ გოგილიძე.

3. ტრენინგის თემა: ხელშეკრულების განმარტება.

ტრენინგის ხანგრძლივობა: 6 საათი.

ტრენინგების ჩატარების თარიღები: 14 ოქტომბერი.

ტრენინგის დაწყების დრო: 10:00.

ტრენერი: ლევან ჯანაშია.

4. ტრენინგის თემა: კონდიქციური და ვინდიკაციური სარჩელები – გამოყენების სფერო, მეთოდები და საშუალებები.

ტრენინგის ხანგრძლივობა: 6 საათი.

ტრენინგების ჩატარების თარიღები: 18 ოქტომბერი.

ტრენინგის დაწყების დრო: 10:00.

ტრენერი: ლევან ჯანაშია.

5. ტრენინგის თემა: ბრალეული და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში.

ტრენინგის ხანგრძლივობა: 6 საათი.

ტრენინგების ჩატარების თარიღები: 26, 27 ოქტომბერი.

ტრენინგის დაწყების დრო: 10:00.

ტრენერი: ქეთევან კობახიძე.

6. ტრენინგის თემა: საერთაშორისო კომერციული, ბიზნეს ხელშეკრულების დადება, დავის განმხილველი სასამართლო და შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება.

ტრენინგების ჩატარების თარიღები: 27 ოქტომბერი.

ტრენინგის დაწყების დრო: 10:00.

ტრენერი: გიორგი სვანაძე

მონაწილეობის მსურველთა საყურადღებოდ!

გთხოვთ, აირჩიოთ თქვენთვის სასურველი ერთი თემა და დაუკავშირდეთ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრს

ტელ: (+995 32) 2987878 555070786/ 555010605 / 555007708

ტრენინგი სისხლის სამართლისა და საერთო სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის!

ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI) და ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი აცხადებს სისხლის სამართლისა და საერთო სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის ტრენინგებზე რეგისტრაციას. უპირატესობა მიენიჭება ადვოკატებს, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა ქვემოთ ჩამოთვლილ ტრენინგებში და ჯერ არ დაუგროვებიათ 2013 წლისათვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტები.

1. ტრენინგის თემა: სასამართლო ექსპერტიზა.

ტრენინგზე განსახილველი საკითხები:

- კრიმინალისტიკური ექსპერტიზის სახეები;
- ტრასოლოგიური ექსპერტიზა;
- დნმ-ის ანალიზი;
- თითის კვალის ექსპერტიზა;
- სეროლოგიური ექსპერტიზა;
- ოდოროლოგიური ექსპერტიზა;
- ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა;
- ბალისტიკური ექსპერტიზა;
- ფეთქებადი საშუალებების ექსპერტიზა;
- მტკიცებულებათა ჯაჭვი (მტკიცებულებათა სახეცვლილებისაგან დაცვა და მათი შენახვისათვის აუცილებელი ღონისძიებები).

ტრენინგის ხანგრძლივობა: 1 დღე.

ტრენინგების ჩატარების თარიღები: 4, 11, 18, 25 ოქტომბერი.

ტრენინგის დაწყების დრო: 09:45.

ტრენინგის ჩატარების ადგილი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 5 II სართული.

2. ტრენინგის თემა: სასამართლო-ფსიქიატრიული და ავტოსაგზაო შემთხვევათა ექსპერტიზა

ტრენინგზე განსახილველი საკითხები:

- სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის აქტუალური საკითხები;
- სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტის წინაშე დასმული საკითხები;
- შერაცხადობა;
- ქმედუნარიანობა;
- არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობა;
- ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი მიზეზები;
- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის დათვალიერება;
- კვლები და სხვა მტკიცებულებები;
- ავტოტექნიკური ექსპერტიზა (სატრანსპორტო ტრასოლოგიური და ავტოსასაქონლო ექსპერტიზა).

ტრენინგის ხანგრძლივობა: 1 დღე.

ტრენინგების ჩატარების თარიღები: 28 სექტემბერი, 5, 19 ოქტომბერი.

ტრენინგის დაწყების დრო: 09:45.

ტრენინგის ჩატარების ადგილი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 5 II სართული.

მონაწილეობის მსურველთა საყურადღებოდ!

გთხოვთ, აირჩიოთ თქვენთვის სასურველი ერთი თემა და დაუკავშირდეთ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრს

ტელ: (+995 32) 2987878 555070786/ 555010605 / 555007708

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დონორი ორგანიზაციის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და “მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის” (JILEP) მხარდაჭერითა და ხელშეწყობით ეთიკის კომისიაში დაინერგა ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის რეკომენდაციების გაცემის სისტემა.

ამიერიდან ადვოკატს შეუძლია წერილობითი ან ზეპირი გზით მიიღოს ცნობები პროფესიული ეთიკის საკითხებსა და ადვოკატთა დისციპლინური სამართალწარმოების წესებზე; რეკომენდაციების გაცემის ეს ფორმა აპრობირებულია ამერიკის სხვადასხვა შტატში და მიზნად ისახავს პროფესიულ საკითხებზე ადვოკატებისათვის რჩევების მიწოდებას.

ჟურნალი “ადვოკატი” აქვეყნებს ეთიკის კომისიის რეკომენდაციებს ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირის, სასამართლოსთან კომუნიკაციის საკითხებზე.

ეთიკის კომისიის რეკომენდაცია

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ცირა შუბითიძე — კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი კორძახია — კოლეგიის წევრი

გიორგი ბეგიაშვილი — კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.03.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/13

შეკითხვა:

გთხოვთ, დასაბუთებულად მაცნობოთ, სასამართლოში საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლისათვის სამართალწარმოებისას წერილობითი ფორმით მიმართვასა და საქმის ზეპირი მოსმენით ღია სხდომაზე სასამართლოსთან ურთიერთობის დროს, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 2006 წლის 15 აპრილს დამტკიცებული „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ რომელიმე ეთიკური ნორმის დარღვევა, ხომ არ იქნება, თუკი ადვოკატი მოსამართლის მისამართით გამოიყენებს შემდეგი ფრაზებიდან რომელიმეს:

- ა) „თქვენო განსწავლულობავ!“
- ბ) „პატივცემულო მართლმსაჯულების კორიფევი!“
- გ) „ჭეშმარიტების გამოსხატულება!“
- დ) „თქვენო გამორჩეულობავ!“
- ე) „თქვენი (ან „სასამართლოს“) კვალიფიციურობის იმედად“;
- ვ) „თქვენი (ან „სასამართლოს“) უბადლო პროფესიონალიზმის იმედად“.

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე—5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს.“

ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირის, ვალდებულებაა სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა, რაც გულისხმობს მოსამართლის პატივისცემას პროფესიული ეთიკის შესაბამისად. ადვოკატმა არ უნდა შელახოს სამართალწარმოებაში მონაწილე პირების უფლებები და უნდა დაიცვას პროფესიული ღირსება.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია N(2000)21 ადგენს: „ადვოკატებმა პატივი უნდა სცენ სასამართლოს და განახორციელონ თავიანთი ვალდებულებები სასამართლოს წინაშე შიდა კანონმდებლობის, სხვა წესებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.“

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე N076/10 აღნიშნა: „ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოსხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის თაობაზე იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების“ გათვალისწინებით, რომელთაც პროფესია აკისრებთ.“

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „Kyprianou V Cyprus“ (განაცხადი N 73797/01) აღნიშნა, რომ „ადვოკატის განსაკუთრებული სტატუსი ანიჭებს მას ცენტრალურ ადგილს სამართლის განხორციელების პროცესში, იგი შუამავალია ხალხსა და სასამართლოს შორის. ადვოკატთა მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ისინი სათანადო წვლილს შეიტანენ სასამართლო პროცესის განხორციელებაში და

საჯარო ნდობას გაამართლებენ. ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება სასამართლო დარბაზში არ არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, როგორცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვას. “

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z v Switzerland (განაცხადი 10414/83) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს არ აძლევს ნებას, გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

მოცემულ შემთხვევაში, უნდა განვიხილოთ, რამდენად იქნება დაცული ადვოკატთა პროფესიული ვალდებულებები, თუ მოსამართლისადმი ზეპირი ან წერილობითი ფორმით მიმართვის დროს გამოყენებული იქნება შეკითხვაში აღნიშნული შემდეგი ფრაზები: „თქვენო განსწავლულობავ!“ “პატივცემულო მართლმსაჯულების კორიფევ!“ „ჭეშმარიტების გამოხატულება!“ „თქვენო გამორჩეულობავ!“ „თქვენი (ან „სასამართლოს“) კვალიფიციურობის იმედად“; „თქვენი (ან „სასამართლოს“) უბადლო პროფესიონალიზმის იმედად“.

აღნიშნული ფრაზებიდან მიმართვის ფორმებს არ წარმოადგენს „თქვენი (ან „სასამართლოს“) კვალიფიციურობის იმედად“; „თქვენი (ან „სასამართლოს“) უბადლო პროფესიონალიზმის იმედად“. მოცემული ფრაზები ასახავს განმცხადებლის სუბიექტურ დამოკიდებულებას მოსამართლისადმი. შეკითხვა ეხება მიმართვის ფორმების შესაბამისობას ადვოკატთა პროფესიულ ეთიკასთან და, შესაბამისად, რეკომენდაციის გაცემისას ეთიკის კომისიამ შეაფასა შეკითხვაში აღნიშნული ის ფრაზები, რომლებიც მიმართვის ფორმით არის წარმოდგენილი.

საზოგადოდ, მოსამართლისადმი მიმართვის ფორმად მიღებულია ისეთი სახის ტრადიციული ფრაზები, როგორცაა: „თქვენო ღირსება“, „პატივცემულო მოსამართლე“, „ბატონო/ქალბატონო მოსამართლე“. ამგვარი სახით მიმართვების გამოყენება მოსამართლისადმი, როგორც მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლისადმი პატივისცემის გამოხატვაა.

განსახილველ შემთხვევაში, აღნიშნული მიმართვები, როგორცაა „თქვენო განსწავლულობავ“; „პატივცემულო მართლმსაჯულების კორიფევ“; „ჭეშმარიტების გამოხატულება“; „თქვენო გამორჩეულობავ“ გაზვიადებულად ჟღერს, არ წარმოადგენს ტრადიციული მიმართვის ფორმებს, გადაჭარბებულად აფასებს მოსამართლეს (რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ამგვარი მიმართვები არ გამოიყენება) და ირონიული ხასიათის მქონედ შეიძლება იყოს აღქმული ადრესატის და პროცესზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან.

“ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს ადვოკატის დაცვის გარანტიებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, კერძოდ: „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.“ აღნიშნული ნორმა არ გულისხმობს ადვოკატისათვის შეუზღუდავი დაცვის გარანტიების მინიჭებას. ადვოკატისათვის კანონმდებლობით მინიჭებული იმუნიტეტი ექვემდებარება შეზღუდვებს, თუ მისი

განცხადებები წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ან მოსამართლის შეურაცხყოფას ან სხვაგვარად აყენებს ზიანს სამართალწარმოების ინტერესებს.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლისადმი მიმართვის დროს, შეკითხვაში ჩამოთვლილი ფრაზების გამოყენება ვერ იქნება კლიენტის ობიექტური ინტერესი და, შესაბამისად, სცილდება კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე განცხადებების გაკეთების უფლებამოსილების საზღვრებს. აღნიშნული მიმართვები, როგორცაა: „თქვენო განსწავლულობავ!“ „პატივცემულო მართლმსაჯულების კორიფევე!“ „ჭეშმარიტების გამომხატულებავე!“ „თქვენო გამორჩეულობავ!“ გაზვიადებულად ჟღერს და ირონიულ ხასიათს ატარებს, რაც არ შეესაბამება ადვოკატისათვის მინიჭებულ იმუნიტეტს, არ წარმოადგენს მართლმსაჯულების ინტერესს და არღვევს ადვოკატის პროფესიული ეთიკის სტანდარტს. შესაბამისად, აღნიშნული ფრაზები არ შეიძლება შეფასდეს, მოსამართლისადმი პატივისცემის გამომხატველად.

მოსამართლისადმი წერილობითი მიმართვის შემთხვევაშიც, ადვოკატმა არ უნდა გამოიყენოს აღნიშნული ფრაზები: „თქვენო განსწავლულობავ!“ „პატივცემულო მართლმსაჯულების კორიფევე!“ „ჭეშმარიტების გამომხატულებავე!“ „თქვენო გამორჩეულობავ!“ რადგან მათ გამოყენება სცილდება ადვოკატის გამომხატვის თავისუფლების ფარგლებს.

სასამართლო პროცესზე ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და პროფესიული ღირებულებების დაცვითა და სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების შესაბამისად განახორციელოს კლიენტის ინტერესების დაცვა.

დასკვნა:

მოსამართლისადმი როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით მიმართვის დროს გამოყენება შემდეგი ფრაზებისა: „თქვენო განსწავლულობავ!“, „პატივცემულო მართლმსაჯულების კორიფევე!“, „ჭეშმარიტების გამომხატულებავე!“, „თქვენო გამორჩეულობავ!“ გადაჭარბებული, გაზვიადებულია და ობიექტური დამკვირვებლის მიერ ირონიულ ხასიათის მატარებლად შეიძლება იქნას აღქმული. შესაბამისად, აღნიშნული ფრაზებით მოსამართლისადმი მიმართვით დაირღვევა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე—5 მუხლის „გ“ პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე—9 მუხლის პირველი ნაწილი, რომლებიც ადვოკატს ავალდებულებს პატივი სცეს სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებსა და სამართალწარმოებაში მონაწილე პირებს.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას.

ეთიკის კომისიის რეკომენდაცია

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კობა ბოჭორიშვილი — კოლეგიის თავმჯდომარე

დავით კვაჭანტირაძე — კოლეგიის წევრი

ზურაბ ძლიერიშვილი — კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.05.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 010/13

შეკითხვა:

იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მიმდინარეობისას ადვოკატი ხედავს, რომ მოსამართლე აშკარად ცდილობს მოწმის შეცდომაში შეყვანას (მაგ: მოსამართლე მიმართავს მოწმეს, რომ მის მიერ მიცემული ჩვენება ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში მიცემული პირის ჩვენებას, მაშინ, როდესაც წინააღმდეგობა სახეზე არ არის), შეუძლია თუ არა ადვოკატს მიმართოს მოსამართლეს შემდეგი სიტყვებით: „პატივცემულო მოსამართლე, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მოწმე“. ასეთი გამოხატვაში ეთიკურად ჩაითვლება თუ არა?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი, რომელიც მონაწილედს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში მოქმედ ქვეყნის წესებს.“

ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირის ვალდებულება სასამართლოში მოქმედი ქვეყნის წესების დაცვა, რაც გულისხმობს მოსამართლის მიმართ პატივისცემას პროფესიული ეთიკის შესაბამისად. ადვოკატმა არ უნდა შელახოს სამართალწარმოებაში მონაწილე პირების უფლებები და უნდა დაიცვას პროფესიული ღირსება.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია N(2000) 21 ადგენს: „ადვოკატებმა პატივი უნდა სცენ სასამართლოს და განახორციელონ თავიანთი ვალდებულებები სასამართლოს წინაშე შიდა კანონმდებლობის, სხვა წესებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.“

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქვეყნის კოდექსის 4.1 მუხლი განსაზღვრავს: „ადვოკატი, რომელიც იმყოფება ან მონაწილედს საქმეში სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე რომელიმე წევრ სახელმწიფოში, ვალდებულია დაიცვას ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედი ქვეყნის წესები.“

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 4.3-ე მუხლი მიუთითებს: „სასამართლოს ღირსეული პატივისცემითა და მონივნებით, ადვოკატმა უნდა დაიცვას თავისი კლიენტის ინტერესები პატიოსნად და უშიშრად მისი პირადი ინტერესების ან მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შედეგების მიუხედავად.“

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმესთან დაკავშირებით 076/10 აღნიშნა: „ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის თაობაზე იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების“ გათვალისწინებით, რომელთაც პროფესია აკისრებთ. გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, თუ ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი. მით უფრო, რომ მოსამართლეებს, როგორც საჯარო მოხელეებს, გააჩნიათ „თმენის ვალდებულება“ მათ მიმართ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე N 1/3/421,422; 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება) იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე და დაადგინა: „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს.“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში *Skalka v. Poland*(განაცხადი №43425/98 2003 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება) მიიჩნევს, რომ „დემოკრატია ვერ იარსებებს, თუ ადამიანებს არ მიეცემათ საშუალება თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები საჯარო ინსტიტუტების შესახებ. მოსამართლე, როგორც მნიშვნელოვანი ფიგურა საზოგადოებაში, წარმოადგენს ობიექტს კრიტიკისა, რომელიც ყოველთვის ვერ იქნება სასიამოვნო მოსასმენი. ზოგიერთი შენიშვნა შეიძლება საფუძვლიანი აღმორჩენდეს, ზოგიც - არაფრის მომცემი, მაგრამ მოსამართლეები ნაზი ყვაილები არ არიან, რომ მწვავე და ცხარე კრიტიკამ დააჭკნოს.“

მოცემულ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ, რამდენად იქნება დაცული ადვოკატთა პროფესიული ვალდებულებები, თუ მოსამართლისადმი ზეპირი ან წერილობითი ფორმით მიმართვის დროს მოსამართლის ქმედების შეფასებისას გამოყენებული იქნება შეკითხვაში აღნიშნული შემდეგი ფრაზა: „პატივცემულო მოსამართლე, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მონქე.“ შეკითხვა ეხება აღნიშნული განცხადების შესაბამისობას ადვოკატთა პროფესიულ ეთიკასთან.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს ადვოკატის დაცვის გარანტიებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, კერძოდ: „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.“ აღნიშნული ნორმის საფუძველი კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპია, ვინაიდან „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა.“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი).

გამოხატვის თავისუფლებას ყოველთვის აქვს გამოყენების ლეგიტიმური მიზანი. მოცემულ შემთხვევაში არ ჩანს, რომ ადვოკატის გამოხატვის მიზანი იყო საქმის განმხილველი მოსამართლის დისკრედიტაცია. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ „შუამდგომლობის მიხედ-

ვით, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება ემსახურება სამართალწარმოებაში კონკრეტული ადვოკატის აზრით არსებულ შესაძლო ხარვეზზე აქცენტის გაკეთებას („პატივცემულო მოსამართლე, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მონმე.“) და კლიენტის ინტერესების დაცვას. აღნიშნულ შემთხვევაში, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ზიანს მიაყენებს მის ინტერესს, თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა სამართალწარმოების პროცესში და შეაფასოს იგი, რასაც ექნება „შემზღუდველი ეფექტი.“

ადვოკატს შეუძლია გააკრიტიკოს მოსამართლე ისე, რომ არ გაცდეს პროფესიულ საკითხებზე კრიტიკის ფარგლებს, ამ შემთხვევაში, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე ადვოკატს უფლება აქვს მიმართოს მოსამართლეს და მიუთითოს, რომ ის არასწორად (არაზუსტად) წარმოადგენს (ან არასწორ ციტირებას ახდენს) ისეთ ფაქტებსა და გარემოებებს, როგორც არ ფიქსირდება სხვა საქმეში. ადვოკატს, უფლება აქვს მიუთითოს მოსამართლეს მიკერძოების ან შეჯიბრობითობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევის შესახებაც, კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით როგორც სხდომაზე, ისე წერილობით საჩივარში მისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

მოსამართლისადმი წერილობითი მიმართვის შემთხვევაშიც, ადვოკატს შეუძლია გამოიყენოს შეკითხვაში აღნიშნული ფრაზა: „პატივცემულო მოსამართლე, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მონმე.“ რომელიც არ სცილდება ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მიმდინარეობისას ადვოკატი ხედავს, რომ მოსამართლე აშკარად ცდილობს მონმის შეცდომაში შეყვანას, ადვოკატის შეფასება შემდეგი სიტყვებით: „პატივცემულო მოსამართლე, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მონმე“, არ ჩაითვლება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე—5 მუხლის „გ“ პუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე—9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევად, ვინაიდან მიმართვა განპირობებული იყო კლიენტის ინტერესების დაცვის აუცილებლობით, არ არის შეურაცხყოფელი ხასიათისა და მიზნად არ ისახავდა მოსამართლის ღირსების შელახვას. შესაბამისად, მიმართვა დაცულია გამოხატვის თავისუფლებით და არ სცილდება კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე განცხადებების გაკეთების უფლებამოსილების საზღვრებს.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებამ 2012 წლის 08 დეკემბერს ეთიკის კოდექსის ცალკეულ ნორმებში შეიტანა ცვლილება-დამატებები. ჟურნალი “ადვოკატი” აგრძელებს კომენტარების გამოქვეყნებას.

ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის კომენტარი მოამზადა ადვოკატმა, ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ეთიკის კოდექსში ცვლილება-დამატებათა პროექტზე მომუშავე ჭკუფის წევრმა **ეკატერინე გასიტაშვილმა**; მე-8 მუხლის კომენტარი მოამზადა ადვოკატმა, ეთიკის კომისიის წევრმა, ეთიკის კოდექსში ცვლილება-დამატებათა პროექტზე მომუშავე ჭკუფის თავმჯდომარემ, **ირაკლი კორძაიამ**.

მუხლი 7. კოლეგიალობის პრინციპი

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.(08.12.2012)

ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის დეფინიციამ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ცვლილება განიცადა. ადვოკატთა საერთო კრებამ მხარი დაუჭირა სხენებული ნორმის შინაარსობრივ განვრცობას, რამაც მეტი სიცხადით ასახა ადვოკატთა გადასახედიდან პროფესიის კორპორაციული მიზანი. ეთიკის კოდექსი მიზნად ისახავს ადვოკატთა პროფესიულ თვითრეგულირებას საზოგადოების წინაშე ნაკისრი პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე¹. მე-7 მუხლის 2012 წლის 08 დეკემბრის ცვლილებებამდე რედაქციით, ერთგვარად ვინროდ იყო წარმოჩენილი კოლეგიალობის პრინციპი და უკავშირდებოდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატის ვალდებულებას, დაეცვა კოლეგიალობის პრინციპი - პატივი ეცა კოლეგებისათვის და არ შეეღახა მათი ღირსება (15.04.2006. წლის რედაქცია). ეთიკის კოდექსი მოცულობით ლაკონიურია და სტრუქტურულად პირველ თავში აერთიანებს ძირითად პრინციპებს, რომლებიც არა მხოლოდ საადვოკატო საქმიანობის სახელმძღვანელო საწყისებია, არამედ ადვოკატს, როგორც სატატუსის მქონე პირს, ავალდებულებს თავისი ქმედებებით დაადასტუროს პროფესიული ღირებულებებისადმი პატივისცემა. სამუშაო ჭკუფის გადანაცვტილებამ “პროფესიული ღირებულებების” ცნება შემოეტანა კოდექსში, ადვოკატთა საერთო კრებაზე მხარდაჭერა მოიპოვა და ერთმანეთთან კონცეპტუალურად დააკავშირა კოდექსის პირველ თავში (მოიცავს მუხ.მუხ. 1-7) ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპები. სხენებულმა ცვლილებამ კიდევ ერთხელ ასახა პროფესიული ვალდებულებების დაცვის “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი ვალდებულება.² თითოეული ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულება მაღალზნეობრივი ეთიკური ვალდებულებების დაცვი³ უზრუნველყოფს პროფესიისადმი ერთგულ ადვოკატთა კოლეგიალურ თანაარსებობას და საზოგადოების რწმენის გაძლიერებას ამ პროფესიისადმი. “თითოეული ადვოკატურის ან იურიდიული საზოგადოების ცალკეული წესები

1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი - პრეამბულა, www.gba.ge

2 “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონი, მუხ. 3, ქვეპუნქტი “თ”.

3 “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონი, მუხ. 5, ქვეპუნქტები “ა”, “ბ”

წარმოიქმნება მისი ტრადიციებიდან”.⁴ საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კოდექსში პროფესიული ღირებულებების ცნების დამკვიდრება მისასაღმებელია და პროფესიული ქცევის წესების დინამიკური, მუდმივად განვითარებადი ხასიათიდან გამომდინარე, საგულისხმო იქნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პროფესიული თვითრეგულირებისათვის სასამართლოს მსგავსი ორგანოს - ეთიკის კომისიის შეფასება.

მუხლი 8. ურთიერთობა ადვოკატსა და კლიენტს შორის

პუნქტი 4. ადვოკატის პასუხისმგებლობის შეზღუდვის დაშვება

ადვოკატმა შეიძლება შეზღუდოს საკუთარი სამოქალაქო პასუხისმგებლობა კლიენტის წინაშე ადვოკატის უხეში გაუფრთხილებლობისთვის. ვალდებულების ამგვარი შეზღუდვა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი ნერილობით დათანხმდება ამგვარ შეზღუდვაზე. (08.12.2012)⁵

აღნიშნული ნორმა ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის (შემდგომში CCBE კოდექსი) რეგულირების რეცეფციის შედეგია.⁶ აღნიშნული რეგულირება CCBE კოდექსში ძირითად პრინციპებს შორის არის მოქცეული იმ დათქმით, რომ ეს პრინციპი გამოსაყენებელია შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში. როგორც ეს CCBE კოდექსის განმარტებით მემორანდუმშია აღნიშნული, პასუხისმგებლობის შეზღუდვა დასაშვებია როგორც ხელშეკრულებით, ისე საადვოკატო ბიუროს სამართლებრივ ფორმად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევით, სადაც პასუხისმგებლობა შეზღუდულია.⁷

საქართველოს შემთხვევაში გამოსაყენებელ კანონმდებლობას წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსი, რომლის თანახმადაც ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დაიშვება, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით⁸. ამასთან კანონი კრძალავს წინასწარ შეთანხმებას განზრახი მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან გათავისუფლების შესახებ.⁹

4 ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი (CCBE) – მუხ.1.2.2.

5 აღნიშნულმა ნორმამ ჩაანაცვლა 2006 წლის რედაქციის ეთიკის კოდექსში არსებული ნორმა, რომელიც ადვოკატებს უკრძალავდა საპატიო მიზნის გარეშე კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტას, რადგან სამუშაო ჯგუფის უმრავლესობამ ჩათვალა, რომ წარმომადგენლობის შეწყვეტის წესის შესახებ კოდექსის 8.7 მუხლში არსებული რეგულირება საკმარისად იცავდა კლიენტის ინტერესებს.

6 CCBE-ს კოდექსის 2.8 მუხლი (2006 წლის 19 მაისის რედაქციით, ქართული თარგმანი ხელმისაწვდომია ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდზე www.gba.ge)

7 განმარტებითი მემორანდუმი (Explanatory Memorandum), 2.8 მუხლის კომენტარი, გვ.23 გამოქვეყნებულია www.ccbe.eu

8 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 410

9 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 395.2

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში (შემდგომში „ეთიკის კოდექსი“) აღნიშნული რეგულირების შეტანის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ კლიენტის ინტერესთა უპირატესობის შესახებ პრინციპი კრძალავს ადვოკატის ნებისმიერ ქმედებას, რომელიც კლიენტის ინტერესების სანინაალმდეგია¹⁰. ადვოკატის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეზღუდვა მხოლოდ ადვოკატის ინტერესებშია და კონფლიქტში მოდის კლიენტის ინტერესებთან. ამ შემთხვევაში სამუშაო ჯგუფმა მხედველობაში მიიღო CCBE-ს რეგულირება და დაცვის ღირსად ცნო ადვოკატების ლეგიტიმური მიზანი, რომ შეამცირონ განსაზღვრული ჰონორარის სანაცვლოდ გასაწევი რისკი, რომელიც თან ახლავს ნებისმიერ საქმიანობას, იმ პირობით, რომ კლიენტი თანხმობას აცხადებს აღნიშნულზე. შესაბამისად, ადვოკატის მიერ სამოქალაქო პასუხისმგებლობის ეთიკის კოდექსით დადგენილი წესით შეზღუდვა ცალსახად აღარ ჩაითვლება პროფესიული ეთიკის ნორმათა დარღვევად. ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომელიც შეეხება ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას, ჯერ ამოქმედებული არ არის.¹¹

იმის გათვალისწინებით, რომ ეთიკის კოდექსმა დაუშვა ადვოკატის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეზღუდვა უხეში გაუფრთხილებლობისთვის, დასაშვებია ადვოკატის პასუხისმგებლობის შეზღუდვა ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობისათვისაც. ამასთან, აუცილებელი წინაპირობაა აღნიშნული შეზღუდვის გაფორმება წერილობით, რაც გამიზნულია კლიენტების ინტერესების დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმა არ ადგენს შეთანხმების სავალდებულო წერილობით ფორმას, ცვლილებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფმა ჩათვალა, რომ წერილობით დადებული შეთანხმების შემთხვევაში კლიენტისთვის უფრო ცხადია, თუ რა შემთხვევაში გამოირიცხება ადვოკატის სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის წინაშე. ეთიკის კომისიაში საქმის განხილვის შემთხვევაშიც, წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება განაპირობებს მეტ სიცხადეს და საქმისწარმოების ეკონომიურობას.

პუნქტი 8. ჰონორარის რეგულირება

ცვლილებებით პროფესიული რეგულირებიდან ამოღებულ იქნა ჰონორარის რეგულირება, რომელიც ეთიკის კოდექსის 2006 წლის რედაქციით ექვემდებარებოდა ეთიკის კომისიის მიერ რევიზიის შესაძლებლობას; კერძოდ, ჰონორარის ოდენობა და მისი გამოანგარიშების წესი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მთელ რიგ ფაქტორებთან, როგორიცაა: საქმის სირთულე, მოცულობა, მომსახურების ხანგრძლივობა, ადვოკატის გამოცდილება და კვალიფიკაცია, დავის საგნის ღირებულება და მნიშვნელობა და ა.შ.

სამუშაო ჯგუფმა მიიჩნია, რომ აღნიშნული ჰონორარის ოდენობაზე დავა მიეკუთვნებოდა სამომხმარებლო ხასიათის დავებს, რომლებიც რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით, და საადვოკატო მომსახურების ბაზარზე არსებული

¹⁰ ეთიკის კოდექსი, 5 მუხლი

¹¹ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 9.

კონკურენციის პირობებში არ იყო გამართლებული ჰონორარის რეგულირება პროფესიული სტანდარტებით. სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ ეთიკის კომისიის ფუნქციონირების მთელი პერიოდის მანძილზე მას არ განუხილავს მსგავსი ხასიათის დავა. შესაბამისად, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ საადვოკატო ჰონორარის ოდენობის სამართლიანობასა და გონივრულობაზე მითითებას აკეთებს CCBE-ს კოდექსი¹², გადაწყდა მისი ამოღება ეთიკის კოდექსიდან, რასაც მხარი დაუჭირა საერთო კრებამ.

ადვოკატის ვალდებულება, წინასწარ გაუმჟღავნოს კლიენტს ჰონორარის ოდენობა და მიიღოს მისგან შესაბამისი თანხმობა, უცვლელი დარჩა.

პუნქტი 11. კლიენტის ხარჯების შემცირება

ადვოკატი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება **ან დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტა**. (08.12.2012)

აღნიშნული ნორმაც CCBE-ს კოდექსის რეგულაციის რეცეფციას წარმოადგენს¹³. სამუშაო ჯგუფმა მიიჩნია, რომ დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტის შესაძლებლობაზე დამატებითი მითითება ხელს შეუწყობდა კლიენტისთვის დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას, რაც შესაბამისობაშია კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპთან. საქართველოში არსებობს განვითარებული საარბიტრაჟო კანონმდებლობა და შესაბამისი საარბიტრაჟო ინსტიტუტები, რაც ობიექტურ საფუძველს ქმნის იმისთვის, რომ კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ადვოკატმა შეაფასოს კლიენტისთვის დავის ხარჯების მინიმიზაციის მიზნით არბიტრაჟისთვის დავის გადაცემის მიზანშეწონილობა. იმ შემთხვევაში, თუ ეს ობიექტურად გამართლებულია, ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა, მისცეს კლიენტს შესაბამისი რჩევა და კლიენტის თანხმობის შემთხვევაში, გააკეთოს შესაბამისი შეთავაზება ან დათანხმდეს მონინაალმდევე მხარის შეთავაზებაზე დავის არბიტრაჟისთვის განსახილველად გადაცემის თაობაზე.

საქართველოში ბოლო წლებში მიღებულ იქნა რეგულაციები მედიაციის შესახებ, მათ შორის სასამართლო მედიაციის შესახებ. მედიაციის ინსტიტუტის განვითარების შესაბამისად, ადვოკატებმა უნდა შეაფასონ და კლიენტს მისცენ რჩევა დავის მედიაციის ფორმით განხილვის შესაძლებლობის შესახებ.

პუნქტი 10. რეკომენდირებისათვის კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრა

ადვოკატს არა აქვს უფლება გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს, კლიენტისათვის პირადად მისი რეკომენდირებისათვის.

¹² CCBE-ს კოდექსის მუხლი 3.4

¹³ CCBE კოდექსი, მუხლი 3.6

ამ აკრძალვის დარღვევად არ ჩაითვლება, თუკი ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატი საკუთარი ანაზღაურების ნაწილს გადასცემს ამ ბიუროში მომუშავე სხვა ადვოკატს, პენსიაზე გასულ ადვოკატს ან ადვოკატის მემკვიდრეს.(08.12.2012)¹⁴

აღნიშნული ნორმაც CCBE–ს კოდექსის რეგულაციის რეცეფციას წარმოადგენს, თუმცა ეს გაკეთებულია გარკვეული მოდიფიკაციით.¹⁵ CCBE-ს კოდექსის შესაბამისი ნორმა უშვებს, რომ ადვოკატებმა ჰონორარი გაუნაწილონ არაადვოკატ პირებს, რომლებთანაც ისინი ასოცირებულნი არიან და ერთობლივად საქმიანობენ, რაც დაშვებულია შესაბამისი ქვეყნის კანონით ან პროფესიული წესებით. ეთიკის კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებამ იმ პირთა წრე, რომლებთანაც შესაძლებელია საადვოკატო ჰონორარის განაწილება, განსაზღვრა მხოლოდ იმ ადვოკატებით, რომლებიც მუშაობენ იმავე საადვოკატო ბიუროში, ასევე პენსიაზე გასული ადვოკატებით ან ადვოკატის მემკვიდრით. სხვა პირებისთვის საადვოკატო ჰონორარის განაწილებას რეკომენდირების გადასახადის სახით ეთიკის კოდექსი არ უშვებს.

ადვოკატთა შესახებ კანონში 2009 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად¹⁶ დაშვებულია საადვოკატო ბიუროს შექმნა იმ პირებთან ერთად, რომლებიც არ არიან ადვოკატები. ეს შეიძლება ითვალისწინებდეს მიღებული მოგების განაწილებას ასეთ პირებთან. ამ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს კონფლიქტი ეთიკის კოდექსის რეგულირებასა (რომელიც კრძალავს არაადვოკატი პირებისთვის ჰონორარის განაწილებას) და კანონის იმ ნორმას შორის, რომელიც უშვებს არაადვოკატ პირებთან ერთად საადვოკატო ბიუროს შექმნას. არაადვოკატ პირებს კანონის თანახმად არა აქვთ უფლება, განახორციელონ საადვოკატო საქმიანობა, თუმცა შეუძლიათ ქონებრივად და სხვა სახით მიიღონ მონაწილეობა საადვოკატო ბიუროს საქმიანობაში. მიუხედავად კანონში შეტანილი ცვლილებებისა, რომლის მომზადებისა და განხილვის პროცესში ადვოკატთა ასოციაცია არ იყო ჩართული, ჯერ სამუშაო ჯგუფმა და შემდგომ ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებამ მხარი დაუჭირა ისეთ პროფესიულ რეგულირებას, რომელიც ადვოკატებს უწესებს შეზღუდვებს, რათა მათ ვერ შეძლონ ჰონორარის ნაწილი გადასცენ ბიუროში მათთან ერთად გაერთიანებულ პირებს, რომლებიც არ არიან ადვოკატები. აღნიშნულ საკითხზე ჯერ არ არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, შესაბამისად, უცნობია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიცია.

პუნქტი 15. წარმომადგენლობის შეწყვეტის რეგულირება

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოს, სხვა ორგანოს ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს

14 აქაც და შემდეგაც: ნორმაში შესული ცვლილება ხაზგასმულია.
 15 CCBE კოდექსი მუხლი 3.7.1
 168 “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონი, მუხლი 18.1, ცვლილება 17.11.2009 N 2040

გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და განუული ხარჯი. (08.12.2012)

აღნიშნული ნორმის პირველადი რედაქცია მომზადდა 2009 წელს, თუმცა მაშინ ცვლილებების მიღება ადვოკატთა საერთო კრების მიერ ვერ მოხერხდა. ნორმის 2012 წლის რედაქციაში დაკონკრეტდა დოკუმენტებისა და ქონების წარმოშობის წყარო, რომელთა უპირობოდ გადაცემის ვალდებულება აქვს ადვოკატს კლიენტის წარმომადგენლობის შეწყვეტისას. ასევე დაემატა ახალი ნორმა ადვოკატის ჰონორარისა და განუული ხარჯის გამოქვითვის უფლების შესახებ.

კლიენტისთვის დოკუმენტებისა და ქონების უპირობო დაბრუნების ვალდებულება ვრცელდება იმ დოკუმენტებსა და ქონებაზე, რომლებიც ადვოკატს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას გადასცა:

- ა) თავად კლიენტმა;
- ბ) სასამართლომ;
- გ) სხვა ორგანომ ან პირმა.

უპირობო დაბრუნების უფლება არ ვრცელდება იმ დოკუმენტებზე, რომლებიც ადვოკატმა თავად შექმნა წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ მათი ბენეფიციარი კლიენტია და კლიენტს აქვს მათი მიღების უფლება, გარკვეულ შემთხვევაში ადვოკატს აქვს მათი დაკავების უფლება.

ეთიკის კომისიამ განმარტა, „რომ ადვოკატს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გირავნობის უფლება შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ ადვოკატის მიერ შექმნილ დოკუმენტებზე საერთოველოს სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის შესაბამისად, ესეც იმ პირობით, რომ დოკუმენტების დაკავებით კლიენტს არ მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი და გირავნობის უფლების გამოყენებაზე კლიენტისგან მიღებულია წინასწარი წერილობითი თანხმობა ამავე კოდექსის 713-ე მუხლის შესაბამისად, თუ ურთიერთობა რეგულირდება დავალების წესით. ამასთან, აღნიშნული უფლება ვერ გავრცელდება ზოგადად ყველა სახის დოკუმენტზე, რომელიც საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის განკარგულებაში მოექცევა, როგორცაა სასამართლო გადაწყვეტილება ან განჩინება, სხდომის ოქმი და სხვ.“¹⁷

ეთიკის კომისიის ზემოაღნიშნული პრაქტიკა სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლში, სადაც უპირობო დაბრუნების ვალდებულება არ შეეხო ადვოკატის მიერ შექმნილ დოკუმენტებს. თუმცა იმისთვის, რომ ადვოკატს ჰქონდეს მათი დაკავების უფლება, დაცული უნდა იყოს ეთიკის კომისიის მიერ განსაზღვრული ზემოაღნიშნული წინაპირობები. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტების დაკავებით კლიენტს მიადგება ზიანი (მაგ. საპროცესო ვადის გაშვება), ადვოკატმა უნდა გადასცეს კლიენტს დოკუმენტები და მისი სახელშეკრულებო მოთხოვნების განსახორციელებლად იდავოს საერთო წესით.

¹⁷ ეთიკის კომისიის 09.01.2012 წლის 074/11 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია www.gba.ge

მეორე ნორმა აძლევს ადვოკატს კლიენტისთვის გადასაცემი ფულადი სახსრებიდან ურთერთობის შეწყვეტამდე გამოუმუშავებელი ჰონორარისა და განუული ხარჯების გამოქვითვის უფლებას. მსგავსი რეგულირება არსებობს CCBE–ს კოდექსშიც, სადაც განსაზღვრულია, რომ ადვოკატმა დაუყოვნებლივ ან კლიენტის მიერ განსაზღვრული პირობებით უნდა დაუბრუნოს კლიენტის ფულადი სახსრები უფლებამოსილ პირს. ამასთან კლიენტის ფონდებიდან საკუთარ ანგარიშზე ჰონორარის გადარიცხვა ადვოკატს არ შეუძლია კლიენტის წინასწარი წერილობითი ინფორმირების გარეშე.¹⁸

კლიენტის წერილობითი ინფორმირება გამოქვითული თანხების შესახებ არ არის განსაზღვრული ეთიკის კოდექსის ზემოაღნიშნული 8.15 მუხლით, თუმცა ის გამომდინარეობს კლიენტისთვის ჰონორარის და ხარჯების შესახებ ინფორმაციის მინოდების ვალდებულებიდან.¹⁹



18 CCBE–ს კოდექსი, 3.8.4 და 3.8.5. მუხლები

19 ეთიკის კოდექსის 8.8., 8.12. 8.13 მუხლები

საქმე №106/12

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.07.2012

საჩივრის ავტორი: ადვოკატის მარნმუნებლის მოწინააღმდეგე მხარე

საპროცესო კოლეგია: პირველი დისციპლინური კოლეგია

სავარაუდო დარღვევა: კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონიერი საშუალების გამოყენების პრინციპი

შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრა

გადანყვეტილების გამოტანის თარიღი: 30.08.2012

განხილვის კოლეგია: მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ იხელმძღვანელა “ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების 36-ე მუხლით და 2013 წლის 30 იანვრის გადანყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

დარღვევა: კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონიერი საშუალების გამოყენების პრინციპი

შედეგი: ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა

დისციპლინური პასუხისმგებლობის სახე: კერძო სარეკომენდაციო ბარათი

გადანყვეტილების გამოტანის თარიღი: 09.02.2013

ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატმა საჩივრის ავტორის სახელით ხელი მოაწერა მისი “საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის” ფორმას და აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე ადვოკატის მარნმუნებელი დარეგისტრირდა X მისამართზე. “საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის” ფორმაზე ხელმოწერისას ადვოკატის მარნმუნებელს რწმუნებულება ჯერ არ ჰქონდა ადვოკატისთვის გაფორმებული. ადვოკატი სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ადვოკატმა აღიარა, რომ “საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის” ფორმაზე მისი ხელმოწერა იყო; გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილების შინაარსი:

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ შესაძლოა, დარღვეულად ჩათვლილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა მ.პ.-მ საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას არაკანონიერი საშუალება გამოიყენა.

ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ კლიენტის ინტერესების დასაცავად დოკუმენტის გაყალბება, ადვოკატის მიერ სხვისი სახელით ხელმოწერის განხორციელების დადასტურების შემთხვევაში, შესაძლოა შეფასდეს, საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ადვოკატის მიერ კანონით აკრძალული საშუალების გამოყენებად.

სამართლებრივი შეფასება:

განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონიერი საშუალების გამოყენების პრინციპი. ადვოკატმა გაუფრთხილებლობით დაარღვია გონივრული წინდახედულების ფარგლები კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას და ნიმუშად შევსებულ დოკუმენტს - „საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის“ ფორმას სხვა პირის სახელისა და გვარის მითითებით თავად მოაწერა ხელი.

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ადვოკატის ვალდებულება - დაიცვას კლიენტის ინტერესები, წარმოიშობა მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის განხორციელების მომენტიდან.

ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის განმარტება, რომ დოკუმენტის ნიმუშად შევსების მომენტი ლ.პ. ჯერ კიდევ არ იყო მისი კლიენტი და იგი რუსულენოვან ქალბატონს დაეხმარა ქართულენოვანი დოკუმენტის ნიმუშად შევსებაში არა როგორც ადვოკატი, არამედ როგორც ფიზიკური პირი, რადგან მინდობილობა მხოლოდ კონსულტაციის განხორციელების შემდეგ გაფორმდა. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ-კლიენტის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა ზოგადი კონსულტაციის განხორციელების მომენტიდან, ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე და „საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის“ ფორმის შევსებისას მ.პ. მოქმედებდა როგორც ადვოკატი.

ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას მიუთითა ადამიანის უფლებათა

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, საქმეზე **Brandstetter v Austria** (განაცხადი №11170/84; 12876/87, 13468/87; 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება), სადაც განმარტებულია: „დაცვის უფლების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ქმედებების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი არ უზრუნველყოფს პირის შეუზღუდავ უფლებას განახორციელოს ნებისმიერი სახის დაცვითი მოქმედებები და დაუშვებლად მიიჩნევა არაკანონიერი ქმედებები გამართლებული იქნეს ამ უფლების განხორციელების საფუძვლით. ის გარემოება, რომ პირი მოქმედებს თავისი ან თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, არ ამართლებს მას არაკანონიერი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში.“

ეთიკის კომისიამ გაიზიარა ადვოკატის მითითება და არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ მან ნიმუშად შეავსო საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობა. ადვოკატმა არასრულად შეავსო ფორმა, პირადობის მოწმობის სერიის ნომრის გრაფა არ არის შევსებული. ასევე, საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის ფორმის მისამართი მიუთითა ზოგადად. ნიმუშად შევსებულ დოკუმენტს ადვოკატმა საჩივრის ავტორის სახელით ნიმუშად მოაწერა ხელი. ადვოკატის განზრახვა არ ყოფილა დოკუმენტის გაყალბება და მისი დარეგისტრირება, შესაბამისად, მან არასრული მონაცემებით შეავსო დოკუმენტი. ადვოკატი მოქმედებდა გაუფრთხილებლობით, არ ითვალისწინებდა საკუთარი მოქმედების მავნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა, უნდა გაეთვალისწინებინა ისინი. მას, როგორც ადვოკატს, უნდა გამოეჩინა გონივრული წინდახედულობა და გაეთვალისწინებინა ნიმუშად შევსებული ხელმოწერილი დოკუმენტის გამოყენების ალბათობა და მისი სავარაუდო შედეგები.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ დოკუმენტის ნიმუშის შესავსებად, სხვა გრაფებისგან განსხვავებით, რომლებიც შესაძლოა რეალური რეკვიზიტებით შეივსოს, ხელმოწერის გრაფაში ნიმუშად სხვისი სახელით ხელმოწერის შესრულება ადვოკატის მიერ გაუმართლებელია; ხელმოწერა პირის იდენტიფიცირების საშუალებაა და მხოლოდ პირს აქვს თავისი სახელით ხელმოწერის უფლება. სხვისი სახელით ხელმოწერილმა დოკუმენტმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირები, რადგან ხელმოწერილი დოკუმენტი მესამე პირების მიერ აღიქმება, როგორც ხელმოწერის ნების გამოვლენა. შესაბამისად, ასეთი დოკუმენტის არასწორად გამოყენებით შეიძლება არასასურველი შედეგი დადგეს როგორც ხელმოწერი პირის, ისე იმ პირისათვის, ვისი სახელითაც განხორციელდა ხელმოწერა. კლიენტისათვის საკმარისი იქნებოდა პირობითი ნიშნით აღნიშნულიყო ის ადგილი, სადაც ხელმოწერა უნდა შეესრულებინა კლიენტს. შესაბამისად, ადვოკატის მიერ “საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის” სარეგისტრაციო ფორმაზე ხელმოწერა ნიმუშის შევსების მიზნით გაუმართლებელი იყო მით უფრო, რომ ადვოკატმა ხსენებულ ფორმას ხელი მოაწერა საცხოვრისის ნამდვილი მესაკუთრის - საჩივრის ავტორის სახელით.

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ პრეიუდიციული ძალის მქონედ აღიარებს სასამართლოს განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას და არა სასამართლოს გადაწყვეტილებას. საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასამართლო ადგენს ფაქტებს, თუმცა არ იკვლევს მათ. სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებულ განაჩენში, რომლითაც ადვოკატი საპროცესო შეთანხმების პირობებს დათანხმდა, ფაქტები არ არის გამოკვლეული, შესაბამისად, კონკრეტულ შემ-

თხვევაში არ არის დადგენილი ადვოკატისათვის ინკრიმინირებული დანაშაულის მოტივი.

ეთიკის კომისიამ გაითვალისწინა ადვოკატის პოზიცია დისციპლინური სამართალ-წარმოებისას და მისი დამოკიდებულება საკითხისადმი, კერძოდ იმის აღიარება, რომ მას, როგორც ადვოკატს, მეტი წინდახედულება უნდა გამოეჩინა. კლიენტისათვის გარდა სიტყვიერი განმარტების მიცემისა, ამ უკანასკნელს ადვოკატმა მხოლოდ ნიმუშად გადასცა “საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის” სარეგისტრაციო ფორმაში, მას უნდა მიეღვენებინა თვალ-ყური არასრული და არაზუსტი რეკვიზიტებით შევსებული სანიმუშო დოკუმენტისათვის, რათა არ მომხდარიყო მისი გამოყენება კლიენტის მიერ. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ გონივრულ ფარგლებში წინდახედულობის საზომით მოქმედება ადვოკატის პროფესიული საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარეა და ადვოკატს ამ საკითხისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება მოეთხოვება.



გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის საკითხისათვის

ირინე ბოხაშვილი

სამართლის დოქტორი,
კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი,
აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

შესავალი. 2010 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შევიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემდგომში სსსკ) რომელიც მიღებული იყო 2009 წლის 9 ოქტომბერს. ზოგადად პროცესისათვის, როგორც დინამიკური მოვლენისათვის, სადაც თანმიმდევრულად განვითარდება გარკვეული მოქმედებები/მოვლენები, ბუნებრივად არის დამახასიათებელი ცვლილებები. სისხლის სამართლის პროცესს, როგორც პროცესსა და როგორც მეცნიერებას, თან სდევს ცვლილებები, და პერიოდულად, არსებითი ხასიათისა. ცვლილება გამართლებულია, თუ იგი ძიების პროცესის ნაწილია და განვითარებაზე მიმართული. როგორც წესი, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ყოველი ცვლილება გამოწვეულია გარკვეული საჭიროებით და ამდენად, მიზნად უნდა ისახავდეს მორგებას სწორედ მასზე და არა რომელიმე კონკრეტულ პირზე/ორგანოზე.

მოქმედი კანონმდებლობისათვის არსებითად ახალი და უცხო ინსტიტუტების დანერგვის პირველ ეტაპზე მისაღება გარკვეული გარდამავალი წესების მოქმედება, თუმცა, დღეს გვინდა ვისაუბროთ სსსკ-ით გათვალისწინებულ, პრაქტიკაში თითქმის ნორმად ქცეულ ერთ-ერთ გარდამავალ დებულებაზე, რომელიც დაკითხვის დროებით წესს შეეხება. კერძოდ, სსსკ-ის XXX თავი, რომელიც გარდამავალ და დასკვნით დებულებებს ითვალისწინებს, მოიცავს 332-ე მუხლს, რომლის პირველი ნაწილის თანახმად: „2013 წლის 31 დეკემბრამდე გამოძიებისას დაკითხვა წარმოებს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (გარდა 305-ე მუხლის მე-6 ნაწილისა) დადგენილი წესით.“¹ აღნიშნული გარდამავალი დებულების მოქმედება, ჩვენი აზრით, პრინციპული ხასიათის შეუსაბამობებს იწვევს და, ხშირად თეორიასა და პრაქტიკაში „ორმაგი სტანდარტის“ პრობლემას წარმოქმნის:

1. მოწმის სტატუსი. დაკითხვის დროებითი წესის თანახმად, დასაშვებია გამოძიებისას მოწმის დაკითხვა (1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-სი, მუხლი 305-ე). მოქმედი სსსკ-ის, მე-3 მუხლის, მე-20 ნაწილის თანახმად: „პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხ-

1 აქვე აღვნიშნავთ, რომ თავდაპირველად, სსსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაკითხვის ეს დროებითი წესი 2012 წლის 1 ოქტომბრამდე უნდა ყოფილიყო ძალაში. 2012 წლის 22 მაისს შეტანილი ცვლილების თანახმად, ამ წესის მოქმედება 2013 წლის 1 დეკემბრამდე გაგრძელდა. 2013 წლის 18 იანვარს მიღებული „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის, მე-4 ნაწილის თანახმად, გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის მოქმედება 2013 წლის 1 სექტემბრამდე განისაზღვრა. 2013 წლის 24 ივლისს, სსსკ-ში შეტანილი ცვლილების თანახმად, ამ წესის მოქმედების ვადა კანონმდებელმა კვლავ გაზარდა და 2013 წლის 31 დეკემბრამდე გამოძიებისას დაკითხვა 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ით დადგენილი წესით წარმოებს. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldms_search&view=docView&id=1976108&lang=ge

ილებისა და ფიცის დადების შემდეგ“; აღნიშნული განხორციელდება მხოლოდ სასამართლოში და მხოლოდ მოსამართლის წინაშე. ამას განაპირობებს ის, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს მონმის სასამართლოს გარეშე დაკითხვას ზოგადი თუ საგამონაკლისო წესით. დაკითხვის დროებითი წესი, პირიქით, არ მოითხოვს სასამართლოს წინაშე მონმის დაკითხვას გამოძიების სტადიაზე და მონმე დაკითხება გამოძიებლის/პროკურორის მიერ პირის სასამართლოში წარდგენის გარეშე. ამ დროს მონმის სტატუსი უნდა განისაზღვროს სწორედ 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის მიხედვით, სადაც 305-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს გამოძიებლის მხრიდან მონმის გაფრთხილებას საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი ინფორმაციის სრულად გადმოცემის ვალდებულების და ჩვენებისაგან თავის არიდების ან ცრუ ჩვენების მიცემისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. ამ შემთხვევაში ნათლად იკვეთება “ორმაგი სტანდარტი” მონმის სტატუსთან მიმართებაში.

2. *მოწმის გამოცხადების ვალდებულება.* სსსკ-ის 332-ე მუხლი ზოგადად მიუთითებს, რომ გამოძიებისას დაკითხვა წარმოებს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ით დადგენილი წესით და არ აკონკრეტებს მუხლებს, რომლებიც გამოიყენება ამ შემთხვევაში. 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ით დაკითხვას ეთმობა XXXVII თავი, თუმცა, შეუძლებელია ცალსახად გავიზიაროთ მოსაზრება, რომ სსსკ-ის, 332-ე მუხლი სწორედ ამ თავს გულისხმობს. რიგ შემთხვევებში ამ თავით მოცული დებულებები საერთოდ გამოუსადეგარია (მაგალითად, 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის, 310-ე მუხლი ანესრიგებს ეჭვმიტანილის დაკითხვის წესს, რაც არასოდეს დაგჭირდება იმ მარტივი მიზეზით, რომ მოქმედი კანონმდებლობა საერთოდ აღარ იცნობს ეჭვმიტანილის ცნებას). და პირიქით, არის შემთხვევები, როდესაც XXXVII თავს უნდა გავცდეთ და დროებითი წესით გამოძიების დროს დაკითხვისას გამოვიყენოთ 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის სხვადასხვა მუხლები, მაგალითად, 94-ე მუხლით გათვალისწინებული მონმის მოვალეობა, გამოცხადდეს გამოძიებლის/ პროკურორის გამოძახებით. დღეს პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც არაერთგაროვნად არის განმარტებული მონმის უფლება-მოვალეობები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს მონმის დაკითხვას სასამართლოს გარეშე. შესაბამისად, დაკითხვისათვის მას სწორედ სასამართლო გამოიძახებს, ამ დროს მონმე ვალდებული იქნება გამოცხადდეს (სსსკ-სი, მუხლი 49-ე, ნაწილი მე-2, ქ/პუნქტი „ა“), წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი შეიძლება იძულებით მიიყვანონ სასამართლოში (სსსკ-სი, მუხლი 49-ე, ნაწილი მე-3). რაც შეეხება შემთხვევას, როდესაც მონმე გამოძიებისას დროებითი წესის მიხედვით დაკითხება, ვინაიდან მოქმედ კანონმდებლობაში არ არსებობს ამ მოქმედების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფის მექანიზმი, მონმის გამოძახება/გამოცხადებასთან დაკავშირებით უნდა გავრცელდეს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ით გათვალისწინებული წესი. კერძოდ, ზემოხსენებული კოდექსის, 94-ე მუხლის, პირველი ნაწილის თანახმად, მონმეს დაეკისრება ვალდებულება გამოცხადდეს გამოძიებლის, პროკურორის გამოძახებით, ხოლო, არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში ამავე მუხლის, მე-2 ნაწილით იგი შეიძლება იძულებით მიიყვანონ დაკითხვაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ თბილისის მერის, გ. უგულავას მიერ გამოძიების ორგანოებში მონმის სახით ჩვენების მისაცემად გამოცხადებაზე უარის თქმის გახმაურებული შემთხვევა და ამასთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობა. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, გ. უგულავას არ გააჩნდა გამოცხადების ვალდებულება, ხოლო, გამოძიების ორგანოებს კი მისი იძულებით მოყვანის უფლებამოსილება, ვინაიდან მოქმედ კანონმდებლობაში არსად იყო ჩანაწერი იმის შესახებ, რომ მონმე ვალდებულია გამოცხადდეს

გამოძიების ორგანოებში და, რომ ასეთი ვალდებულება მხოლოდ სასამართლოში გამოცხადებას ეხება. აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, თუ „ძველი“ (აქ და შემდგომში „ძველ“-ში იგულისხმება 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ) კოდექსიდან „გესხსულობა“ რაიმე წესს, და მოქმედი კანონმდებლობით არ არის რეგულირებული ამ წესის განხორციელების ხერხები, თავისთავადია, რომ შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი წესს თან გადმოჰყვება. სწორედ ამ მოსაზრებით იხელმძღვანელა გამოძიებამ, როდესაც გ. უგულავას მხრიდან უკვე მეორედ (სხვა საქმეზე, სხვა გარემოებებთან დაკავშირებით) საჯაროდ გაცხადდა მოწმის სახით ჩვენების მისაცემად გამოძიების ორგანოებში გამოცხადებაზე უარის შესახებ. ამ დროს გამოძიების ორგანომ მას სწორედ „ძველი“ კოდექსის „ძველი“ წესი განუმარტა და გააფრთხილა არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ. გ. უგულავა დაკითხვაზე არ გამოცხადდა, ძველი თბილისის რაიონულმა პროკურატურამ, 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის, 175-ე მუხლის, პირველი ნაწილის საფუძველზე, შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს, 2013 წლის 15 თებერვალს გამოცემული მოსამართლის ბრძანებით² განისაზღვრა მოწმის სახით გ. უგულავას გამოძიების წარმოების ადგილას მიყვანის განხორციელება, რა დროსაც მოსამართლემ სწორედ 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ით დადგენილი წესებით იხელმძღვანელა.³

3. *მოწმის იმუნიტეტი.* ზემოთ ვისაუბრეთ მოწმის სტატუსის „ორმაგ სტანდარტსა“ და გამოძიების პროცესში მოწმის დაკითხვისას 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-დან სხვადასხვა მუხლების დასესხების საკითხზე. თეორიასა და პრაქტიკაში კიდევ არის სხვა სადავო საკითხები, რომლებიც გამოძიებისას დაკითხვის დროებით წესს უკავშირდება. ერთ-ერთი შეიძლება იყოს მოწმის იმუნიტეტი. აქ საკითხი სხვაგვარად დგას, მოწმის იმუნიტეტს ითვალისწინებს როგორც 1998 წლის 20 თებერვლის, ისე დღეს მოქმედი კოდექსები. პრობლემა ისაა, რომ ეს საკითხი ამ კოდექსებში არსებითად სხვადასხვაგვარად წესრიგდება. მაგალითად, „ძველი“ სსსკ-ის 95-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოთვლიდა პირთა წრეს, რომელთა მოწმედ გამოძახება და დაკითხვა არ შეიძლებოდა გარკვეული გარემოებების გამო (მაგალითად, არ შეიძლებოდა გამოძახებული და დაკითხული ყოფილიყო სასულიერო პირი — იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად). დღეს მოქმედი სსსკ-ის, 50-ე მუხლის, პირველი ნაწილის თანახმად, კანონმდებელი იმავე პირთა მიმართ (მცირე შესწორებით და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის დამატებით) იმავე მოთხოვნას ნაკლები კატეგორიულობით გაითვალისწინებს და მიუთითებს, რომ: „მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება...“ (ხაზგასმა ჩვენია). სიტყვები „არ შეიძლება“ საკითხს ცალსახად წყვეტს და გამორიცხავს მოქმედების ალტერნატივას, მაშინ, როდესაც სიტყვები „ვალდებულება არ ეკისრება“ განიმარტება, როგორც

2 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ იცნობს მოსამართლის ბრძანებას, როგორც საპროცესო დოკუმენტის სახეს და სწორედ ასეთი დოკუმენტი გამოიცემოდა პირის იძულებით მიყვანის შესახებ. მოქმედი სსსკ არ იცნობს მოსამართლის ბრძანებას, როგორც საპროცესო დოკუმენტს და იძულებით მიყვანის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში გათვალისწინებულია სასამართლოს განჩინების გამოტანის წესი.

3 იხ. / <http://tcc.gov.ge/index.php?m=443&newsid=506/>

პირის მოქმედების თავისუფლება მოწმის სახით ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას.⁴ შედეგად, გამოძიების სტადიაზე მოწმის დაკითხვის სხვადასხვა სტანდარტს მივიღებთ, თუკი შევადარებთ, ერთი მხრივ, შემთხვევას, როდესაც პირი მოწმედ დაიკითხება გამოძიების სტადიაზე მოქმედი სსსკ-ის, 114-ე მუხლის საფუძველზე, ცხადია, ამ დროს მოწმის იმუნიტეტის საკითხი რეგულირდება ამავე კოდექსის, 50-ე მუხლის მიხედვით, და, მეორე მხრივ, შემთხვევას, როდესაც მოწმე დაკითხვის დროებითი წესის გამოყენებით დაიკითხება და მის მიმართ ვიყენებთ მოწმის იმუნიტეტის „ძველებურ მიდგომას“. ჩვენი აზრით, დაკითხვის დროებითი წესის გამოყენებისას „ძველი“ კოდექსიდან დაკითხვასთან დაკავშირებული სხვა და სხვა ნორმების, წესების სესხება გამართლებულია მაშინ, როდესაც მოქმედი სსსკ საჭირო ნორმას, წესს საერთოდ არ ითვალისწინებს და სხვაგვარად შეუძლებელია საკითხის გადაჭრა (მაგალითად, როგორც მოწმის სახით პირის იძულებით მოყვანასთან დაკავშირებით). თუმცა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ „მოწმის იმუნიტეტის“ ახლებურმა წესმა, შესაძლოა, რიგ შემთხვევებში გაცილებით მეტად იმოქმედოს ბრალდებულის საზიანოდ, ვიდრე ეს „ძველი“ წესის გამოყენებით მოხდებოდა. მაგალითად, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ჟურნალისტისთვის ცნობილი გახდა საქმის შესახებ ბრალდებულისათვის საზიანო ინფორმაცია. გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის გამოყენების შემთხვევაში, თუ მოწმის იმუნიტეტის „ძველ წესს“ გავყვებით, ჟურნალისტის არ შეიძლება გამოძახებულ იქნას და დაიკითხოს (1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-სი, 95-ე მუხლი, პირველი ნაწილი, „კ“ ქ/პუნქტი). ხოლო, თუ მოქმედი კანონმდებლობით ვიხელმძღვანელებთ, სადაც ჟურნალისტის არ არის ვალდებული იყოს მოწმე (სსსკ-სი, 50-ე მუხლი, პირველი ნაწილი, „თ“ ქ/პუნქტი), რჩება რისკი, რომ ჟურნალისტის თანხმობის/სურვილის შემთხვევაში გამოძიების სტადიაზე მისგან მიღებული იქნება ჩვენება ბრალდებულის საწინააღმდეგოდ.⁵ და მაინც, მოწმის იმუნიტეტის რომელი წესი უნდა გამოვიყენოთ გამოძიების დროს დაკითხვის დროებითი წესის მოქმედებისას. ზემოგანხილული საფრთხის მიუხედავად, თანახმად სსსკ-ის, მე-2 მუხლის პირველი ნაწილისა, მართებულად მიგვაჩნია მოწმის იმუნიტეტის მოქმედი წესის გამოყენება. ამასთანავე, გამოძიებისას მოწმის იმუნიტეტის ძველი წესის გავრცელება არსებითად არ შეცვლიდა სურათს საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე, სადაც (ამ შემთხვევაში) ჟურნალისტის მოწმის სახით დაკითხვისას მოქმედი სსსკ-ის 50-ე მუხლი გავრცელდებოდა და, სურვილის შემთხვევაში, ჟურნალისტს საშუალება ექნებოდა მიეცა ჩვენება ბრალდებულის წინააღმდეგ. მოწმის იმუნიტეტის წესი არ არის ერთადერთი, რომელიც გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის გამოყენების შემთხვევაში სადავო საკითხებს წარმოშობს. აღნიშნულზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

4 აქ არ ვისაუბრებთ, მოწმის იმუნიტეტის განსაზღვრისას იურიდიულ ლიტერატურაში განხილულ „სოციალური ღირებულებების“ პრიორიტეტულად დაცვის საფუძველზე, რელიგიური კანონებისა და სახელმწიფო სამართლებრივი ნორმების თანაფარდობის სადავო საკითხზე და სხვ. ამავე რადიკალიზაციის გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის მოქმედების დროს „ძველი“ და მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის გამოყენების იმ საერთო და საგამონაკლისო წესების განსაზღვრა, რომლებიც ყველაზე გამართლებულია და არ წარმოშობენ/მცირე ოდენობით წარმოშობენ პრობლემებს პრაქტიკაში.

5 ჟურნალისტის მიერ მოწმის სახით ჩვენების მიცემა იმ გარემოებათა შესახებ, რაც მისთვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის გამო, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს „ჟურნალისტური ეთიკის კოდექსს“ (მაგალითად, მე-5 მუხლს, რომელიც ჟურნალისტის მხრიდან კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვას ითვალისწინებს), თუმცა ეს ნაკლებად გამოდგება მის მიერ მიცემული ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძველად, ვინაიდან „ჟურნალისტური ეთიკის კოდექსს“ არ გააჩნია კანონის ძალა (პრეამბულა).

4. დაზარალებულის მოწმის სახით დაკითხვა. პრაქტიკაში გარკვეულ უხერხულობასა და „პრინციპულ შეუსაბამობას“ ქმნის დაზარალებულის გამოძიებისას დროებითი წესის მიხედვით დაკითხვის შემთხვევები. დაზარალებულის სამართლებრივ სტატუსს არსებითად სხვადასხვაგვარად ანესრიგებენ 1998 წლის 20 თებერვლის და მოქმედი სსსკ-ები. „ძველი“ კოდექსის თანახმად, დაზარალებული ბრალდების მხარედ მოიაზრება (მუხლი 44-ე, ნაწილი მე-19), სადაც მხარეში კანონმდებელი სისხლის სამართლის მონაწილეს გულისხმობს, რომელიც სისხლის სამართლის საქმეში საკუთარ ან მარწმუნებლის ინტერესებს იცავს (მუხლი 44-ე, ნაწილი მე-18). მოქმედი კანონმდებლობა დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობას არსებითად სხვაგვარად უდგება. დაზარალებული არ მოიაზრება (ბრალდების) მხარედ სისხლის სამართლის პროცესში (სსსკ-სი, მუხლი მე-3, ნაწილები მე-5 — მე-6), იგი მხოლოდ მოწმის უფლება/მოვალეობებს იზიარებს (მცირედი განსხვავებით, მაგალითად, უფლება იყოს ინფორმირებული (სსსკ, მუხლი 58-ე) და სხვ.) (სსსკ-სი, მუხლი 56-ე, ნაწილი პირველი). როდესაც დაზარალებული განიხილებოდა ბრალდების მხარედ, საკუთარი ინტერესების სრულყოფილად დაცვის მიზნით გათვალისწინებული იყო წინასწარი გამოძიებისას და სასამართლოში დაზარალებულის ადვოკატ(ებ)ის მონაწილეობა, როგორც დაზარალებულის წარმომადგენლ(ებ)ისა (1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-სი, მუხლი 71-ე, ნაწილი პირველი), ხოლო რაც შემთხვევებში (თუ დაზარალებული არასრულწლოვანია, ქმედუწაროა, ჯანმრთელობის გამო არ შეუძლია დაიცვას საკუთარი ინტერესები და სხვ.) კანონით გათვალისწინებული იყო ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობა, რაც დაზარალებულის გადახდისუწარობის შემთხვევაში, სახელმწიფო ხარჯზე განხორციელდებოდა (1998 წლის 20 თებერვლის სსსკ, მუხლი 71-ე, ნაწილი მე-2 — მე-3). მოქმედი სსსკ არ მოიაზრებს რა დაზარალებულს (ბრალდების) მხარედ, არ იცნობს დაზარალებულის ინტერესების ადვოკატ(ებ)ის მიერ წარმომადგენლობის პროცედურას. საკითხის სწორედ ამ ნაწილში ვხვდებით არაერთგვაროვან დამოკიდებულებას პრაქტიკოსი იურისტების მხრიდან. ხშირია შემთხვევები, როდესაც გამოძიების დროს დაკითხვის დროებითი წესის მიხედვით დაზარალებულის დაკითხვისას დაზარალებულის მიმართ გამოიყენება ისევ „ძველი“ კოდექსით გათვალისწინებული წესები. მაგალითად, ქვემოთ მოვიყვანთ შემთხვევებს, როდესაც არასრულწლოვანი დაზარალებულის გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესით დაკითხვის დროს საქმეში სავალდებულო წესით იყო ჩართული ადვოკატი. ცხადია, ეს პროცედურა მხოლოდ ამ კონკრეტულ მოქმედებაში შესრულდა და ვერ გაგრძელდება სისხლის სამართლის პროცესის სხვა მოქმედებებზე/სტადიებზე, სადაც უკვე მოქმედი სსსკ-ის წესები იქნება ძალაში. გამოდის, ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეში ერთი და იგივე პირი, ამ შემთხვევაში დაზარალებული, ნახევარი პროცესი (ვგულისხმობთ გამოძიების სტადიას, სადაც განხორციელდა დაზარალებულის გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის მიხედვით დაკითხვა) განიხილება როგორც (ბრალდების) მხარე, ხოლო, მეორე ნახევარში მისი სამართლებრივი სტატუსი არსებითად იცვლება, იგი აღარ არის მხარე და სარგებლობს მოწმის უფლება/მოვალეობებით. ჩვენი აზრით, არასწორია გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის მიხედვით დაზარალებულის დაკითხვის დროს „ძველი“ კოდექსის მიდგომის გავრცელება დაზარალებულის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის ნაწილში (ადვოკატის მონაწილეობის წესი სწორედ დაზარალებულის, როგორც მხარის, უფლებას უკავშირდებოდა). ვინაიდან მოქმედი სსსკ სხვაგვარად ანესრიგებს და განსაზღვრავს დაზარალებულის სტატუსს და მის უფლება/მოვალეობებს, სისხლის სამართლის პროცესის ყველა მოქმედების შესრულებისას და ყველა სტადიაზე მის მიმართ მიდგომა უნდა იყოს ერთიანი, და ეს არის მოქმედი სსსკ-ით გათვალისწინებული წესი.

მოციყვანთ მაგალითს პრაქტიკიდან:

შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს პირველ განყოფილებაში წარმოებს საქმე №001180113013 (გამოძიება დაიწყო 2013 წელს, დ/გ სსკ-ის, 140-ე მუხლით). საქმეში დაზარალებულად ცნობილია ვინმე გ.კ., არასრულწლოვანი, 14 წლისა. 2013 წლის 26 თებერვალს გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის გამოყენებით ჩატარდა გ.კ.-ს დაკითხვა. დაკითხვაში მონაწილეობდნენ პედაგოგი, გ.კ.-ს კანონერი წარმომადგენელი და მონმის არასრულწლოვანების საფუძველზე, გამოძიებლის მომართვით, სახელმწიფო ხარჯზე მონვეული ადვოკატი. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ამავე დღეს, მოქმედი სსსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩვენების ადგილზე შემონმების მიზნით, რომელშიც კვლავ მონაწილეობდა სახელმწიფო ხარჯზე მონვეული ადვოკატი.⁶

5. დაკითხვისას მიღებული ჩვენება და მისი მტკიცებულებითი მნიშვნელობა. მონმის სახით გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის მოქმედების შემთხვევაში ერთ—ერთ მნიშვნელოვან პრობლემურ საკითხს წარმოადგენს დაკითხვის შედეგების საპროცესო ბუნება და მტკიცებულებითი მნიშვნელობა. მოქმედი კანონმდებლობა მონმის ჩვენებას განსაზღვრავს, როგორც მონმის მიერ **სასამართლოში** მიცემულ ინფორმაციას (სსსკ-სი, მუხლი მე-3, ნაწილი 24-ე). აქ უნდა ვიგულისხმოთ ერთი მხრივ, გამოძიებისას მაგისტრალი მოსამართლის წინაშე მონმის დაკითხვით მიღებული ინფორმაცია (სსსკ-სი, მუხლი 114-ე) და, მეორე მხრივ, საქმის არსებითი განხილვის დროს მონმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია (სსსკ, მუხლი 118-ე). ცხადია, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს მონმის ჩვენების მიღების რაიმე სხვა ფორმას, მონმის სასამართლოში მოსამართლის წინაშე დაკითხვის გარდა. გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესით არ არის გათვალისწინებული დასაკითხი პირის სასამართლოში წარდგენა და მოსამართლის წინაშე დაკითხვა. მიუხედავად ამისა, გამოძიებისას დროებითი წესით დაკითხვის შედეგები მაინც „ჩვენებად“ განიხილება. შედეგი კვლავ ორგვარია: ერთ შემთხვევაში, როდესაც გამოძიებისას დაკითხვა წარმოებდა მოქმედი კანონმდებლობის წესების მიხედვით, გვაქვს ჩვენება, რომლის მიღების დროს დაცული იყო მაღალი სტანდარტები (მონმის მიერ ფიცის დადება; სასამართლო კონტროლი) და, მეორე შემთხვევაში გვაქვს გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესით მიღებული ჩვენება, სადაც ეს სტანდარტები გათვალისწინებული არ არის. და მაინც, ორივე ჩვენება ჩვენებაა, ორივე შემთხვევაში პირს აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ (1998 წლის 20 თებერვლის სსსკ, მუხლი 305-ე, ნაწილი მე-3; სსსკ, მუხლი 115-ე, ნაწილი პირველი). ვნახოთ როგორია ამ ჩვენებების მტკიცებულებითი მნიშვნელობა. მოქმედი სსსკ დიდი სიფრთხილით ეკიდება გამოძიებისას მიღებული ჩვენებისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭების საკითხს: გამოძიებისას დაკითხვას განიხილავს, როგორც საგამონაკლისო წესს (მუხლი 114-ე); რიგ შემთხვევებში პირდაპირ მიუთითებს გამოძიებისას მიღებული ჩვენების დაუმშავებელ მტკიცებულებად აღიარებაზე (მუხლი 114-ე, ნაწილი მე-4); საქმის სასამართლოში განხილვისას გამოძიების დროს მიღებული ჩვენების გამოკვლევის შემთხვევების განსაზღვრისას არ მოიაზრებს მონმის შუამდგომლობით ან მისი თანხმობით ჩვენების გამოკვლევას (მუხლი 243-ე). რაც შეეხება გამოძიებისას დაკითხვის დროე-

6 საკითხთან დაკავშირებით პრაქტიკის შესწავლის პროცესში სხვა უჩვეულო შემთხვევებიც შეგვხვდა. მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც დაზარალებულის უფლებამონაცვლის მოწმის სახით დროებითი წესით დაკითხვისას, გამოძიების ორგანოების მომართვის საფუძველზე, დაკითხვაში მონაწილეობდა სახელმწიფო ხარჯზე მოწვეული ადვოკატი. ადვოკატის მოწვევის საფუძველი გახდა დაზარალებულის უფლებამონაცვლის მიერ სისხლის სამართლის პროცესის ენის არცოდნა.

ბითი წესის შედეგად მიღებული ჩვენების სასამართლოში მტკიცებულებად გამოყენებას, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ გავრცელებულ პრაქტიკაზე. განსახილველი ჩვენების მიმართ საქმის სასამართლოში არსებითად განხილვისას პრაქტიკაში 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ის, 481-ე მუხლით გათვალისწინებულ მოწმის ჩვენების წაკითხვის წესს გამოიყენებენ, რომლის მიხედვით, დასაშვებია სასამართლო განხილვისას მოწმის ჩვენების წაკითხვა მისივე შუამდგომლობით ან თანხმობით (მუხლი 481-ე, პირველი ნაწილი). შედეგად, გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის მიხედვით მიღებული ჩვენება საკმაოდ მარტივად იძენს მტკიცებულებით მნიშვნელობას, რაც კვლავ „ორმაგი სტანდარტის“ პრობლემას წარმოშობს სისხლის სამართლის პროცესში.

მოვიყვანთ მაგალითს პრაქტიკიდან:

დუშეთის რაიონული სამმართველოს წარმოებაში იყო საქმე №025140412002 (გამოძიება დაიწყო 2012 წლის 14 აპრილს), რომელშიც გამოძიების ეტაპზე მოწმის სახით დაკითხვის დროებითი წესის მიხედვით დაკითხული იყო შ.მ. საქმის მცხეთის რაიონულ სასამართლოში არსებითი განხილვის დროს მოწმე შ.მ. წარსდგა სასამართლოს წინაშე ჩვენების მისაცემად. პროკურორის დაჟინებული მინიშნებით და იმ მოტივით, რომ კარგად ველარ იხსენებდა საქმის გარემოებების შესახებ ინფორმაციას, შ.მ.-მ იშუამდგომლა გამოძიებისას მიცემული მისი ჩვენების გამოქვეყნების შესახებ. სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და ჩვენება გამოქვეყნდა. ადვოკატმა აღნიშნულთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ განაცხადა პროტესტი, რომელიც მოსამართლემ უარყო. აღნიშნული მოქმედებები სასამართლო სხდომის ოქმშიც არ აისახა, რაზედაც წერილობითი შენიშვნები გაკეთდა ადვოკატის მხრიდან. შენიშვნებიც არ დაკმაყოფილდა. საქმეზე განაჩენი დადგა 2012 წლის 20 ივნისს; სასამართლოში გამოქვეყნებულ გამოძიებაში მიცემულ შ.მ.-ს ჩვენებას სასამართლო ეყრდნობა განაჩენის სამოტივაციო ნაწილში.

ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის პროცესში არ უნდა იყოს დაშვებული გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესით მიღებული მოწმის ჩვენების სასამართლოში მტკიცებულებად გამოკვლევა, როდესაც იგივე მოწმე ფიზიკურად წარსდგება სასამართლოს წინაშე და უშუალოდ მისცემს ჩვენებას იმავე გარემოებებზე.⁷ განსახილველი ჩვენების სასამართლოში მტკიცებულებად გამოყენების მიმართ სავსებით მიზანშეწონილია მოქმედებდეს სსსკ-ის, 243-ე მუხლით გათვალისწინებული მოწმის დეპონირებული ჩვენების გამოკვლევის წესი. ასეთი მიდგომით დაცული იქნება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დროში გამოყენების წესი (სსსკ-ის, მუხლი მე-2, ნაწილი პირველი), სისხლის სამართლის საპროცესო ფორმის ერთიანობა და სისხლის სამართლის პროცესის წმინდა შეჯიბრებითი ხასიათი.

6. დაკითხვის დროებითი წესი და მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. 2009 წლის 09 ოქტომბრის სსსკ-ის ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევად მიიჩნევდნენ სწორედ იმ გარემოებას, რომ მოწმე გამოძიებას აღარ მისცემდა ჩვენებას და იგი მხოლოდ სასამართლოში დაკითხებოდა. აღნიშნავდნენ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი განხორციელდებოდა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. სადაც იგუ-

7 აქ არ ვუვლისხმობთ იმ საგამონაკლისო შემთხვევას, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოწმე აიძულეს, დაემუქრნენ, მოისყიდეს ან სხვა ამგვარი (სსსკ-ის, მუხლი 243-ე, ნაწილი 2).

ლისხმებოდა, ასევე, მხარის შესაძლებლობა მოეპოვებინა, წარედგინა და გამოეკვლია ყველა შესაბამისი მტკიცებულება.⁸ შორს ვართ აზრისაგან, რომ სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებისა და დაცვის მხარეების აბსოლუტური თანასწორობა უნდა დანესდეს, მაგრამ გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესი მნიშვნელოვნად ვნებს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის ისეთ გაგებას, როგორც ეს მოქმედ სსსკ-ში სურდათ რომ დამკვიდრებულიყო. სხვა „თავისთავად უთანასწორობებს“ (მაგალითად, სხვადასხვა სახის საგამოძიებო მოქმედებების დამოუკიდებლად ჩატარებაზე დაცვის მხარის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა და სხვ.) ემატება ბრალდების მხარისათვის მინიჭებული უპირატესობა გამოძიებისას მონმის დაკითხვის დროებითი წესის სახით. მოქმედი სსსკ ითვალისწინებს გამოკითხვას (სსსკ, მუხლი 113-ე) და გამოძიების დროს დაკითხვის საგამონაკლისო წესს (სსსკ, მუხლი 114-ე), როგორც ორივე მხარისათვის თანაბრად ხელმისაწვდომ საგამოძიებო მოქმედებებს. პრაქტიკაში გამოკვეთილი ტენდენციის მიხედვით, ბრალდების მხარის მიერ, ფაქტობრივად, არ ხდება გამოკითხვის ან საგამონაკლისო წესით გამოძიებისას დაკითხვის წარმოება, ვიდრე მას (ბრალდების მხარეს) „შეიარაღებაში აქვს“ გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესი. ბუნებრივია, დაცვის მხარის მიერ პირის გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია, რომელიც ნებაყოფლობით ხსიათს ატარებს და სარწმუნოების დაბალი სტანდარტით ხსიათდება (გამოკითხვისას პირს არ აფრთხილებენ ცრუ ინფორმაციის მიცემის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ) ვერ გაუთანაბრდება ბრალდების მხარის მიერ გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის შედეგად მოპოვებულ ჩვენებას.

ამ კუთხით სურათი ჯერ ჯერობით ვერც სსსკ-ში 2013 წლის 14 ივნისს შეტანილმა ცვლილებამ შეცვალა. კერძოდ, სსსკ-ის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მონმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამ მონმის გამოკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს. აღნიშნული სავალდებულო პირობის უზრუნველსაყოფად ბრალდების მხარე კვლავ დროებითი წესით წარმოებული დაკითხვის ოქმის დაცვის მხარისათვის გადაცემას მიმართავს, ხოლო, დაცვის მხარეს უკვე უპირობოდ უწევს ყველა იმ პირის გამოკითხვა, რომლის მონმის სახით დაკითხვასაც აპირებს სასამართლოში.⁹

არათანაბრია პირობები, ასევე, დაცვის მხარისაგან (ბრალდების მხარის დაკითხვის დროებითი წესის საპირისპიროდ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გამოძიებისას დაკითხვის გამოყენებისას. გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესისაგან განსხვავებით, როდესაც გამოძიებულს/პროკურორს არ უწევს პირის დაკითხვის აუცილებლობის დასაბუთება, მონმის სასამართლოში წარდგენა, მხარის მონაწილეობით დაკითხვა და სხვა. ყველა ჩამოთვლილი პირობა და პროცედურა უნდა გაიაროს დაცვის მხარემ გამოძიებისას დაკითხვის სსსკ-ის 114-ე მუხლით გათვალისწინებული წესის გამოყენებისას. ამასთან, ზემოთ მითითებული წესი საგამონაკლისო ხსიათისა და მონმის გამოძიებისას დაკითხვას კანონი მხოლოდ ამომწურავად

8 იხ. მაგალითად, გუბამკვლევითი საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ზ. მეიშვილი, „სეზანი“, თბ., 2010, გვ. 14-15. http://www.legalaid.ge/cms/site_images/UNDP%20brochures/geo/CPC_GEO.pdf/

9 სასამართლო პრაქტიკაში ზემოაღნიშნული ცვლილების შეტანამდეც არსებობდა შემთხვევები, როდესაც პირის მოწმის სახით სასამართლოში გამოძახების შესახებ დაცვის მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე სასამართლო უარს ამბობდა იმ მოტივით, რომ საქმეში არ არსებობდა გამოსაძახებელი პირის გამოკითხვის ოქმი და, შესაბამისად, არასაკმარისი იყო დაცვის მხარის შუამდგომლობის დასაბუთება ამ პირის მოწმედ გამოძახების აუცილებლობის შესახებ, რაც სსსკ-ით დაცვის მხარისათვის მინიჭებულ გამოკითხვის უფლებას „ტვირთავდა“ გადააქცევდა.

ჩამოთვლილი გარემოებ(ებ)ის არსებობისას უშვებს.¹⁰

გარდა „შიდასახელმწიფოებრივი საკანონმდებლო შეუთავსებლობისა“, გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის არსებობა ენიანალმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქ/პუნქტით გათვალისწინებულია ბრალდებული პირის უფლება, რომ: „დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში“. ცხადია, ბრალდებულის აღნიშნული უფლება უხეშად ირღვევა გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის მოქმედების შემთხვევაში.

* * *

დასასრულს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის დროებით არსებობას სისხლის სამართლის პროცესში მიზანშეწონილად ჩავთვლიდით იმ შემთხვევაში, თუ მას ჭეშმარიტად გარდამავალი ხასიათი ექნებოდა და ხელს შეუწყობდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებების პრაქტიკაში იმპლემენტაციას. ჩვენი აზრით, მეტი წახალისება უნდა ჰქონოდა ბრალდების მხარის მიერ გამოკითხვისა და გამოძიებისას დაკითხვის (იგულისხმება სსსკ, მუხლი 114-ე) გამოყენებას და გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესით წარმოება საგამონაკლისო შემთხვევებში უნდა მომხდარიყო (მაგალითად, თუ პირი უარს იტყოდა გამოკითხვაზე და სხვ.). დღეს ნათლად ჩანს, რომ პრაქტიკაში ასეთი დამოკიდებულება დაკითხვის დროებითი წესისადმი არ არსებობს და მან უკვე საყოველთაო ხასიათი მიიღო. ყველა იმ პრინციპული ხასიათის უთანხმოებების გათვალისწინებით, რაზეც სტატიაში გვაქვს საუბარი, მიზანშეწონილად მივიჩნევთ გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის გაუქმებას.

10 აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში ნორმას არასწორად განმარტავენ და თვლიან, რომ გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის არსებობა (სსსკ, მუხლი 332-ე) აჩერებს მოქმედი სსსკ-ით გათვალისწინებულ გამოძიებისას დაკითხვის წესის შესახებ ნორმის მოქმედებას (სსსკ, მუხლი 114-ე). ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, სსსკ არსად მიუთითებს (გარდამავალ დებულებებში, ან თვითონ 114-ე მუხლში), რომ გამოძიებისას დაკითხვის წესი არ მოქმედებს, ვიდრე მოქმედებას არ შეწყვეტს გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესი, ხოლო სსსკ-ის 332-ე მუხლის არსებობა ავტომატურად ვერ გამოიწვევს ამავე კოდექსის 114-ე მუხლის მოქმედების შეჩერებას. ის, რომ ჩვენი მოსაზრება ემთხვევა კანონმდებლის ნებას მარტივად დასტურდება თავად სსსკ-ის, 114-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილებში არსებული ჩანაწერებიდან. მაგალითად, სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-5, მე-6 ნაწილებში ცვლილება შევიდა 2010 წლის 24 სექტემბერში და იქვე განისაზღვრა ამ ცვლილების ამოქმედების ვადად 2010 წლის 30 სექტემბერი.

კანონიერების პრინციპი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

პავლე ბერია ადვოკატი

კანონიერების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ამ მიზნით სახელმწიფო ღებულობს კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, თუმცა სახელმწიფოს მიერ კანონის მიღება თავისთავად არ გულისხმობს კანონიერების დამყარებას.¹ ისტორიაში ბევრი მაგალითია, როდესაც სახელმწიფოს მიერ გამოცემოდა კანონები, მაგრამ კანონიერება არ იყო.² კანონებში ასახული ნორმების რეალიზაციისა და მათი მეშვეობით გამოხატული სახელმწიფო ნების რეალურად განსახორციელებლად საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლის ყველა სუბიექტის მიერ კანონების მოთხოვნების ზუსტ და განუხრელად შესრულებას. კანონიერების შინაარსის შემადგენელი ამ მთავარი მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში, კანონიერება იქნება რეალური, წინააღმდეგ შემთხვევაში – ფორმალური³. კანონიერების რეჟიმი იცავს პიროვნებას თვითნებობისაგან, სახელმწიფოს – ანარქიისაგან, საზოგადოებას – ძალადობისაგან. კანონიერების რეჟიმის არარსებობა კი, თავის მხრივ, წარმოშობს ადმინისტრაციულ თვითნებობას და საყოველთაო უკანონობას, ხელს უწყობს კორუფციის ზრდას, დამნაშავეობას, ძალადობის ესკალაციას და მიჰყავს საზოგადოება დეგრადაციისაკენ.⁴ შესაბამისად, კანონიერების რეჟიმი დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, და ეს ბუნებრივია, ვინაიდან კანონიერება ორგანულადაა დაკავშირებული სამართლებრივი სახელმწიფოს საქმიანობასთან. ამდენად, კანონიერება არის სამართლებრივი რეჟიმი, რომლის დროსაც სამართლებრივი ურთიერთობის ყველა სუბიექტის მიერ ხდება ნორმატიული დანაწესების ზუსტად და განუხრელად დაცვა, აღსრულება და გამოყენება, ხოლო კანონიერების მოთხოვნებია: კანონის უზენაესობა⁵; საერთაშორისო აქტებით გაცხადებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა; კანონების გამოცემა მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოების მიერ, კომპეტენციის ფარგლებში; კანონმდებლობის დროული

1 Robert McCorquodale (ed) The Rule of Law in International and Comparative Context (British Institute of International and Comparative Law, London 2010) 29.

2 Aharon Barak, The Judge in a Democracy (Princeton University Press, Princeton 2006) 55.

3 პოლიციურ სახელმწიფოში, როდესაც კანონებზე, რომლებიც არ აწყობთ ხელისუფლებაში მოსულთ, ღიად უარს ვერ ამბობენ, ხოლო თავიანთი კანონები ვერ მიღებული არა აქვთ, ხელისუფლება ქვეყნის მართვას იწყებს კანონქვემდებარე აქტებისა და მათზე დაფუძნებული, სახელმწიფოს თანამდებობის პირების დისკრეციული უფლებამოსილების (რომელიც თვითნებობის ტოლფასია) განხორციელებით. სახელმწიფოში, სადაც საკანონმდებლო ორგანოსგან განსხვავებით, ძლიერია აღმასრულებელი და სადამსჯელო ორგანოები, მყარდება ფორმალური კანონიერების რეჟიმი, სადაც სიტყვით კანონი ზეიმობს, საქმით კი იგი გათელილია.

4 Mary Robinson, A Voice for Human Rights (University of Pennsylvania Press, Philadelphia 2006) 171-171.

5 Верховенство права (верховенство закона^[რჩმ. 1], ანგლ. rule of law) — правовая доктрина, согласно которой никто не выше закона, все равны перед законом, и никто не может быть наказан государством иначе как за нарушение закона и в установленном законом порядке. ↑ Stein R. Rule of Law: What Does it Mean? (ანგლ.) // Minn. J. Int'l L. 2009. Vol. 18. P. 293

განახლება საზოგადოების განვითარების მოთხოვნების შესაბამისად; ნებისმიერი უკანონობისა და თვითნებობის აღკვეთა; გედამხედველობა კანონმდებლობის ზუსტად და განუხრელად დაცვასა და აღსრულებაზე.

საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრების პრინციპული დებულებები, რომლებიც გამოხატავენ კანონიერების შინაარსს, წარმოადგენენ კანონიერების პრინციპებს, რომლებსაც მიეკუთვნება: კანონიერების საყოველთაობა – ყველას მიერ, გამოწვევის გარეშე, კანონიერების დაცვის სავალდებულობა და კანონის წინაშე თანასწორობა განუხრელად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმომობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა; კანონიერების ერთიანობა – კანონის თანაბარი ძალა სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე და კანონის ერთგვაროვანი გაგება და აღსრულება ქვეყნის მასშტაბით; კანონიერების უწყვეტი კავშირი კულტურასთან – კანონიერება ემყარება სამართლებრივ კანონებს და სამართლებრივ კულტურას. რაც უფრო მაღალია მოსახლეობის კულტურა, მით უფრო მყარია კანონიერება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საზოგადოების სამართლებრივი კულტურა, ვინაიდან სამართლებრივი ცოდნა წარმოადგენს კანონების შექმნის პირობას და ხელს უწყობს კანონების დაცვასა და აღსრულებას; კანონიერებისა და მიზანშეწონილობის ერთიანობა – კანონით დადგენილი წესიდან გამონაკლისების დაუშვებლობა მოჩვენებითი მიზანშეწონილობით. იმისთვის, რომ კანონი იყოს ოპტიმალური, იგი უნდა გამოხატავდეს არა მხოლოდ საზოგადოების ნებას, არამედ უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს; პასუხისმგებლობის გარდაუვალობა – კანონიერების უზრუნველყოფა დაკავშირებულია არა კანონის სიმკაცრესთან, არამედ პასუხისმგებლობის დაკისრების გარდაუვალობასთან; კონტროლი კანონების რეალიზაციაზე – საზოგადოების მიერ სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების და სამართალდამცველ სიტემის საქმიანობაზე კონტროლი, რისი მიზანიცაა კანონების ურყეობა და მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. კანონიერების აღნიშნული პრინციპები ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან და აყალიბებს პრინციპების ერთიან სისტემას, რომლის მეშვეობით შესაძლებელია კანონიერების მდგომარეობაზე, დონესა და ხასიათზე მსჯელობა.

კანონიერების პრინციპს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში⁶ (შემდგომში კონვენცია). ევროპული სასამართლოს გადმოსახედიდან „კანონიერება“ „ავტონომიური“ ან „კვაზიავტონომიური“ ცნებაა, რადგან ევროპულ სასამართლოს ჩამოყალიბებული აქვს კრიტერიუმების ერთობლიობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ესა თუ ის ქმედება, რათა კონვენციის დარღვევად არ ჩაითვალოს.⁷

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „კანონიერება“ გულისხმობს: სამართლებრივი რეგულირების არსებობას, ამასთან, ყოველი უფლების აღიარებას უნდა გააჩნდეს ნაციონალურ კანონმდებლობაში მისი რეალიზაციისათვის „საკმაოდ ეფექტური სამართალგამოყენებითი

6 Jacobs, White & Ovey, The European Convention on Human Rights (3rd edn, OUP, Oxford 2002)

7 ibid 187.

მექანიზმები⁸; სახელმწიფო ორგანოთა ქმედება უნდა ეფუძნებოდეს კანონს, რომელშიც მოიაზრება არა მხოლოდ ნაციონალურ კანონმდებლობაში არსებული კანონის ტექნიკური განმარტება, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნებისმიერი სამართლებრივი ნორმა^{9,10}. ამის გარდა, კონვენციის მიზნებისთვის: [1] კანონი უნდა იყოს ადეკვატურად ხელმისაწვდომი და [2] კანონი უნდა იყოს სათანადო სიცხადით ფორმულირებული, კერძოდ ისე, რომ მოქალაქეს (თუ საჭიროა იურიდიული კონსულტაციის გავლის შემდეგ) შეეძლოს გონივრულ ფარგლებში იმ სამართლებრივი შედეგის განჭვრეტა, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მის ქმედებას¹¹. განჭვრეტადობა არ გულისხმობს აბსოლუტურ სიცხადეს, მისი ხარისხი „მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კონკრეტული კანონის შინაარსზე, მისი მოქმედების სფეროზე და იმ პირთა რაოდენობასა და სტატუსზე, რომელზეც იგი ვრცელდება“¹². სტანდარტი, რომელსაც ევროპული სასამართლო იყენებს „განჭვრეტადობის“ შესაფასებლად, განსხვავებულია კონკრეტული საქმის გარემოებების მიხედვით და ის, რაც დარღვევად ითვლება ჩვეულებრივი მოქალაქის შემთხვევაში, შეიძლება არ მიიჩნეოდეს ასეთად საჯარო მოხელეების შემთხვევაში¹³.

აღიარებს რა პრაქტიკაში სამართლებრივი ნორმების აბსოლუტური სიზუსტით გამოყენების შეუძლებლობას, ევროპული სასამართლო განსაკუთრებით აღნიშნავს სახელმწიფო ორგანოთა თვითნებობისაგან დაცვის ადეკვატური მექანიზმების შექმნის აუცილებლობას როგორცაა სახელმწიფო ორგანოთა გადანაცვლებების სრულფასოვანი სასამართლო კონტროლი, ასევე ამ ორგანოთა მიერ თავისი მოქმედების საფუძვლების განმარტება; ამ მექანიზმების გაუთვალისწინებლობა, სახელმწიფო ორგანოთა ფართო უფლებამოსილება, რომელიც არანაირ ფარგლებსა და შეზღუდვებს არ შეიცავს, და სახელისუფლებო უფლებამოსილებათა განხორციელების პირობების რეგლამენტირების არარსებობა კონვენციით გათვალისწინებული „კანონიერების“ კრიტერიუმის დარღვევას წარმოადგენს¹⁴. სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს სახით (სუბიექტის კანონიერება) და მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში (საგნობრივი კომპეტენცია); სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს კანონიერად, ახორციელებდეს კომპეტენციით განსაზღვრულ ფუნქციას, ასევე „კანონით განსაზღვრული თანმიმდევრობით“¹⁵ ე.წ. ფორმალური კანონიერების დაცვითაც, რაც მოიცავს იერარქიით განსაზღვრული თანმიმდევრობის დაცვასა და კანონზე დაფუძნებული ქმედების განხორციელებას.

8 McCann and Others v. the United Kingdom, Judgment of 27 September 1995, Series A no.324. para193

9 Sunday Times v United Kingdom (App no 6538/74) ECHR 26 April 1979 - ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საერთო სამართალი წარმოადგენდა „კანონს“

10 Barthold v Germany (App no 8734/79) ECHR 25 March 1985 - კანონად ჩაითვა პროფესიული წესების მიღებაზე უფლებამოსილი ვეტერინარ ქირურგთა საბჭოს მიერ მიღებული წესები

11 Sunday Times v United Kingdom (App no 6538/74) ECHR 26 April 1979

12 Vogt v Germany (App no 17851/91) ECHR 26 September 1995

13 Leander v Sweden (App no 9248/81) ECHR 26 March 1987

14 Malone v. The United Kingdom, Judgment of 2 August 1984, series A no.82)

15 Perks and Others v. the United Kingdom, Judgment of 12 October 1999

Handwritten text in a cursive script, likely Georgian, covering the entire page. The text is written in dark ink on aged, yellowish paper. A decorative gold thread is visible along the top edge of the page.

ჭიანჭერის საბუთი თამარ მეფის ავტოგრაფით

უძველესი ისტორიული საბუთი, შეწირულების სიგელი, ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (Ad-2); XII საუკუნის ბოლო (თარიღდება ჭიანჭერის ამირსჯანსალარობისა და მანდატურთუხუცესობის, ორი სახელოს (თანამდებობის) ერთდროულად ფლობის, ჰერიოდით); შესრულებულია ევრაგზე გარდამავალი მხედრული ხელით, გრაგნილი, თანხატული.

საბუთის თანახმად, საქართველოს მანდატურთუხუცეს-ამირსჯანსალარი ჭიანჭერი შიომღვიმის მონასტერს სწირავს უინვალში მოსახლე ვაჭრებს სამოსახლო მიწებითურთ. რადგან შეწირულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწებიდან ხდება, ნებართვას საქართველოს მეფისგან იღებს. მიუხედავად იმისა, რომ შეწირულება კერძო საკუთრებიდან არ მომხდარა, ჭიანჭერმა სანაცვლოდ განიჩინა წირვა და ალაღი (მონასტერმა იკისრა ვალდებულება, ჰერიოდულად, ჭიანჭერის სახელზე აღესრულებინა ღვთის მსახურება) ანუ შეწირულება განხორციელდა ორმხრივი ვალდებულებით. ეს ფაქტი მიგვიბრუნებს მეფის მოხელეთა უფლებების ზრდაზე.

საბუთი მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ შეიცავს თამარ მეფის ავტოგრაფს, მის დამტკიცებას (რეზოლუციას). “ესე მანდატურთუხუცესისაგან შეწიროდ (sic) განაჩენი ჩემგანცა მტკიცეა” - თამარის ხელით შესრულებული ჩვენამდე მოღწეული ტექსტია.

“შეგიძლია, რამდენიც გნებავს იმდენი იყვირო,
შენი ყვირილი არავის ესმის,
და მერე, თუკი მოყვები შენს ისტორიას,
არავინ დაგიჭერებს,
და იცი რატომ?”

იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს წამება“

თამარ ლალიაშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის
პროფესორი, სამართლის დოქტორი

**წარსულის დაძლევის სამართლებრივი გზები და მექანიზმები საქართველოში
ამნისტია, ამნეზია თუ სისხლის სამართლებრივი დევნა
სამართლის კომისიები და ინდივიდუალური ამნისტია**

შესავალი: პრობლემის წამოჭრა

საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ უამრავი ადამიანი გახდა სახელმწიფოს თვითნებობის მსხვერპლი. ბევრი მათგანი პოლიტიკური მოტივით დამნაშავედ და დაზარალებულად გადაიქცა.

ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე მოქალაქეებმა საქართველოს პროკურატურას ორი თვის მანძილზე 20000¹-მდე განცხადებით მიმართეს ძველი ხელისუფლების მიერ მათი უფლებების უხეში დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით.

მართო სამართალდამცავ ორგანოთა უკანონო ქმედებებზე საქართველოს მთავარ პროკურატურაში ათასზე მეტი განცხადებაა რეგისტრირებული, მათგან მრავალი პროკურატურის პროკურორებსა და საერთო სასამართლოების მოსამართლეებს ეხება.²

საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა, კერძოდ ამა წლის რვა თებერვალს საჭარო ბიბლიოთეკის წინ საზოგადოების ნაწილის მიერ მათ მიმართ წინა ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ უსამართლობაზე მძაფრად გამოხატულმა პროტესტმა,

1 <http://www.interpressnews.ge/ge/politika/223693-archil-kbilashvili-cikhis-thematikis-shestsavla-gvadzlevs-imis-thqmis-safudzvels-rom-cikhis-ckhovreba-danashaulebrivi-iyo.html?ar=A>

2 საქართველოს მთავარი პროკურორის განცხადება საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრისას, 2013 წლის 21 თებერვალი.

ასევე ტელემაუწყებლობა რუსთავი 2-ის წინ ბ. რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით საზოგადოებრივმა საპროტესტო აქციამ,³ თვითნაციონალური მოძრაობისა და კოალიცია ქართული ოცნების წევრს შორის სატელევიზიო დებატებისას მომხდარმა მწვავე კამათმა და ფიზიკურმა დაპირისპირებამ⁴, კიდევ ერთხელ დაადასტურა თუ რაოდენ ღრმა და მძიმეა საზოგადოების ის ჭრილობები, რომელიც მათ წინა ხელისუფლების მმართველობის რვა წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ძალადობისა და უმართლობის შედეგად მიიღეს.

ახალ ხელისუფლებას დღეს ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევები მემკვიდრეობად ერგო დღეს საზოგადოება კვლავ რამდენიმე ნაწილად არის გაყოფილი:

- ა. ძველი ხელისუფლების მომხრეებად,
- ბ. იმ პირებად, რომლებიც იძულებულნი იყვნენ, პოლიტიკური მოტივით წინა ხელისუფლების პერიოდში სხვადასხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებები ჩაედინათ, და
- გ. დაზარალებულებად, რომლებმაც საკუთარ თავზე ან მათი ოჯახის წევრებზე განიცადეს სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევები.

დღეს ის პირები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებდნენ უმართლობას, ცდილობენ ყველა გზით, ყველა საშუალებითა და მექანიზმებით გადაიჩინონ თავი, ხოლო დაზარალებულები კი ესწრაფვიან მიაღწიონ სამართლიანობას, რამაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ახალგაზრდა დემოკრატიას საქართველოში.

მსოფლიო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც უამრავი ადამიანი ძველი ხელისუფლების თვითნებობის მსხვერპლი იყო, საზოგადოების მოლოდინი ახალი ხელისუფლებისადმი საკმაოდ დიდია, შესაბამისად მაღალია ახალ ხელისუფლებაზე საზოგადოებრივი ზენოლაც. ახალმა ხელისუფლებამ საზოგადოებას მოლოდინი არ უნდა გაუცრუოს.

ახალმა ხელისუფლებამ, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა უსამართლო დევნა, ზენოლა, უკანონობა, თავისი პოლიტიკური კურსი სწორედ იმ მიმართულებით უნდა გაატაროს, რომ დაძლიოს წარსული, აღმოფხვრას ჩადენილი უსამართლობა და არ დაუშვას იგივე მომავალში.

წარსულის დაძლევა ყოველთვის პრევენციულ ფუნქციას იძენს. მომავალში ძველი რეჟიმის დროს განხორციელებული უმართლობისა და ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევების განმეორების თავიდან აცილება მრავალ ქვეყანაში წარსულის დაძლევის მამოძრავებელ ღერძად იქცა. სწორედ სინათლეზე გამოტანილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები

³ <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/230222-telekompania-qrusthavi-2q-than-saprotesto-aqcia-mimdinareobs.html?ar=A>

⁴ <http://www.interpressnews.ge/ge/politika/229648-koba-davithashvili-da-sergo-ratiani-erthmaneths-fizikurad-gaustsordnen.html?ar=A>, კობა დავითაშვილი და სერგო რატიანი ერთმანეთს ფიზიკურად გაუსწორდნენ. თვით კობა დავითაშვილი არაერთხელ გახდა ძველი ხელისუფლების რეჟიმის მსხვერპლი და მასზე პოლიტიკური ნიშნით არაერთხელ მოხდა ფიზიკური ანგარიშსწორება. მაგ. 26 მაისის აქციის დარბევისას..

წარმოადგენს მომავალში ავტორიტარული რეჟიმის შექმნის მცდელობის პრევენციას.⁵

მსოფლიო გამოცდილებამ⁶ აჩვენა, რომ პოლიტიკურად მოტივირებული დანაშაულების სისხლისსამართლებრივი დევნა არ არის მიზანშეწონილი. ამის მაგალითია მსოფლიოში 30-ზე მეტი ქვეყანა, მათ შორის ევროპის ქვეყნები, სადაც დიქტატორულ რეჟიმს, შიდაძალადობრივ სისტემებს წერტილი დაესვა და სწორედ ერის გამთლიანების, მომავალი ძალადობის თავიდან აცილების, დემოკრატიის განვითარებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის მიზნით ეთქვა უარი პოლიტიკური მოტივით ჩადენილ დანაშაულებათა დასჯას⁷.

წელსონ მანდელას განცხადებით, პოლიტიკურად მოტივირებული დანაშაულისთვის ადამიანები არ უნდა დაისჯონ; ეს იყო სისტემის ბრალი, რომელმაც ადამიანები ერთმანეთის წინააღმდეგ აამხედრა, სისტემის დევნა კი სისხლის სამართლის წესით დაუშვებელია, შესაძლებელია მხოლოდ ამ სისტემის უსამართლობისათვის ფარდის ახდა.⁸

ავტორიტარული წარსულის დაძლევის გზები (შესაძლებლობები) და მექანიზმები (მსოფლიო გამოცდილება)

წარსულის დაძლევის გზები და შესაძლებლობები

1. ავტორიტარული წარსულის დაძლევის რამდენიმე გზა არსებობს.

სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერებების მომცველი საერთაშორისო ტრანსფორმაციის კვლევებით დადგენილია ავტორიტარული, დანაშაულებრივი პოლიტიკური წარსულის დაძლევის ხუთი ოფცია⁹:

ა. ამნეზია (Amnesie).

ამნეზია ნიშნავს მძიმე ავტორიტარული წარსულის მშვიდობით დატოვებას და დავიწყებას.

ავტორიტარული წარსულის დავიწყების სურვილი რეალურად გულისხმობს მსხვერპლთა მიმართ ჩადენილ პოლიტიკურ დანაშაულთა გამოკვლევასა და სამართლიანობის აღდგენაზე უარის თქმას. წარსულის დავიწყების სურვილი წარმოადგენს ავტორიტარული წარსულის რეაგირების გარეშე დატოვებას, იმისდა მიუხედავად ეს გენერალური ამნისტიით მოხდება თუ წარსულის გადავიწყებით. (ამნეზიის მაგალითია არგენტინა, სადაც წარსულის დასაძლევადა გამოყენებული იქნა გენერალური ამნესტია);¹⁰

5 Siegmarschmidt, Amnesie, Amnestie oder Aufarbeitung, 2009, 1. Auflage, S. 8. „We deal with the past in order

to address the future“ ეს არის სიტყვები გაეროს გენერალური მდივნების შაბასისა და /თაკურის

6 Wahrheitskommissionen zur Vergangenheitsbewältigung am Beispiel Südafrikas, HEINZ, Wolfgang S.:

Wahrheitskommissionen und Friedenskonsolidierung. In: IMBUSCH, Peter (Hrsg.): Gerechtigkeit – Demokratie – Frieden. Eindämmung oder Eskalation von Gewalt? AFK-Schriftenreihen, Bd. 33. Baden-Baden 2007, S. 156-175.

7 Parliamentary Assembly of the Council of Europe

Report Doc 11459 4. Dezember 2007

8 http://www.politische-bildung-brandenburg.de/publikationen/pdf/aufarbeitung_versehnung.pdf

9 Ralf K. Wüstenber, Aufarbeitung oder Versöhnung?

Ein Vergleich der Vergangenheitspolitik in Deutschland und Südafrika. S.13

10 In Argentinien unternahm die Regierung Alfonsín 1987 mit dem Punto final ein Gesetz mit dem Ziel die

ბ. ადამიანის უფლებათა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დარღვევების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება. იუსტიციური მიდგომა (მაგ. ნაციტური გერმანიის დამარცხების შემდეგ, დამნაშავეთა სისხლის სამართლის წესით დასჯა);

გ. ჩადენილი უსამართლობის გამოკვლევა, სიმართლის დადგენა და სამართლებრივი მშვიდობის აღდგენა, მაგრამ არა დასჯის გზით, სხვადასხვა სახის კომისიების მეშვეობით, (მაგ: სიმართლის კომისია), ამნისტიის გამოყენებით; მაგალითად, სიმართლის კომისია წარმოადგენს კომპრომისს ამნეზიასა და დასჯას შორის.¹¹

დ. დაზარალებულთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება; მატერიალური, იურიდიული, მორალური რეაბილიტაცია;

ე. არასისხლის სამართლებრივი სანქციების დაკისრება, მაგ: საჯარო სამსახურებიდან წმენდა, შებღალული წარსულის მქონე თანამშრომლების განთავისუფლება სამსახურიდან.¹²

2. წარსულის დაძლევის მექანიზმები

საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე ძველი ავტორიტარული რეჟიმის ახალი დემოკრატიული შეცვლის შემდეგ ცნობილია წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებული უმართლობის შედეგად დამკვიდრებული მძიმე წარსულის დაძლევის შემდეგი მექანიზმები:

ა. საერთაშორისო ტრიბუნალები.

საერთაშორისო ტრიბუნალების გამოყენება საჯარო ხდება მაშინ, როდესაც ამონურულია ყველა შიდანაციონალური რესურსი (მატერიალური, ადამიანური) იმისა, რომ ნაციონალურ დონეზე პოლიტიკური მოტივით ჩადენილ დანაშაულთა დევნა განხორციელდეს. (ამის ერთ ერთი მაგალითია იუგოსლავიის ტრიბუნალი)¹³

ბ. შიდანაციონალური სასამართლოები.

შიდანაციონალური სასამართლოების მეშვეობით პოლიტიკურ დამნაშავეთა დევნა, ყოველთვის „გამარჯვებულის იუსტიციის“ საფრთხეს ქმნის.

Vergangenheit ruhen zu lassen. Siegmair Schmidt, , Amnestie, Amnesie oder Aufarbeitung, 2009, 1 auflage, s. 9
11 „the truth and reconciliation commission represents a compromise between those who want amnesia and those who want retribution., Archbishop Desmond Tutu, Parliamentary Assembly of the Council of Europe, working paper 2008, Report Doc 11459 4Dezember 2007

12 http://www.politische-bildung-brandenburg.de/publikationen/pdf/aufarbeitung_versehnung.pdf გვ.13

13 KRITZ, Neil J.: Dealing with the Legacy of Past Abuses. An Overview of the Options and their Relationship to the Promotion of Peace, in: Bleekerm Mo and Jonathan Sisson (ed.): Dealing with the Past. Critical Issues, Lessons Learned, and Challenges for Future Swiss Policy. Swiss Peace, KOFF-Series, 2/2004:15-30.

გ. ე.წ ჰიბრიდული სასამართლოები.

ასეთი სასამართლოები იქმნება ადგილობრივი და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესების გაერთიანების გზით. მაგ. ასეთი სასამართლო დღესაც მოქმედებს კოსოვოში¹⁴.

დ. სიმართლის კომისიები, რომელთა გამოყენების რეკომენდაციასაც აძლევს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ევროსაბჭოს ხელშემკვრელ იმ სახელმწიფოებს, სადაც ჯერ კიდევ წარსულის მემკვიდრეობად არსებობს ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევის შემთხვევები.¹⁵ ეს კომისიები მოწოდებულია წარსულის დასაძლევად, საზოგადოების გასაერთიანებლად და შესარიგებლად. სიმართლის კომისიების საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს ამნისტია წარმოადგენს.

ე. ლუსტრაციის შესახებ კანონი და სხვა კანონები.

თუ რომელ ოფციას და წარსულის დაძლევის რომელ მექანიზმს გამოიყენებს ქვეყანა დამოკიდებულია თვით სახელმწიფოსა და მისი სისტემის ცვლაზე.

სხვადასხვა ქვეყნები ოფციათა ერთობლიობასაც იყენებენ.

3. სისტემის შეცვლის სახეები:

ზოგადად ცნობილია სისტემის ცვლის სამი ძირითადი სახე: დამხობა, რეფორმა და პოლიტიკური კომპრომისი.¹⁶

ა. ამნისტიის მნიშვნელობა და როლი წარსულის დასაძლევად

ამნისტიას შეუძლია ახალი ძალადობა თავიდან აიცილოს და პოლიტიკური სტაბილურობა შექმნას ქვეყანაში.

ავტორიტარულიდან დემოკრატიულ რეჟიმზე გადასვლის შემდეგ - 1980 წელს ლათინურ ამერიკაში, ხოლო 1989 წლიდან აღმოსავლეთ ევროპაში- წარსულის დაძლევისათვის ამნისტიის გამოყენება სისტემის ცვლის სახეზე გახდა დამოკიდებული.

არაერთი ქვეყნის, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნების გამოცდილებამ, სადაც ხელისუფლების ცვლა მშვიდობიანად განხორციელდა, უჩვენა, ახალი დემოკრატიული მთავრობის სტაბილურობის ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტს სწორედ ამნისტია წარმოადგენს.

14 KRITZ, Neil J.: Dealing with the Legacy of Past Abuses. An Overview of the Options and their Relationship to the Promotion of Peace, in: Bleekerm Mo and Jonathan Sisson (ed.): Dealing with the Past. Critical Issues, Lessons Learned, and Challenges for Future Swiss Policy. Swiss Peace, KOFF-Series, 2/2004:15-30.

15 Parliamentary Assembly of the Council of Europe Report Doc 11459 4Dezember 2007, international experience shows that truth commission may be an effective mechanism for addressing past human rights violations, identifying their roots and causes and promoting necessary reforms which would prevent such violations from being repeated. By allowing the victims of abuses to be heard, truth commissions help reconstitute their sense of civic membership thus facilitate reconciliation. They may also play a useful complementary role to criminal justice but cannot and should not be seen as an alternative to it

16 Ralf K. Wüstenber, Aufarbeitung oder Versöhnung? Ein Vergleich der Vergangenheitspolitik in Deutschland und Südafrika.S.13

დღესათვის სიმართლისა და შერიგების კომისიების ნიადაგზე, რის სამართლებრივ საფუძველს ამნისტია წარმოადგენს, მსოფლიოში წარსულის დაძლევის ყველაზე წარმატებულ სამაგალითო ქვეყნად სამხრეთ აფრიკა სახელდება.¹⁷

საქართველოში წარსულის დაძლევის გზები და მექანიზმები

(ინდივიდუალური ამნისტიის გამოყენება და არა სისხლის სამართლებრივი დევნა)

სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება, საქართველოში დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ არის რიგი ფაქტორების გამო.

ეს ფაქტორებია:

1. სისტემის ცვლის ხასიათი.

სისტემის ცვლა მოხდა მშვიდობიანი გზით;

აქ არ არსებობს რევოლუციურად გამარჯვებული მხარე და შესაბამისად რევოლუციურად გამარჯვებულის იუსტიციაც არ არსებობს. გამარჯვებულის იუსტიცია ჩვენ შედეგად მივიღეთ, ვიხილეთ, და გამოვცადეთ ვარდების რევოლუციის შემდეგ.

2. სამართლებრივი თვალსაზრისით,

ვარდების რევოლუციის შემდგომ ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველა საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის ნორმალური პროცესის წესით განხორციელება (რაც დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული). იმისათვის, რომ იუსტიციას საზოგადოების ნდობა დაუბრუნდეს, ახალმა ხელისუფლებამ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებით უნდა იმოქმედოს; ეს კი ნიშნავს, რომ შესაძლოა მთელ რიგ შემთხვევებში, სადაც რეალურად დანაშაულებრივი ქმედება განხორციელდა პროცესუალური ნორმების დარღვევის ან სხვა მიზეზების გამო, ბრალდების აღძვრა დაუშვებელი გახდეს. ამავდროულად სისხლის სამართლებრივი დევნა ყველა საქმეზე, თუნდაც რეალური დამნაშავის მიმართ ყოველთვის არ ნიშნავს, გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას.

2. დაზარალებულთა სამართლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის შესაბამისად

გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა არ ნიშნავს დაზარალებულთა მიმართ ზარალის კომპენსაციას; გამამტყუნებელი განაჩენით მხოლოდ სასჯელი შეეფარდება დამნაშავეს. სისხლის სამართლის წესით დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის დადგენაც კი არ შეიძლება.

17. Das Parlament, Nr. 46 / 09.11.2009, Aus Politik und Zeitgeschichte, Nr. 46 / 09.11.2009 Manfred Öhm, Möglichkeit zum Neuanfang PRO Südafrika wird oft wegen seiner Wahrheitskommission als Vorbild für den Umgang mit der Vergangenheit genannt. file://localhost/Users/tamari/Documents/amnistia%203/Das%20Parlament,%20Nr.%2046%202009,%2009.11.2009%20-%20Mo%CC%88glichteit%20zum%20Neuanfang.html

მსხვერპლთა დაზიანებული სიკეთის კვლავ აღდგენა უნდა განხორციელდეს გაეროს გენერალური ასამბლეის დადგენილი სტანდარტების შესაბამისად¹⁸

დაზარალებულთა მიმართ უნდა გავრცელდეს რეპარაციის პოლიტიკა, კერძოდ:

-რესტიტუცია, (restitution) ხელახალი აღდგენა, რაც მიმართულია დაზარალებულის იმ ურთიერთობებსა და მდგომარეობაში აღდგენისაკენ, რომელიც მას მისი უფლებების დარღვევამდე გააჩნდა.

-კომპენსაცია, (kompensation, redress) ზიანის ანაზღაურება. ფინანსური კუთხით მიყენებული იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა განხორციელებული ქმედებით. ეს შეიძლება იყოს: ფსიქიკური ზიანი, შემოსავლის დაკარგვა სამეურნეო საქმიანობაში, ექიმის ჰონორარი და სხვ.

-რეაბილიტაცია, (rehabilitation) ღირსებისა და პატივის აღდგენა.

- პრევენცია (Guarantees of non repetirion) - პრევენციული ღონისძიებები მიმართული ადამიანის უფლებათა მომავალში დაცვისაკენ.

3. ეკონომიკური თვალსაზრისით

ვარდების რევოლუციის შემდეგ ბიზნესის არაერთი წარმომადგენელი ერთდროულად გახდა მსხვეპლიც და დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირიც, მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოიწვედა ეკონომიკის განვითარებისა და ბრდის შეფერხებას.

4. ახალი ხელისუფლების პოლიტიკური ნება

ახალი ხელისუფლების პოლიტიკური ნება მიმართულია მომავალზე, დემოკრატიის განვითარებაზე, ადამიანის უფლებათა დაცვაზე. ახალი ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა: ფარდა აეხადოს იმ პოლიტიკურ რეჟიმს, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ 8 წლის განმავლობაში ქვეყანაში სუფევდა; საზოგადოების გაერთიანებისა და შერიგების აქტით აღმოიფხვრას ადამიანის უფლებათა ის დარღვევები, რაც საზოგადოებამ საკუთარ თავზე განიცადა და არ დაუშვას ამის განმეორება; ახალი ხელისუფლება უარს ამბობს წარსულის დავინწყებაზე თუმცა მზადაა შერიგებისათვის, იგი იკვლევს წარსულის მძიმე შედეგებს, სურს სიმართლის დადგენა ვინაიდან შერიგება სიმართლის გარეშე წარმოუდგენელია

5. ინდივიდუალური და არა გენერალური ამნისტია

გენერალური ამნისტია უკვე იქნა გამოყენებული საქართველოში.

¹⁸ <http://www2.ohchr.org/english/law/remedy.htm>

Basic Principles and Guidelines on the Right to a Remedy and Reparation for Victims of Gross Violations of International Human Rights Law and Serious Violations of International Humanitarian Law, Adopted and proclaimed by General Assembly resolution 60/147 of 16 December 2005

არჩევნების შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა, თავისი უფლებების დასაცავად გააქტიურებულმა საზოგადოებამ ნათლად დაგვანახა, უმართლობა, რომელიც 8 წლის განმავლობაში სუფევდა ქვეყანაში, მხოლოდ გენერალური ამნისტია არ არის საკმარისი იმ წარსულის დასაძლევად, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ დამკვიდრდა საქართველოში. განსახორციელებელია ამნისტიის ახალი აქტი, რომელიც საზოგადოებას საშუალებას მისცემს ერთხელ და სამუდამოდ დაძლიოს წარსულის მძიმე შედეგები, აღმოფხვრას უსამართლობა, რათა მომავალში აღარ მოხდეს მისი განმეორება.

ამნისტიის ეს სახე გამოცდილია სხვადასხვა ქვეყანაში და ინოვაცია ინდივიდუალურ ამნისტიად.

ინდივიდუალური ანუ კვალიფიციური ამნისტია გამოიყენება უმართლობის ჩამდენ კონკრეტულ პირთა მიმართ კონკრეტული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში. კანონით დადგენილი კონკრეტული წინაპირობების არარსებობის შემთხვევაში პირი ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ინდივიდუალური ამნისტია ითვალისწინებს ბრალდებულის აქტიურ მონაწილეობას. გენერალური ამნისტიისაგან განსხვავებით ინდივიდუალური ამნისტიის ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს კონკრეტულ პირთა აღიარებითი განცხადება, ამასთან დაცული უნდა იყოს პროპორციულობის პრინციპი დანაშაულებრივი ქმედების დადგენილ პოლიტიკურ მოტივსა და განხორციელებულ ქმედებას შორის.

ინდივიდუალური ამნისტიის გამოყენების წინაპირობები:

- საჯარო მოსამსახურეების, პოლიტიკური ორგანიზაციის წევრებისა და მათი მხარდამჭერების მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების პოლიტიკური ხასიათი და მოტივი;
- დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის მიერ საკუთარი უმართლობის აღიარება.

ამნისტიის განმახორციელებელი ორგანოები:

ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში მსოფლიოს უამრავი ქვეყანა მძიმე წარსულის დასაძლევად იყენებს მექანიზმს, რასაც სიმართლის კომისიას უწოდებენ¹⁹.

- ევროსაბჭოს საპარლამენტო კომისია ევროსაბჭოს იმ ქვეყნებს სადაც წარსულის მემკვიდრეობის შედეგად საზოგადოება კვლავ დაპირისპირებული და გაყოფილია²⁰, რეკომენდაციას უწევს ისარგებლონ ასეთი კომისიებით.

¹⁹ Parliamentary Assembly of the Council of Europe

Report Doc 11459 4Dezember 2007, Use of experience of the “truth commission”: Over the last years, a growing number of countries around the world emerging from a difficult past have made use of a mechanism known as “truth commissions” These officially established bodies are set up to research and report on tragic violent events in the country’s past, in particular to investigate human rights abuses committed by former regimes....a quick Look at the most prominent truth commission namely those in Argentina, Chile, El Salvador, Thouse Afrika and Guatemala gives an oportunity to understand in which sirkamstancies this bodies are established.

²⁰ Parliamentary Assembly of the Council of Europe

Report Doc 11459 4Dezember 2007 :this experience of truth commission may be useful for those Council of Europe member states where the heritage of the past still divides societies

- სიმართლისა და შერიგების კომისია იქმნება იქ, სადაც არსებობს კოლექტიური ბრალი, რაც იმას ნიშნავს, რომ მთლიანი ერი ერთმანეთში დამნაშავედ, დაზარალებულად და ბრალეულად გადაჭაჭვულია და სამართალდამცავი ორგანოები თავის ფუნქციებს ვერ ასრულებენ.²¹ ეს არის ოფიციალური დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი²² ორგანო, რომელიც ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს, რომელიც ყოფილი ხელისუფლების მიერ არის ჩადენილი, იძიებს კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში. მისი საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს ადამიანის უფლებათა დაცვას.

დასკვნა


ინდივიდუალური ამნისტია საქართველოში არსებული რეალური სინამდვილისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

ინდივიდუალური ამნისტია შესაძლებელს გახდის ვარდების რევოლუციის შემდეგ გატარებული პოლიტიკის შედეგად დამნაშავედ და მსხვერპლად ქცეული საზოგადოების ფენების ახალ, სამართლიან სისტემაში ინტეგრირებას. იგი მიმართულია მტრულ ბანაკებად დაყოფილი საზოგადოების შესარიგებლად, მოქალაქეთა გამთლიანების, დამშვიდებისა და მთლიანი საზოგადოების მოლოდინის დაკმაყოფილებისაკენ, რამეთუ მშვიდობიანად სამართლიანი მომავლის შექმნა დამნაშავედ და მსხვერპლად ქცეული საზოგადოების შერიგების გარეშე შეუძლებელია.

ამნისტიის მიზანს უნდა წარმოადგენდეს წინა ხელისუფლების პერიოდში პოლიტიკურ მოტივით ჩადენილ დანაშაულთა და მათ ჩამდენ პირთა გამოაშკარავება, დამნაშავეთა იდენტიფიცირება, ასეთ ქმედებათა მსხვერპლთა დადგენა, მათი ღირსებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

21 Sonja Bernecker, Dorothea Ittmann, *Wahrheitskommissionen zur Vergangenheitsbewältigung am Beispiel Südafrikas*, Handbuchartikel im Rahmen des Seminars „Friedenspädagogik in Konflikt- und Kriegsregionen“ an der Universität Tübingen, WS 2009/2010, Dozent: Uli Jäger.S. 1.

22 *Parliamentary Assembly of the Council of Europe*
Report Doc 11459 4Dezember 2007



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

საქმე შოპფერი შვეიცარიის წინააღმდეგ

(SCHOPFER v. SWITZERLAND)

(56/1997/840/1046)

პროცედურა

1. საქმე სასამართლოს წარუდგინა შვეიცარიის მოქალაქემ, ბატონმა ალუას შოპფერმა (განმცხადებელი) და ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ (კომისია) [...]. განაცხადისა და მოთხოვნის საგანი იყო გადაწყვეტილების მოპოვება იმის თაობაზე, საქმის გარემოებები მიუთითებდა თუ არა მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევაზე.

[...]

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

6. განმცხადებელი ცხოვრობს რუტში (ლუსერნის კანტონში). ის ურისტი და კანტონის საბჭოს (*Großrat*) ყოფილი წევრია. განსახილველი დროისთვის ის იყო ადვოკატი და ახორციელებდა ბატონი 'S'-ს დაცვას, რომელიც სასამართლო განხილვის (*Untersuchungshaft*) პერიოდში დაკავებული იყო მრავალეპიზოდური ქურდობის ჩადენის ბრალდებით.

7. 1992 წლის 6 ნოემბერს ბატონ 'S'-ს მეუღლემ ბატონ შოპფერს შეატყობინა, რომ ჰოჩდორფის რაიონის სახელმწიფო ორგანოს (*Amtsstatthalteramt*) ორმა რაიონულმა კლერკმა (*Amtsschreiber*) ურჩია, სხვა ადვოკატისთვის მიემართა მეუღლის დასაცავად, თუკი მისი გათავისუფლება სურდა.

A. განმცხადებლის საჯარო გამოსვლები

8. 1992 წლის 9 ნოემბერს განმცხადებელმა გამართა პრესკონფერენცია ლუსერნში, თავის ოფისში, სადაც მან განაცხადა, რომ ჰოჩდორფის რაიონული ორგანოს ოფისებში, წლების განმავლობაში ურცხვად იყო უგულებელყოფილი ლუსერნის კანტონის კანონმდებლობა და ადამიანის უფლებები [...], და რომ ამ ვითარებაში ბოლო იმედად მედიასაშუალებები ესახებოდა. [...].

9. მომდევნო დღეს ყოველდღიურმა გაზეთმა *Luzerner Neueste Nachrichten* ("the LNN") გამოაქვეყნა შემდეგი სტატია (25-ე გვერდზე):

“ ქრისტიან დემოკრატიული პარტიის (CDP) ყოფილი კონსულტანტი მოითხოვს გამოძიებას ჰოჩდორფის რაიონულ ორგანოში

‘იმ ბატონებს თავს არ გავასუფლებინებ ’

CDP-ის ყოფილი კონსულტანტი ალუას შოპფერი სერიოზულ ბრალდებებს უყენებს ჰოჩდორფის რაიონულ ორგანოს.

‘ მე უკვე საკმარისად ვინწიე ჰოჩდორფის რაიონული ორგანოს წარმომადგენელი ბატონებისგან, რომლებიც მასუფლებდნენ’– მრისხანედ აცხადებდა ალუას შოპფერი. ‘მე მხოლოდ ამ საკითხის მედიისთვის მიწოდება დამაკმაყოფილებს’. CDP-ის ყოფილი კონსულტანტისთვის მიმზიდველი აღმოჩნდა ოქტომბრის შუა რიცხვებში მისთვის (როგორც ადვოკატისთვის) მინდობილ საქმეზე საქმისწარმოების პროცესში საზოგადოებისთვის მიმართვის უჩვეულო პრაქტიკა. ამ მომენტისთვის კი მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს ჰოჩდორფის რაიონის ციხეში წინასწარი პატიმრობის ერთი თვე შეუსრულდა.

დაპატიმრებული დაკავების ბრძანების გარეშე

18 აგვისტოს წლინახევრის გოგონას 20 წლის მამა ძმასთან ერთად ავტომობილის რადიოსა და ტანსაცმლის ქურდობისთვის დააპატიმრეს, მაგრამ სამართალდარღვევის აღიარების შემდეგ გაათავისუფლეს; თუმცა როდესაც 15 სექტემბერს ის ლუსერნის კანტონის პოლიციაში მივიდა ძმის მდგომარეობის გასაგებად, ის უმაღლეს დააპატიმრეს.

‘როდესაც ჰოჩდორფის რაიონულ ორგანოში მოვიძიე ინფორმაცია პატიმრობის ბრძანების შესახებ, მე მითხრეს, რომ ბრძანება გაიცა ზეპირად’– განაცხადა ალუას შოპფერმა, რომელიც პოლიციის მოქმედებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის აშკარა დარღვევად მიიჩნევს. ამ მუხლის თანახმად, ‘პოლიციამ დაპატიმრება უნდა განახორციელოს დაპატიმრების შესახებ სათანადო წერილობითი ნებართვის საფუძველზე’.

როდესაც ეს ბრალდებები წარუდგინეს, ჰოჩდორფის პრეფექტს[ბატონი H. B.] ფაქტობრივად არაფერი უთქვამს. ‘როდესაც საქმეს მე ვუძღვები, არავინ დაპატიმრდება წერილობითი ბრძანების გარეშე’, მან განაცხადა: ‘ამ საქმის შესახებ მეტს ვერაფერს ვიტყვი’. მეორე მხრივ, ალუას შოპფერი, რომელსაც ბრალდებულის მეუღლემ სთხოვა ქმრის დაცვა, აღარ გაჩუმდებოდა: მეუღლემ მე მომმართა, რადგანაც იურიდიული დახმარების სქემის საფუძველზე დანიშნული ადვოკატი კლიენტს არ დაკავშირებია, მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე ექვსი კვირა იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში.’

შოპფერი დაუყოვნებლივ დაუკავშირდა ოფიციალურად დანიშნულ ადვოკატს, რომელმაც საქმე მას გადასცა. თუმცა ჰოჩდორფის რაიონულ ორგანოს არ სურდა, რომ შოპფერს განეხორციელებინა დაცვა იურიდიული დახმარების სქემის ფარგლებში, და არ დააკმაყოფილა მისი 29 ოქტომბრის მოთხოვნა იმ საფუძველზე, რომ არ არსებობდა იმ ადვოკატის დათხოვნის საფუძველი, რომელსაც საქმე მანამდე დაენერა. თუმცა ის უფლებამოსილი იყო კერძო [შეთანხმების] საფუძველზე განეხორციელებინა წარმომადგენლობა.

შოპფერი როგორც დაპატიმრების საფუძველი?

ალუას შოპფერისთვის ბოლო დარტყმა იყო, როდესაც ბრალდებულის მეუღლე მივიდა და განუცხადა, რომ გასულ პარასკევს რაიონის ორმა მოხელემ [T.B.] და [B.B.], ურჩია არ დაეტოვებინა [შოპფერი] ადვოკატად ამ საქმეზე. ‘მათ მითხრეს, რომ ჩემს ქმარს არ გაათავისუფლებენ მანამ, სანამ ალუას შოპფერი რჩება მის დამცველად’ მან დაადასტურა LNN -ისთვის. მაგრამ [T.B.-]მ უარყო ნებისმიერი ჩარევა: ‘ეს აბსურდია. მე მსგავსი არასდროს არაფერი მითქვამს. [B.B.] დაადასტურებს ამას. ის ესწრებოდა ჩემს საუბარს იმ კაცის ცოლთან’.

ცხადია, ალუას შოპფერი ამას უყურადღებოდ არ დატოვებდა: ‘მე მოვითხოვ პრეფექტისა და რაიონული კლერკების დაუყოვნებლივ გადაყენებას და კანტონის გარეთ შექმნილი მიუკერძოებელი კომისიის მიერ ამ საქმის გულდასმით გამოძიებას’.

სტატიის გარეთ ჩარჩოში მოცემული იყო შემდეგი ტექსტი:

“ბრალდებები“

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ჰოჩდორფის რაიონული ორგანოს წინააღმდეგ სერიოზული ბრალდებები ჩნდება. პრეფექტის [H.B.] წინააღმდეგ საქმისწარმოება მიმდინარეობდა როტენბურგის ვალების ამომღები ოფიცრის [Betreibungsbeamter] [H.S.]-ის წინააღმდეგ არსებულ ბრალდებასთან დაკავშირებით. ის ლუსერნის რაიონულმა სასამართლომ სამსახურებრივი საიდუმლოს გამჟღავნებისთვის 400 ფრანკით დააჯარიმა. და თუმცა სააპელაციო სასამართლომაც დაადგინა, რომ სამართალდარღვევის ობიექტური ელემენტები აშკარა იყო, [H.B.] მაინც აპელაციის შედეგად როტენბურგის ვალების ამომღები ოფიცერი გაამართლა.”

სტატია ილუსტრირებული იყო ორი ფოტოგრაფიით, ერთზე გამოსახული იყო ჰოჩდორფის რაიონული ორგანოს შენობა, ხოლო მეორეზე – პრეფექტი H.B. მინაწერით: “როდესაც მე ვარ პასუხისმგებელი საქმეზე, ვერავის დააპატიმრებენ წერილობითი ბრძანების გარეშე (*Bei mir wird niemand ohne schriftlichen Haftbefehl festgehalten*)”.

10. მეორე ყოველდღიურ გაზეთში, *Luzerner Zeitung*, 1992 წლის 10 ნოემბერს ასევე გამოქვეყნდა სტატია პრესკონფერენციის შესახებ, სახელწოდებით: “ახალგაზრდა მამაკაცი წერილობითი ბრძანების გარეშე დააკავს? ლუსერნის ადვოკატი ჰოჩდორფის რაიონულ ორგანოს ადანაშაულებს კანონის დარღვევაში (*Junger Mann ohne Haftbefehl verhaftet? Luzerner Anwalt wirft Amtsstatthalteramt Hochdorf Rechtsverletzungen vor*)”.

11. 1992 წლის 10 ნოემბერს ლუსერნის კანტონის სახელმწიფო პროკურორის სამსახურმა გასცა პასუხი, მიუთითებდა რა, რომ ბრალდებული პირის დაპატიმრება მოხდა კანონის მოთხოვნათა დაცვით და განმცხადებელს არ შეუტანია საჩივარი ოფიციალურად დანიშნული ადვოკატის ნაცვლად მის დანიშვნაზე უარის საპასუხოდ. ეს პასუხი პრესაში 1992 წლის 11 ნოემბერს გამოქვეყნდა.

12. 1992 წლის 13 ნოემბერს *Luzerner Zeitung*-მა გამოაქვეყნა განმცხადებლის მიერ სახელმწიფო პროკურორის განცხადების საპასუხოდ გამოცემული პრესკომუნიკაცის შეჯამება. ბატონი შოპფერის თქმით, S-ს “უხეში და მიუღებელი ფორმით” (*in absolut grober und nicht mehr zu verantwortender Weise*) დაკავებით დაირღვა როგორც კონსტიტუცია, ისე კანტონის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. განმცხადებელმა ასევე მოიყვანა ციტატა სხვა ადვოკატისგან მიღებული წერილიდან: “ჰოჩდორფში არსებული მდგომარეობა შორს არის დამაკმაყოფილებლისგან... ამას აუარესებს ის ფაქტი, რომ სასამართლო ხელისუფლებამ იცის, რა ხდება ჰოჩდორფში და ამ მდგომარეობის შესახებ არაპირდაპირ მინიშნებებსაც აკეთებს”. დასკვნის სახით ბატონმა შოპფერმა მოუწოდა სააპელაციო სასამართლოს და კანტონის საბჭოს, გასცნობოდნენ ამ საქმეს.

13. 1992 წლის 15 ოქტომბერს, 3 ნოემბერს და 13 ნოემბერს განმცხადებელმა შეიტანა ბატონი S-ის გათავისუფლების მოთხოვნები (*Haftentlassungsgesuch*), რომლებიც ჰოჩდორფის პრეფექტმა არ დააკმაყოფილა 1992 წლის 19 ოქტომბერს, 5 ნოემბერს და 16 ნოემბერს.

ბატონმა შოპფერმა ამუკანასკნელ გადაწყვეტილებებზე საჩივარი (*Rekurs*) წარადგინა. საჩივრები არ დააკმაყოფილა ლუსერნის კანტონის სააპელაციო სასამართლომ (*Obergericht*) 1992 წლის 30 ნოემბერს იმ საფუძველით, რომ პრეფექტმა კანონიერად გააგრძელა ბატონი S.-ის წინასწარ დაკავებაში ყოფნის ვადა, ისე რომ ბატონ S.-ს აღარ ჰქონდა საფუძველი გაესაჩივრებინა თავისი დაკავების პირობები. თუმცა მან აღნიშნა, რომ დაკავების შემდეგ ბატონი S უნდა წარედგინათ არა რაიონის კლერკის, არამედ თავად პრეფექტისთვის, რომელიც კონვენციის 5.3 მუხლის მიზნებისთვის შეიძლება განხილულ იქნას მოსამართლედ ან სხვა ოფიცრად. შესაბამისად, მან ბრძანა, რომ მისი გადაწყვეტილება უნდა წარდგენოდა სახელმწიფო პროკურორის ოფისს, რომელიც პრეფექტის ზედამხედველ ორგანოს წარმოადგენდა (*Aufsichtsbehörde*).

B. დისციპლინური წარმოება განმცხადებლის წინააღმდეგ

14. 1992 წლის 16 ნოემბერს ლუსერნის ადვოკატთა გაერთიანების საზედამხედველო საბჭომ (*Aufsichtsbehörde über die Rechtsanwälte*) შეატყობინა ბატონ შოპფერს, რომ მის საქციელთან მიმართებით იკვეთებოდა ეთიკური საკითხები, კერძოდ კი მიმდინარე საქმის წარმოებებთან მიმართებით დისკრეციის საჭიროებასა (*Zurückhaltung*) და შეფარულ საჯაროობაზე, და სთხოვა მას განმარტება ამასთან მიმართებით.

18 ნოემბერს პრესისთვის წარდგენილ წერილში განმცხადებელი პასუხობდა, რომ ის მოქმედებდა მხოლოდ საერთო და მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე.

15. 1992 წლის 16 ნოემბერს ჰოჩდორფის პრეფექტმა საზედამხედველო საბჭოს წარუდგინა საჩივარი (*Anzeige*) და მოსთხოვა ბატონი შოპფერის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება. ის ამტკიცებდა, რომ თავისი განცხადებებით ეს უკანასკნელი არა მარტო შეურაცხყოფას აყენებდა პრეფექტს და მის ორ რაიონულ კლერკს, არამედ ის სერიოზულად არღვევდა ადვოკატთა პროფესიულ ეთიკას (*Standesregeln*), მედიის მეშვეობით ყალბი ბრალდების გავრცელებით, ნაცვლად იმისა, რომ გამოიყენებინა არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები.

16. 1992 წლის 21 დეკემბერს საზედამხედველო საბჭომ დისციპლინური წარმოება წამოიწყო განმცხადებლის წინააღმდეგ.

1993 წლის 15 მარტს, ლუსერნის კანტონის ადვოკატთა გაერთიანების წესდების მე-13 მუხლის თანახმად (იხილეთ მე-18 პარაგრაფი მაღლა), [საბჭომ] ის დააჯარიმა 500 შვეიცარული ფრანკით (CHF) პროფესიული ეთიკის დარღვევისთვის (*Verletzung von Berufs- und Standespflichten*).

თავის გადაწყვეტილებაში საზედამხედველო საბჭომ დაადგინა, რომ განმცხადებელმა თავისი საჩივრები (რომლებიც სერიოზული იყო) პირველ რიგში არ წარუდგინა სახელმწიფო პროკურორის ოფისს ან სააპელაციო სასამართლოს, რომლებიც რაიონული ორგანოს ზედამხედველი ორგანოები იყო. შესაბამისად, მან არ გამოიყენა ადვოკატისთვის მინიჭებული დისკრეცია, რომლის შესრულებაც აუცილებელია მიმდინარე საქმეებთან მიმართებაში. ამასთან, მან ჩართო შეფარული გასაჯაროება (*versteckte Reklame*) და იაფფასიანი „შოუმენობა“, რითაც მოახდინა

იმის დემონსტრირება, რომ მას უფრო საკუთარი საჯარო სახე ანუხებდა, ვიდრე საქმის არსებითი მხარე. ნებისმიერ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ პრესისთვის გაკეთებული განცხადებები უნდა იყოს არა მხოლოდ ნამდვილი საჯარო ინტერესების მატარებელი (*reelles öffentliches Interesse*), არამედ უნდა იყოს ობიექტური და განონასწორებელი ტონის მქონე (*objektiv in der Darstellung und sachlich im Ton*).

ბატონი შოპფერის მიერ პრესისთვის გაკეთებული განცხადებების რამდენიმე ნაწყვეტი უფრო მეტ დაკვირვებას მოითხოვს. მაგალითად. მან განაცხადა: "მე ამ ჟენტლმენებს აღარ მივცემ უფლებას სულელად გამომიყვანონ" და "მე მოვითხოვ ამ საქმის გამოძიებას კანტონის გარეთ შექმნილი მიუკერძოებელი კომისიის მიერ" და ასევე "მე ერთადერთი გზა დამრჩა, მივმართო პრესას". ეს უკანასკნელი განცხადება სიმართლეს არ შეესაბამებოდა, რადგანაც იმ დროისთვის ბატონი შოპფერს არც კი მიუმართავს რაიონული ორგანოს შესაბამისი საზედამხედველო უწყებებისთვის, არც ის უცდია, რომ გამოეყენებინა სამართლებრივი დაცვის ზოგადი საშუალებები. შესაბამისად, მან უგულბებლყო არა მხოლოდ ჰოჩდორფის რაიონული ორგანო, არამედ მთელი კანტონის მართლმსაჯულების ორგანოები, რაც არ შეესაბამებოდა ადვოკატის პროფესიულ ეთიკას.

17. განმცხადებელმა საჯარო სამართლებრივი საჩივარი შეიტანა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. 1994 წლის 21 აპრილს ფედერალურმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი.

მან დაადგინა, რომ ადვოკატებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი თავისუფლება გააკრიტიკონ სასამართლო ორგანოები, იმის გათვალისწინებით, რომ ეს განხორციელდება სათანადო პროცედურების დაცვით და, რაც მთავარია, კლიენტის წარმომადგენლობისა და დაცვის განხორციელებისას. თუმცა, როდესაც ადვოკატი მიმართავდა საზოგადოებრივ აზრს, ის მოვალეობას ასრულებდა, როგორც მართლმსაჯულების სამსახურში მყოფი ნებისმიერი პირი და მოეთხოვებოდა სათანადო ადმინისტრირებასთან შეუთავსებელი ნებისმიერი საქციელისგან თავის შეკავება. კოვენციის 10.2 მუხლი ასევე მოიცავს პრინციპს, რომ ჩარევა დასაშვებია, თუ ის ემსახურება მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებას. შესაბამისად, შესაძლოა არსებობდეს გარემოებები, როდესაც საჯარო ინტერესები მოითხოვს კონსტიტუციის ან ადამიანის უფლებების დარღვევის გასაჯაროებას. იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ამას ადგილი, აუცილებელი იყო გარკვევა, რამდენად აშკარა იყო სადავო დარღვევები, მიმდინარე პროცესებზე იყო თუ არა ზეგავლენის მოხდენის რისკი, გამოიყენეს თუ არა არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები და რა ფორმით გამოვლინდა კრიტიკა.

წინამდებარე საქმეზე ბატონი შოპფერი დაისაჯა არა იმდენად ადამიანის უფლებების დარღვევის გამოაშკარავებისთვის, არამედ იმისთვის, თუ რა ფორმითგააკეთა ეს. საქმის განხილვისას საზედამხედველო საბჭომ გაითვალისწინა, რომ განმცხადებლის მიერ ერთ-ერთი საჩივარი, იმის თაობაზე, რომ ბატონი S წარედგინა რაიონის კლერკს, ნაცვლად იმისა რომ წარსდგენოდა პრეფექტს, სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა. თუმცა ბატონი შოპფერის სხვა კრიტიკული განცხადებები - რომლებსაც ნაკლებად შეეძლო გავლენა მოეხდინა მიმდინარე საქმისწარმოებაზე - საზედამხედველო საბჭომ გაუმართლებლად მიიჩნია. უფრო მეტიც, საბჭომ დაადგინა, რომ განმცხადებელმა თავის კრიტიკაში არ გამოიყენა სათანადო ტონი და

ცრუ ბრალდებები წამოაყენა. მან სათანადოდ დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება და განმცხადებელს არ წარმოუდგენია რაიმე დამატებელი კონტრარგუმენტები.

ii. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

18. ლუსერნის კანტონის ადვოკატთა გაერთიანების წესდების (*Anwaltsgesetz*) მე-10 მუხლი ადგენს ადვოკატთა საზედამხედველო საბჭოს (*Aufsichtsbehörde über die Anwälte*) არსებობას, რომლის წევრებიც - ორი მოსამართლე სააპელაციო სასამართლოდან, ერთი მოსამართლე ადმინისტრაციული სასამართლოდან და ორი ადვოკატი - სააპელაციო სასამართლოს მიერ ინიშნებიან ოთხი წლის ვადით. წესდების 12.1 მუხლის თანახმად, საბჭო უფლებამოსილია გამოიძიოს ადვოკატთა მიერ პროფესიული ვეტიკის (*Berufs- und Standespflichten*) დარღვევები და დააკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა. მე-13 მუხლის თანახმად, ეს შეიძლება იყოს მინიმუმ გაფრთხილება (*Verweis*), მაქსიმუმ დროებითი ან სამუდამო დისკვალიფიკაცია, ასევე ჯარიმები 5000 ფრანკამდე ოდენობით, როგორც შუალედური სახდელები.

[...]

სასამართლოსთვის წარდგენილი საბოლოო წერილობითი შეპასუხებები

21. მოპასუხე სახელმწიფო სასამართლოსთვის წარდგენილ წერილობით პასუხში სთხოვდა მას, “წინამდებარე საქმეზე დაედგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას”.

22. თავის წერილობით შეპასუხებაში განმცხადებელი სთხოვდა სასამართლოს, დაედგინა მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი და შვეიცარიისთვის დაეკისრებინა მის მიერ განცდილი ზიანის ანაზღაურება.

კანონმდებლობა

კონვენციის მე-10 მუხლის გაცხადებული დარღვევა

23. ბატონი შოკფერი ამტკიცებდა, რომ ადვოკატთა საზედამხედველო საბჭოს მიერ მისთვის დაკისრებულმა სახდელმა დაარღვია კონვენციის მე-10 მუხლი [...]

24. სადავო სახდელი ეჭვგარეშედ უთანაბრდებოდა განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში “ჩარევას”. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ის იყო “კანონით გათვალისწინებული” და ემსახურებოდა 10.2 მუხლით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, კერძოდ კი მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებას. საზედამხედველო საბჭოს 1993 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებიდან ნათელია, რომ სადავო სახდელი განმცხადებელს დაეკისრა იმიტომ, რომ მან *inter alia*, აბუჩად აიგდო კანტონის მართლმსაჯულების ყველა ორგანო (იხილეთ მე-16 პარაგრაფი მაღლა).

[ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ, რომელიც ეთანხმება მხარეებს ამ საკითხზე, შესაბამისად უნდა განსაზღვროს, ეს ჩარევა “აუცილებელი იყო თუ არა

დემოკრატიულ საზოგადოებაში” ამ მიზნის მისაღწევად.

25. განმცხადებელი განმარტავდა, რომ მედიის მეშვეობით კრიტიკაზე მან არჩევანი გააკეთა არა მხოლოდ მისი კლიენტის საქმიდან გამომდინარე, არამედ ამის საბაზი მისცა წლების განმავლობაში ჰოჩდორფის რაიონულ ორგანოში არსებულმა გაუსაძლისმა მდგომარეობამ . მან უკვე გამოიყენა სამართლებრივი დაცვის საშუალებები ამ გარემოებებთან დაკავშირებით მის წინა საქმეებზე, მაგრამ უშედეგოდ.

ბატონი შოპფერი ამტკიცებდა, რომ მან შეგნებულად შეიკავა თავი მისი კლიენტისთვის ოფიციალურად დანიშნული ადვოკატის შეცვლასთან დაკავშირებით მის განცხადებაზე ჰოჩდორფის რაიონული ორგანოს უარის გასაჩივრებისგან, რადგან არ სურდა, ეს გამხდარიყო საქმის ცენტრალური საგანი. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი საჩივრები, როგორც წესი, უშედეგო იყო. მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა მან პრესასთან საუბარი, რომდესაც მისი კლიენტის მეუღლე მივიდა მასთან და განუცხადა, რომ რაიონული ორგანოს წარმომადგენლების განცხადებით, მისი ქმარი პატიმრობაში იქნებოდა მანამ, სანამ შოპფერი განახორციელებდა მის დაცვას. უდავოა, რომ მას შეეძლო დაუყოვნებლივ წარედგინა საჩივარი სახელმწიფო პროკურორის ოფისში, რომელიც რაიონული ორგანოს საზედამხედველო უწყებას წარმოადგენდა, მაგრამ სახელმწიფო პროკურორის ოფისის მიერ პრესკონფერენციის შემდეგ გაზეთებისთვის გაკეთებული განცხადებით საკმარისად აშკარა იყო, რომ ეს ნაბიჯი წარუმატებლობისთვის იყო განწირული.

უფრო მეტიც, მის განცხადებებში ის არ აკრიტიკებდა მართლმსაჯულებას, არამედ მხოლოდ ჰოჩდორფის პრეფექტის საქციელს და არაპირდაპირ სახელმწიფო პროკურორის ოფისის, როგორც საზედამხედველო ორგანოს მოქმედებას. მისი კრიტიკა გამართლებული იყო, რადგანაც ის მიმართული იყო არა კონკრეტული საქმის, არამედ დიდი ხნის მანძილზე დამკვიდრებული კონვენციის საწინააღმდეგო პრაქტიკის წინააღმდეგ. ადვოკატმა აღნიშნა, რომ ამ პრაქტიკამ მრავალი კლიენტის საქმე ცუდად დაასრულა, რაც მას უფლებას აძლევდა საჯარო დებატები დაეწყო ამ თემაზე. უფრო მეტიც, მან საკუთარი აზრი გამოხატა არა მხოლოდ როგორც ადვოკატმა, არამედ როგორც პოლიტიკოსმაც.

26. [...]

27. კომისიის აზრით, განმცხადებელმა გააზვიადა თავისი კრიტიკული განცხადებები, იმის მტკიცებით, რომ მაგალითად წლების განმავლობაში ჰოჩდორფის რაიონული ორგანო აშკარად არღვევდა ლუსერნის კანტონის კანონმდებლობას და ადამიანის უფლებებს. ამასთან, მან არ გამოიყენა მის ხელთ არსებული სამართლებრივი დაცვის ზოგადი საშუალებები დაეფიქსირებინა საჩივარი, რომელიც მან პრესკონფერენციაზე გამოიტანა. უფრო მეტიც, მან ბრალდებები წამოაყენა მისი კლიენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში, რაც შეიძლება განხილულიყო როგორც მცდელობა, გენოლა მოეხდინა ჰოჩდორფის გამოძიების ორგანოებზე და თვით სასამართლოს დამოუკიდებლობაზეც. და ბოლოს, ჯარიმა 500 ფრანკის ოდენობით, ლუსერნის კანტონის ადვოკატთა გაერთიანების წესდებით გათვალისწინებული სახდელების მინიმუმს წარმოადგენდა. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია მე-10 მუხლის დარღვევას.

28. [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო აღნიშნავს, რომ 1992 წლის 9 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ბატონი შოპფერი რეალურად ჩიოდა, რომ მისი კლიენტი დააპატიმრეს ჰოიდორფის რაიონული ორგანოს ოფისში, დააპატიმრების ბრძანების გარეშე და შემდეგ წარუდგინეს რაიონულ კლერკს, ასევე იმაზე, რომ რაიონულმა ორგანომ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა იურიდიული დახმარების სქემის ფარგლებში მისი კლიენტისთვის დანიშნული დამცველის შეცვლის თაობაზე (იხ.გემოთ, მე-9 პარაგრაფი). ადვოკატთა საზედამხებო საბჭომ განმცხადებელზე სახდელის დაკისრებისას დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ მან პრესასთან გამართა საუბარი მანამ, ვიდრე მისთვის ხელმისაწვდომ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს გამოიყენებდა (იხ.გემოთ, მე-16 პარაგრაფი).

29. სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ ადვოკატების განსაკუთრებული სტატუსი მათ ცენტრალურ პოზიციაზე აყენებს მართლმსაჯულების ადმინისტრირებისას, როგორც შუამავალს საზოგადოებასა და სასამართლოებს შორის. ეს პოზიცია ხსნის ადვოკატთა გაერთიანებების წევრების ქცევაზე დადგენილ შეზღუდვებს (იხ. კასადო კოსა ესპანეთის წინააღმდეგ (the Casado Coca v. Spain), 1994 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A #. 285-A, გვ. 21, § 54).

უფრო მეტიც, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ სასამართლოები - მართლმსაჯულების გარანტები, რომელთაც ძირითადი როლი აქვთ კანონის უზენაესობაზე დამყარებულ სახელმწიფოში - უნდა სარგებლობდნენ საზოგადოების ნდობით (იხილეთ *დე ჰესი და გისელსი ბელგიის წინააღმდეგ (the De Haes and Gijssels v. Belgium)*, 1997 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1997-I, გვ. 234, § 37). გასათვალისწინებელია ადვოკატთა მნიშვნელოვანი როლი ამ სფეროში. ლეგიტიმურია მათ მიმართ მოლოდინი, რომ მათ წვლილი შეიტანონ მართლმსაჯულების სათანადო ადმინისტრირებაში და, შესაბამისად, შეინარჩუნონ მის მიმართ საჯარო ნდობა.

30. წინამდებარე საქმეზე ბატონმა შოპფერმა პრესკონფერენცია გამართა 1992 წლის 9 ნოემბერს, სადაც განაცხადა, რომ ჟურნალისტები მისთვის ბოლო საშუალებას წარმოადგენდნენ (იხ.გემოთ, მე-8 პარაგრაფი). 1992 წლის 18 ნოემბერს მან ჰოიდორფის პრეფექტის უარი მისი კლიენტის გათავისუფლებაზე ლუსერნის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი მოთხოვნის დაუსაბუთებლობის გამო, მაგრამ დააკმაყოფილა საჩივარი ბატონი შოპფერის კლიენტის რაიონული კლერკისთვის წარდგენის უკანონობის შესახებ. შესაბამისად, მან ბრძანა მისი გადაწყვეტილების სახელმწიფო პროკურორის ოფისისთვის, როგორც პრეფექტის საზედამხებო ორგანოსთვის გადაგზავნა (იხილეთ მე-13 პარაგრაფი მალლა).

31. შესაბამისად, ბატონმა შოპფერმა პირველად საჯაროდ გააკრიტიკა ჰოიდორფში მართლმსაჯულების ადმინისტრირება და შემდეგ მიმართა სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, რაც ეფექტიანი გამოდგა განსახილველ საჩივართან მიმართებაში. მისი ამგვარი ქმედება ნაკლებად შეესაბამებოდა იმ წვლილს, რისი ლეგიტიმური მოლოდინიც არსებობს ადვოკატისგან, მართლმსაჯულების ორგანოების მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნებაში.

32. ზემოთ აღნიშნული მიგნებები მყარდება განმცხადებლის კრიტიკის სიმძიმითა და ზოგადი ხასიათით, და ტონით, რომელიც მან აირჩია. მაგალითად, მან პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ის ჟურნალისტებს ელაპარაკებოდა იმიტომ, რომ ისინი მისთვის ბოლო საშუალებას წარმოადგენდნენ და ასევე იმიტომ, რომ ჰოჩდორფის რაიონული ორგანოს ოფისებში ლუსერნის კანტონის კანონები და ადამიანის უფლებები წლების განმავლობაში აშკარად უგულბებლყოფილი იყო (იხ. ზემოთ, მე-8 პარაგრაფი). 1992 წლის 13 ნოემბერს ყოველდღიურმა გაზეთმა გამოაქვეყნა პრესრელიზების შეჯამება, რომელშიც ბატონი შოპფერი აცხადებდა, რომ მისი კლიენტის დაკავებით დაირღვა კოვენცია და “უხეში და მიუღებელი ფორმით” - კანტონის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (იხ. ზემოთ, მე-12 პარაგრაფი).

33. სიმართლეა ისიც, რომ მე-10 მუხლი იცავს არა მხოლოდ გამოხატული იდეებისა და ინფორმაციის შინაარსს, არამედ მათი გამოხატვი ფორმასაც (იხ. დე ჰესი და გისელსის საქმეზე გადაწყვეტილება, ციტირება ზემოთ, გვ. 236, § 48). ასევე უდავოა, რომ გამოხატვის თავისუფლება დაცულია ადვოკატებისთვისაც, რომლებიც ნამდვილად უფლებამოსილი არიან მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ საჯარო კომენტარები გააკეთონ, მაგრამ ამ კრიტიკით ისინი არ უნდა გასცდნენ გარკვეულ საზღვრებს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია სხვადასხვა ინტერესს შორის სათანადო ბალანსის დაცვის საჭროება, რაც მოიცავს, საზოგადოების უფლებას მიიღოს ინფორმაცია სასამართლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ნამოჭრილ კითხვებზე, მართლმსაჯულების სათანადოდ ადმინისტრირების მოთხოვნები და იურიდიული პროფესიის რეპუტაცია (იხ. კასადო კოკას (Casado Coca) საქმეზე გადაწყვეტილება, ციტირება ზემოთ, გვ. 21, § 55, და დე ჰესი და გისელსი (De Haes and Gijssels), ციტირება ზემოთ, გვ. 233–34, § 37). ნევრებთან მათი პირდაპირი, ხანგრძლივი კონტაქტის გამო ადვოკატთა გაერთიანების ორგანოები და ქვეყნის სასამართლოები უკეთეს პირობებშია, ვიდრე საერთაშორისო სასამართლო, რომლისთვისაც უფრო რთულია განსაზღვროს, მოცემულ დროს როგორ შეიძლება ბალანსის დაცვა. ამიტომაც ადვოკატთა გაერთიანების ორგანოებსა და ქვეყნის სასამართლოებს გააჩნიათ თავისუფალი მოქმედების გარკვეული ფარგლები, ამ სფეროში ჩარევის აუცილებლობის შეფასებისას, მაგრამ ეს ფარგლები ევროპული ზედამხედველობის საგანია, როგორც შესაბამის წესებთან, ისე მათი შეფარდების შესახებ გადაწყვეტილებებთან მიმართებით (იხ. გადაწყვეტილება კასადო კოკას საქმეზე (Casado Coca), ციტირება ზემოთ, გვ. 20–21, §§ 50 და 55).

34. სასამართლო აღნიშნავს, რომ ბატონმა შოპფერნმა, ადვოკატმა, საჯარო გახადა მისი საჩივარი სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც იმ დროისთვის მიმდინარეობდა სისხლის სამართლის სასამართლოს წინაშე. განმცხადებლის ბრალდებების ზოგად ბუნებასთან, სიმძიმესა და ტონთან ერთად სასამართლო აღნიშნავს, რომ მან ჯერ ჩაატარა პრესკონფერენცია, ამტკიცებდა რა, რომ ეს მისი უკანასკნელი გზა იყო და მხოლოდ ამის მერე შეიტანა საჩივარი ლუსერნის სააპელაციო სასამართლოში, რომელიც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მან ასევე არ გამოიყენა რაიონის ორგანოს კიდევ ერთი საზედამხედველო ორგანოსთვის, სახელმწიფო პროკურორის ოფისისთვის მიმართვის შესაძლებლობა, რომლის არაეფექტურობის დამტკიცება მას არ უცდია, თუ არ ჩავთვლით მხოლოდ ვარაუდებს. განმცხადებელზე დაკისრებული

მოკრძალებული ჯარიმის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ბატონი შოკფერის დასჯისას სახელმწიფო ორგანოები არ გასცდენია თავისუფალი მოქმედების ფარგლებს. შესაბამისად, მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო

ადგენს შვიდი ხმით ორის წინააღმდეგ, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გამოცხადდა საჯაროდ ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1998 წლის 20 მაისს.

ხელმოწერილია: ტორ ვილიალმსონი

პრეზიდენტი

ხელმოწერილია: ჰერბერტ ჰეტხოლდი

კომენტარი – შოკფარი შვეიცარიის წინააღმდეგ

საქმეში შოკფერი შვეიცარიის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეაფასა ადგილობრივი რაიონული ორგანოებისა და ადვოკატის დისკრეციული მოქმედების ლეგიტიმურობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლოს უნდა დაედგინა, ემსახურებოდა თუ არა მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან ადვოკატ შოკფერის გამობატვის თავისუფლებაში “ჩარევა” კონვენციის მე-10.2 მუხლით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, კერძოდ კი – მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებას.

კაზუსის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, განმცხადებელი ბატონი შოკფერი გახლდათ იურისტი და ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მეუღლემ ადვოკატს შეატყობინა, რომ შესაბამისი რაიონის თანამდებობის პირებმა, მას დამცველის გამოცვლა ურჩიეს, თუკი მას რეალურად სურდა მეუღლის გათავისუფლება. ამ ფაქტთან დაკავშირებით ბატონმა შოკფერმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც მკაცრად გააკრიტიკა ჰოჩლორფის რაიონული ორგანოს შესაბამისი უწყებები და თანამდებობის პირები.

პრესკონფერენციის შემდეგ, მედიაში გამოქვეყნდა პუბლიკაციები, რომელშიც ადგილობრივი ინსტიტუციებისა და თანამდებობის პირთა მიმართ შოკფერის მიერ გამოთქმული ბრალდებები გაშუქდა. საგაზეთო პუბლიკაციების თანახმად, პირი, რომელსაც ადვოკატი იცავდა, დაპატიმრებული გახლდათ დაკავების ბრძანების გარეშე. ამასთან, მის დაცვას, შოკფერის განმარტებით, არასათანადოდ ახორციელებდა სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატი. პროკურატურამ ადვოკატის განცხადებები უარყო. სასამართლომ კი მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა შოკფერის შუამდგომლობები, თუმცა მისი დაცვის ქვეშ მყოფის გათავისუფლება არ დაუშვა.

პროფესიული ეთიკის დარღვევის გამო, ადვოკატთა საზედამოებლო საბჭომ დისციპლინური საქმე აღძრა ბატონი შოკფერის წინააღმდეგ. განხილვის შედეგად ადვოკატი დაჯარიმდა საჯარო მოხელეთა შეურაცხყოფისა და უსაფუძვლო ბრალდებებისათვის. გადაწყვეტილების თანახმად, ადვოკატმა არ გამოიყენა მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე მის ხელთ არსებული დისკრეციული უფლებამოსილება და პრესკონფერენციის ჩატარებით სამართლებრივ ჩარჩოებს გასცდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ვერ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმე ეხებოდა მიმდინარე სისხლის სამართლის კაზუსს, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელის მხრიდან ჯეროვნად არ იყო გამოყენებული მის ხელთ არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები. ამასთან, სასამართლომ განაცხადა, რომ „განმცხადებელზე დაკისრებული მოკრძალებული ჯარიმის გათვალისწინებით,... ბატონი შოკფერის დასჯისას სახელმწიფო ორგანოები არ გასცდნენ თავისუფალი მოქმედების ფარგლებს“.

სასამართლომ კიდევ ერთხელ განმარტა, რაოდენ მნიშვნელოვანი როლი აკისრია ადვოკატს, როგორც შუამავალს სასამართლოსა და საზოგადოებას შორის. ამიტომ ლეგიტიმურია მოლოდინი, რომ მათ წვლილი შეიტანონ მართლმსაჯულების სათანადო აღმინისტრირებაში და, შესაბამისად, შეინარჩუნონ სასამართლოს მიმართ საჯარო ნდობა.

გათვალისწინა რა ჩარევის ფორმა, ლეგიტიმური მიზანი და იურიდიული პროფესიის რეპუტაცია, სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი.



“...თუ ჩვენ ყველას გვეყვარება ჩვენი სამშობლო, თუ ჩვენ ყველა დავიცავთ დემოკრატიის ინტერესებს, ჩვენთვის საშიში აღარ იქნება არც გარეშე და არც შინაური მტერი, რევოლუციის ზვირთებმა უნდა წამოაყენოს ის ხომალდი, რომელზედაც ავლენ ყველა ერნი, როგორც ერთმანეთის თანასწორი”.

(დამამთავრებელი სიტყვა, ოსიკო ბარათაშვილის გამოსვლისა, 1917 წლის 9 სექტემბერს, კიევში “ერთა და თემთა კრებაზე”)

იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილი (1874-1937გნ.)

ცხოვრება და მოღვაწეობა

ვექილი იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილის სახელი მეტად გავრცელებული იყო და ძნელად თუ მოინახებოდა ისეთი ქართველი ინტელიგენტი, რომელსაც თუ თვით არა ჰქონია მასთან ნაცნობობა, — სხვისგან მაინც არ გაეგონა, რომ ის საქართველოს ერთ-ერთი ბრწყინვალე ადვოკატი იყო².

ოსიკო ბარათაშვილი 1899 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და სამშობლოში დაბრუნდა. თბილისის საოლქო სასამართლოში დაინიშნა ნაფიც ვექილად და მალე სახელი გაითქვა როგორც ამ საქმის კარგმა სპეციალისტმა. ი. ბარათაშვილი უსასყიდლოდ იცავდა ღარიბებს და ხელმოკლეებს, სასამართლოში თუ სხვა საჯარო გამოსვლებში უშიშრად ამხელდა მეფის ხელისუფლებას. იოსებ ბარათაშვილი იხე გაითქვა სახელი საქართველოს მოსახლეობის მშრომელთა შორის, რომ 1906 წლის 20 მაისს თბილისის გუბერნიიდან (ოლქიდან) აირჩიეს პირველ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად.

სათათბიროს დეპუტატად იოსებ ბარათაშვილის არჩევასთან დაკავშირებით გაზეთი “დროება” წერდა: “თბილისის გუბერნიასთან სათათბიროს ნევრად არჩეული არის იოსებ ბარათაშვილი. იგი ძველი თავადის ოჯახიდანაა, რომელმაც დიდი ხანია დაჰკარგა ელფერი ბრწყინვალე წოდებისა... იოსებ ბარათაშვილი ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს შეიგნო ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ “თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა”, ბევრი გაჭირვებისა და ხელმოკლეობის მიუხედავად მაინც დაამთავრა თბილისის მეორე გიმნაზია 1895 წელს და იმავე წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ნაწილზე. ოთხი წლის შემდეგ დაამთავრა სწავლა და მას შემდეგ ვექილობს საქართველოში. მისმა ნაყოფიერმა და უანგარო მოღვაწეობამ როგორც სავექილო ასპარეზზე, ისე საზოგადო საქმეებში ჯეროვანი ყურადღება დაიმსახურა საზოგადოებაში, უმეტესად ღარიბთა შორის, რომელთაც უფასოდ იცავდა სხვადასხვა დანებს უღებებში, განსაკუთრებით კი ეგრედ წოდებულ პოლიტიკურ დამნაშავეთ.³“

სრულად იზიარებდა რა ქართველ ფედერალისტთა და პარტიის ლიდერის არჩილ ჯორჯაძის იდეას საქართველოს პოლიტიკურ—ტერიტორიული ავტონომიის შესახებ, მან ეს

1 “სახალხო გაზეთი”, 1917წ. 30 სექტემბერი #63, გვ.2.
 2 ვ. ჟვანია, “ქართველი იურისტები” 1961 წ.
 3 „მრომა“, 1906 წ. # 52 8 (21) ივნისი.

საკითხი დააყენა სახელმწიფო სათათბიროს წინაშე. იმავდროულად გამოდიოდა სიკვდილ-ით დასჯის გაუქმების მოთხოვნით. სათათბიროში მის საქმიანობას მაღალ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძე.

სათათბიროში “ტრუდოვიკები”, სოციალ—დემოკრატ დეპუტატებთან ერთად, მეოთხედს შეადგენდნენ. მათ აგრარული საკითხის გადასაჭრელად შედარებით დემოკრატიული პროექტი წარმოადგინეს. მდგომარეობა გამწვავდა. მეფემ 8 ივლისს სათათბირო დაითხო-ვა და კანონგარეშედ გამოაცხადა. დემოკრატიული პარტიის ორასამდე წევრი, მათ შორის ოსიკო ბარათაშვილიც, შეიკრიბა ფინეთის ქალაქ ვიბორგში და შეადგინეს “ვიბორგის მო-წოდება”, რომელშიც მთავრობის ამ უკანონო მოქმედებაზე პროტესტი იყო გამოცხადებ-ული. მეფის მთავრობამ “ვიბორგის მოწოდების” შემდგენელნი და გამავრცელებლები, მათ შორის ოსიკო ბარათაშვილიც, სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მისცა.

საქმე განიხილა პეტერბურგის საოლქო სასამართლოს საგანგებო საკრებულომ, რომელ-მაც ვიბორგელებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება და სხვა პრივილეგიები აპყარა და სამ-სამი თვით პატიმრობა მიუსაჯა. იოსებ ბარათაშვილიც საკრებულოს წინაშე ქედი არ მოიხარა და განსასჯელის სკამი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აგიტაციისთვის გამოი-ყენა. მან თავის სიტყვაში კვლავ დაიცვა მოთხოვნა გლეხობისათვის მიწების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. ნაწყვეტი მისი გამოსვლიდან:

“ვიბორგის მოწოდება ჩვენ ბრძოლის საშუალებად მიგვაჩნდა. ეს უბრალო ფრაზა არ არის.. მოიგონეთ საქართველოს დასავლეთი და ჩრდილოეთი ნაწილები. განა იქ ოდესმე სახელმ-წიფო გადასახადებს იხდიდნენ და განა იქ ვინმე რეკრუტებს აყენებდა? არა. ეს უდავო ფაქტია. ჩვენთან დამყარებული წესრიგით, უფრო კი უწესრიგობით, მთელი მოსახლეობა წინააღმდეგობის განევის აუცილებლობამდე არის მიყვანილი. და აი, როგორც ბრძოლის პირველი საფეხური, აუცილებელი შეიქმნა პასიური წინააღმდეგობა. თუ თქვენ გასაცო-დავებული ქართველი გლეხის ქოხში შეიხედავთ, მაშინ მიხვდებით, რომ იგი ყოველივეს მდგრად იტანს, მისი უკანასკნელი ავლადიდება, უკანასკნელი ქვაბი და ტანსაცმე-ლი გამოაქვთ მისი სახლიდან და ამას იტანს იმიტომ, რომ დარწმუნებულია თავის სი-მართლესი. როდესაც სახელმწიფო სათათბირომ თავისი მოწოდება გამოუშვა, მაშინ მან მხოლოდ ხალხის უფლება დაადასტურა. ჩვენ, სახალხო წარმომადგენლები, იძულებული ვიყავით ცხოვრების სინამდვილის თვალსაზრისზე დავმდგარიყავით, ბრძოლა გვენარ-მოებინა და ამით თავიდან აგვეცილებინა უფრო უარესი, რაც რომ ამის შედეგად შესაძლე-ბელი იყო მომხდარიყო. ამ მხრივ ჩვენ ვალი მოვიხადეთ.

ბატონო მოსამართლენო და წოდებრივო წარმომადგენლნო!

მე დღეს გამოვცხადდი არა როგორც ბრალდებული, არამედ როგორც ბრალმდებელი და ამ მხრივ...

თავმჯდომარე: თქვენ სიტყვა მოგეცათ არა როგორც ბრალმდებელს...

თავადი ბარათოვი: ჩვენ თავისუფლებისაკენ მივისწრაფვოდით.... 8 ივლისს კი ჩვენ დავი-ნახეთ, რომ სურთ ამის განადგურება. განა პატიება შეიძლება?... რასაკვირველია, არა. ჩვენ ბედზე, ჩვენი მისწრაფებების განადგურება, მათი ჩაკვლა ისევე, როგორც მზის ჩაქრობა, არავის ძალუძს, არავის შეუძლია. მე მჯერა, რომ ოდესმე ამ სკამებზე ვიხილავ თავისუ-ფალი რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც მოძალადეებს მსჯავრს თვითონ დასდებენ... დადგება დრო, როდესაც ჩვენ ყველა მოქალაქეებთან ერთად მანდ ვიჯდებით (უთითებს მოსამართლის სკამებზე) და ჩვენს მოძალადეებს გავასამართლებთ“...

იოსებ ბარათაშვილი ძალიან ბევრ სამამართლო პროცესზე გამოსულა რევოლუციონერთა დასაცავად. იოსებ ბარათაშვილის გამოსვლებიდან, პოლიტიკურ პატიმართა დასაცავად, განსაკუთრებით საყურადღებოა 1906 წელს არსენა ჯორჯიაშვილის დაცვა კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოში.

4 გ. ხარატიშვილი, “ქართველი ადვოკატების საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიიდან”, 1975 წ.

ასევე აღსანიშნავია, ი. ბარათაშვილის პოლიტიკურ პროცესთა შორის, “მინგრელსკი პოლკის ჯარისკაცთა საქმე”, რომლის განხილვა თბილისში 1906 წლის 22 ივნისს კავკასიის სამხედრო სასამართლოში დაიწყო.

ოსიკო ბარათაშვილი დიდი განცდების და მაღალი გრძნობების გამომხატველი პიროვნება იყო, რის შედეგადაც იგი თავის მსმენელებზე დიდ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა. ამ გარემოებას, აგრეთვე ხელს უწყობდა ოსიკოს არტისტიული ნიჭი, რომელიც მის გამოსვლებს მეტად ალაამაზებდა და მაღალპატეთიკურ ელფერს ანიჭებდა. დაცვით სიტყვებში მძაფრ ფსიქოლოგიური ელემენტების გამოყენებას და მათ გარეგნულ ეფექტურობას დიდი შედეგის მოტანა შეეძლო სასამართლოებში, სადაც საქმეები ნოდებრივ წარმომადგენელთა ან ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით იხილებოდა⁵.

მნიშვნელოვანია მისი დამსახურება მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა 1917 წელს.

ოსიკო ბარათაშვილი იყო წვერი “თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების”, რომლის აქტიური მხარდაჭერით 1918 წელს დაფუძნებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1917-1918 წლებში იოსებ ბარათაშვილი იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წვერი. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს საგანგებო ყრილობაზე მან ხელი მოაწერა “ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს”. 1918 წელს იგი ასრულებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოვალეობას.

1919-1921 წლებში იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წვერი. ბოლშევიკური რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ (1921 წლის თებერვალი-მარტი) ბარათაშვილი იყო მემარჯვენე ფედერალისტთა არალეგალური ორგანიზაციის აქტიური წვერი და 1924 წლის აგვისტოს ეროვნული ანტიბოლშევიკური ამბოხების დამარცხებამდე მონაწილეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. 1923 წელს იგი დროებით დაპატიმრებულ იქნა საბჭოთა “საგანგებო კომისიის (ე.წ. “ჩეკა”) მიერ.

1937 წლამდე ეწეოდა საადვოკატო მოღვაწეობას, იყო საქართველოს დამცველთა კოლეგიის წვერი. 1923 წელს სასამართლო პროცესზე იცავდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ამბროსიო ხელაიას.

1937 წელს კვლავ დააპატიმრეს და იმავე წელს დახვრიტეს ყოფილი “საქართველოს სსრ“-ის “შინსახკომის” დიდი სამეულის დადგენილებით. რეაბილიტირებულ იქნა 1956 წელს.

ოსიკო ბარათაშვილი - დიდი სცენისმოყვარული, ქართული ხელოვნებისმცოდნე და პროპაგანდისტი

სახელგანთქმული ადვოკატი, საქართველოს დამცველთა კოლეგიის წვერი, წარსულში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, ვიბორგის ცნობილი პროცესის გმირი, მეფის ჯალათის გენერალ გრიგოზის მკვლელის რევოლუციონერ არსენა ჯორჯიაშვილის დამცველი, ამავე დროს აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წვერი. ოსიკო ბარათაშვილი დიდი თეატრალური მოღვაწეც იყო. მის თეატრალურ მოღვაწეობას ადასტურებს შემდეგი ფაქტიც: ოსიკო ბარათაშვილი წლების მანძილზე საქართველოს სასცენო

⁵ გ. ხარატიშვილი “ ქართველი ადვოკატების საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიიდან” 1975წ.

მოღვაწეთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის, აკაკი წერეთლის, მოადგილე იყო. 1913 წელს კი როდესაც საქართველოს სასცენო მოღვაწეთა პირველი ყრილობა გაიმართა, ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს გიორგი ლასხიშვილი, მოადგილეებად კი კიტა აბაშიძე, ლადო მესხიშვილი და ოსიკო ბარათაშვილი.

ოსიკო ბარათაშვილს ბუნებით მომადლებული ჰქონდა საუკეთესო ლირიულ-დრამატული ხმა და მსახიობის ნიჭი. ხმის დამუშავება მეგობრების თხოვნით მხოლოდ 1926 წელს დაიწყო და 1928 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მიიწვიეს ლეონკოვალოს ოპერა „ჯამბაზებში“ კანიოს როლის შესასრულებლად. სხვა პარტიებს თბილისში საგასტროლოდ მონვეული მსახიობები (ნედა- მაკაროვა, სილვიო — გამბაროვი) ასრულებდნენ. ტონიოს როლში იტალიიდან ახლადდაბრუნებული ვ. ქაშაკაშვილი გამოვიდა. ოსიკო ბარათაშვილის გამოსვლა ოპერის სცენაზე სენსაციად იქცა. თეატრში ტევა არ იყო. დებიუტმა ბრწყინვალედ ჩაიარა. თბილისელი მაღალგემოვნებიანი მაცურებელი, რომელსაც კანიოს როლში ბევრი სახელგანთქმული მსახიობისათვის მოუსმენია, დიდად კმაცოფილი დარჩა. საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის წარგზავნილებმა ადვოკატ-მსახიობს გულთბილი ადრესი და ოქროს მონოგრამებით მორთული თარი მიართვეს⁶



იოსებ ბარათაშვილი (თარით ხელში) პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტების მომდერალ გუნდთან ერთად.

სტატია მომზადებულია თინათინ შულაროვას, პროექტ ჟურნალ „ადვოკატის“ კოორდინატორის, მიერ.

6 გ. ხარატიშვილი, „ქართველი ადვოკატების საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიიდან“, 1975წ.

ადვოკატთა საყურადღებოდ!

ყველა ადვოკატს შეუძლია ჟურნალში განათავსოს სამეცნიერო ნაშრომი. თქვენ მიერ გამოგზავნილი სტატია განიხილება სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე და, კოლეგიის წევრთა უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში, გამოქვეყნდება ჟურნალ „ადვოკატის“ მომდევნო ნომერში.

სტატიის განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე დაუკავშირდით ჟურნალ „ადვოკატის“ პროექტის კოორდინატორს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

t_shugarova@yahoo.com

გისურვებთ წარმატებებს!